ქალაქ თბილისი მუნიციპალიტეტის საკრებულოს
იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის
სხდომის ოქმი
N48

2024 წელი; 20 თებერვალი; 11:00 სთ;

ქ. თბილისი
თავისუფლების მოედანი N2

სხდომას ესწრებოდნენ:
იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრები:

ლევან ჟორჟოლიანი (თავმჯდომარე)
ზურაბ აბაშიძე
ავთანდილ ცინცაძე
აკაკი ალადაშვილი
კახაბერ ლაბუჩიძე
არჩილ გორდულაძე
ლილე ლიპარტელიანი
დავით ფარცვანია
თორნიკე ბიკაშვილი
გიორგი ონიანი

მოწვეული პირები:

1. თინათინ ნიბლოშვილი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე;
2. ირაკლი თავართქილაძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსი;
3. ირაკლი გვილავა -ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსი;
4. ვახტანგ ლომჯარია - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსი;
5. გიორგი ხვედელიძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის საქალაქო სამსახურის უფროსის თანამდებობაზე ასარჩევი კანდიდატი;
6. ვასილ აბულაძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე;
7. დავით ჯაიანი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე;
8. ნინო ბაგაშვილი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე;
9. თამარ ბერუაშვილი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის წარმომადგენელი.
10.მაია გძელიძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე;

11.ქეთევან კანდელაკიშვილი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის წარმომადგენელი;

სხდომის თავმჯდომარე:
ლევან ჟორჟოლიანი

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის
კომისიის თავმჯდომარე

დღის წესრიგი

1. „გიორგი ხვედელიძის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის საქალაქო სამსახურის უფროსის თანამდებობაზე არჩევის შესახებ“ საკითხი;

2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ორგანოებში სექსუალური შევიწროების პრევენციისა და რეაგირების მექანიზმის“ დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;

3. „„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 15 დეკემბრის № 33-89 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ“ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;

4. „მეორეული საბურავების, შავი და ფერადი ლითონების ჯართის, ექსპლუატაციიდან გამოსული სატრანსპორტო საშუალებებისა და მათი ნაწილების, ადვილად აალებადი, ფეთქებადი ან ამტვერებადი მასალის განთავსების ან/და რეალიზაციის წესის დამტკიცების თაობაზე” ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 28 თებერვლის №54-35 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;

5. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის N35-100 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის დადგენილების პროექტი;

6. „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;

7. „„სპეციალური რეგულარული გადაყვანის განმახორციელებელი ავტობუსის (M_2 ან M_3 კატეგორიის) მარშრუტების დამტკიცებისთვის წესის განსაზღვრისა და მარშრუტების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის №35-105 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;

8. „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8 და მე-12-მე-16 ნაწილებით, 125^2 მუხლით, 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, 134^1 მუხლით, 135-ე-135^5 მუხლებით გათვალისწინებული სამართალდარღვევებისას და საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8, მე-12-მე-13 და მე-15 ნაწილებით, 125^2 მუხლით, 135-ე-135^5 მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევების ფაქტების ვიდეოფირზე ან/და ფოტოფირზე დაფიქსირების შემთხვევაში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით

საჯარიმო ქვითრის - ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შედგენის/გამოწერის, ჩაბარების, აღრიცხვა-აწგარიშგებისა და გასაჩივრების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 15 მაისის №57-52 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;

9. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში საერთო სარგებლობის საავტომობილო გზებზე სხვადასხვა კატეგორიის სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობის ადგილის ან/და დროის განსაზღვრის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის №35-106 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;

10. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M_2 კატეგორია) მარშრუტების დამტკიცების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-47 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;

11. „ქალაქ თბილისში, თენგიზ ჩანტლაძის ქუჩა N21ბ-ში (ს/კ N01.19.10.041.028) არსებულ უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის N649 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

12. „ქალაქ თბილისში, იაკობ ხვედელიანის ჩიხი N17-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.25.002.061) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2022 წლის 22 ივნისის N22.950.1016 განკარგულების ნაწილობრივ ძალადაკარგულად გამოცხადებისა და ქალაქ თბილისში, იაკობ ხვედელიანის ჩიხი N17-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.25.002.061.02.503) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

13. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ფართების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

14. „ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, მე-3 მასივში (საკადასტრო კოდი: N01.19.20.020.135 და N01.19.20.020.069) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

15. „ქალაქ თბილისში, ნუცუბიძის ქუჩა N76-ში (საკადასტრო კოდი: N01.14.03.003.002) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის

შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

16. ,,ქალაქ თბილისში, ვარკეთილის დასახლებაში, მე-3 მასივის მე-10 კვარტლის კორპუს N9-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.20.028.013.01.016) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

17. ,,ქალაქ თბილისში, უნივერსიტეტის ქუჩა N2-ში მდებარე 35.10 კვ.მ უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.14.06.008.083.01.083) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

18. „ქალაქ თბილისში, ალექსანდრე წურწუმიას ქუჩა N25-ში არსებული 18.87 კვ.მ უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.17.01.081.006.03.500) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

19. “ქალაქ თბილისში, ავთო ვარაზის ქუჩა N28-ში არსებული 16.60 კვ.მ უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი N01.14.01.001.060.01.072) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

20. “ქალაქ თბილისში, გალაკტიონის ქუჩა N3-5-ში არსებული 15.26 კვ.მ უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.15.05.074.004.02.501) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

21. ,,ქალაქ თბილისში, ხუდადოვის ქუჩა N173-ში, კორპუს N3-ში (საკადასტრო კოდი: N01.16.09.001.003.01.529) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

22. „ქალაქ თბილისში, საინგილოს ქუჩა N120-ში არსებული უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.17.02.059.072.01.500) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

23. ,,ქალაქ თბილისში, ლისის ტბის მიმდებარედ არსებული 28.85 კვ.მ უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.14.16.008.074.03.500) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

24. “ქალაქ თბილისში, ყვარლის ქუჩა N107ბ-ში არსებული 47.99 კვ.მ უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.17.08.023.002.01.523) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

25. ,,ქალაქ თბილისში, ზღვისუბნის დასახლებაში, მე-4 მიკრორაიონის კორპუს N8-ში (საკადასტრო კოდი: N01.12.02.004.005.01.119) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

26. ,,ქალაქ თბილისში, დეკაბრისტების გასასვლელი N3-ში (საკადასტრო კოდები: N01.18.04.011.045.02.501 და N01.18.04.011.045.01.503) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

27. „ქალაქ თბილისში, დავით გამრეკელის ქუჩის I შესახვევი N6-ში (საკადასტრო კოდი: 01.10.14.031.021) მდებარე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (საცხოვრებელი ბინები/კომერციული ფართები) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

28. „ქ. თბილისში, ც. დადიანის N39-ის მიმდებარედ 6 კვ.მ მიწის ნაკვეთის (ს/კ: 01.16.02.001.012) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „გუბაზისთვის" (ს/ნ: 202898123) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

29. "ქ. თბილისში, ჭავჭავაძის გამზირი N13-23-ის მიმდებარედ არსებული 2623 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: N01.14.14.011.190) 14 კვ.მ მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „იუპიტერი 23"-ისთვის (ს/ნ: 426130386) სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

30. „ქალაქ თბილისში, ლისის ტბის დასახლებაში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 9 685 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.14.16.009.237) გაცვლის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

31. „ქ. თბილისში, მინდელის ხიდის მიმდებარედ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 2 023 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.13.02.001.112) გაცვლის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

32. „ქ. თბილისში, სოფელ ლისსში მდებარე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 13 467 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.72.16.094.010) გაცვლის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

33. „ქ. თბილისში, ჯორჯ ბალანჩინის ქუჩა N21-ში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 2 402 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.13.01.004.151) გაცვლის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**

34. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქონების მართვის სააგენტოსა და ნონა ფიცხელაურს (პ/ნ 44001001023) შორის 2023 წლის 10 ნოემბერს გაფორმებული „უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების დარღვევისთვის დაკისრებული პირგასამტეხლოსგან ნონა ფიცხელაურის (პ/ნ 44001001023) გათავისუფლების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**

35. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქონების მართვის სააგენტოსა და ნინო ადუაშვილს (პ/ნ 01027028448) შორის 2023 წლის 10 ნოემბერს გაფორმებული „უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების დარღვევისთვის დაკისრებული პირგასამტეხლოსგან ნინო ადუაშვილის (პ/ნ 01027028448) გათავისუფლების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**

36. 2021 წლის 29 აპრილს გაფორმებულ „პირობებით გამოცხადებული აუქციონის №ე-582-1-26243 ხელშეკრულებაში“ ცვლილებისა და დამატებების შეტანის თაობაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „ალფა ფროფერთის“ (ს/ნ. 404605094) შორის 2023 წლის 28 სექტემბერს გაფორმებული შეთანხმების შესაბამისად, ქ. თბილისში, ო. კაპანაძის ქუჩა №4-ში მდებარე უძრავ ქონებაზე (მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი: №01.16.03.058.062) განსახორციელებელი სამშენებლო პროექტის ფარგლებში ქონების მიმღებ პირთა ნაწილის განსაზღვრის საკითხის შეთანხმების თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**

37. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირს - ქონების მართვის სააგენტოს, ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებს/მათ უფლებამონაცვლეებსა და შპს „ენსი დეველოპმენტს“ (ს/ნ 405385925 - დღეის მდგომარეობით: შპს „დეკა დეველოპმენტ“ - ს/ნ: 405385925) შორის 2021 წლის 11 ივნისს გაფორმებული „ქ. თბილისში, საბურთალოს რაიონში (ნაკვეთი 06/095); ქ. თბილისში, არჩილ მეფის ქ. N13-15-ის მიმდებარედ, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, N01.10.08.006.230 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული (წინა საკადასტრო კოდი: N01.10.08.006.095; N01.10.07.007.111), 10 755 კვ.მ. ფართობის მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის საკითხის შეთანხმების თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**

38. „კოოპერატიული ბინათმშენებლობის დაუსრულებლობით შედეგად დაზარალებულ პირთა უძრავი ქონების უზრუნველყოფის მიზნით განხორციელებული/განსახორციელებელი სამშენებლო პროექტების ფარგლებში რიგი ღონისძიებების განსაზღვრასთან დაკავშირებული საკითხის შეთანხმების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;

39. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, ნუცუბიძის ფერდობი, მე-2, მე-3, მე-4 მ/რ-ის მიმდებარედ, ინტენსიფიკაციის ზემოთ მდებარე მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.14.16.015.258, ფართობი - 600 კვ.მ) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

40. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, მიცკევიჩის ქუჩა N66/N68-ში მდებარე მიწის ნაკვეთებთან (საკადასტრო კოდი: N01.10.14.016.015, N01.10.14.016.012 ფართობი - 865 კვ.მ) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

41. „ქალაქ თბილისში, ფალიაშვილის ქუჩა N48-ში (საკადასტრო კოდი: N01.14.11.017.004) არსებული ავარიული შენობა-ნაგებობის ჩანაცვლების მიზნით შპს „ნიუ გრუპ ვაკე“-ს (ს/ნ 405322155) მიმართ ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

42. “შპს „ქოზი ჰოუმ თბილისის“ (ს/ნ 406228283) მიმართ მისამართზე - ქ. თბილისი, არჩილ მეფის ქუჩა N25ბ (ს/კ 01.10.07.007.093) არსებულ მიწის ნაკვეთთან მიმართებით დამატებითი/დაზუსტებითი ხელშემწყობი ღონისძიების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

43. „შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის“ (ს/ნ 204460957) და მასთან აფილირებული კომპანიების დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისათვის ფინანსური მხარდამჭერი ღონისძიებების ფარგლებში შპს „ისანი თაუერსის“ (ს/ნ 404614681) მიმართ მისამართზე - ქ. თბილისი, ქეთევან წამებულის გამზ. N69 (ს/კ: 01.17.13.038.024) არსებულ მიწის ნაკვეთთან მიმართებით დამატებითი/დაზუსტებითი ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

44. „შპს „არქი ვარკეთილის“ (ს/ნ 405247754) მიმართ მისამართზე - ქ. თბილისი, დასახლება ვარკეთილი, მასივი III (ნაკვ.06/037) (ს/კ: 01.19.20.006.135) არსებულ მიწის ნაკვეთთან მიმართებით დამატებითი/დაზუსტებითი ხელშემწყობი ღონისძიების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

45. „მისამართზე - ქ. თბილისი, პეტრე ქავთარაძის ქ. N22 (საკადასტრო კოდი: 01.14.03.040.373) არსებულ მიწის ნაკვეთთან დაკავშირებით გაცემული ხელშემწყობი ღონისძიებების ფარგლებში შპს „ველლ ჰაუზ დეველოპმენტი“-ს (ს/ნ 405204540) მიერ შესრულებული ვალდებულების დადასტურების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

46. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ქვეპროგრამის „სტუდენტთა დაფინანსების პროგრამა” (კოდი 07 05 03) ფარგლებში გამოყოფილი ასიგნებებიდან წარმატებული სტუდენტების წახალისების და სოციალურად დაუცველი, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და მრავალშვილიანი ოჯახის წევრი სტუდენტების დაფინანსების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 9 თებერვლის N74-4 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;

47. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში არქიტექტურულ-მხატვრული კომპოზიციის და მემორიალური დაფის განთავსების წესის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 18 თებერვლის №53-33 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და დამსწრე წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომის დღის წესრიგის პროექტი.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის მიერ ერთხმად იქნა დამტკიცებული სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს:

1. იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარემ ლევან ჟორჟოლიანმა სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, კომისიის სხდომის დღის წესრიგის, რიგით პირველი საკითხი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის საქალაქო სამსახურის უფროსის თანამდებობაზე გიორგი ხვედელიძის არჩევის შესახებ.

ლევან ჟორჟოლიანმა კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს მიაწოდა ინფორმაცია, რომ მ/წლის 6 თებერვალს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის საქალაქო სამსახურის უფროსმა ბადრი გიორგიძემ, წერილობით აცნობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დაკავებული თანამდებობის დატოვების თაობაზე, აღნიშნულიდან გამომდინარე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის - გიორგი ტყემალაძის მიერ აღნიშნულ თანამდებობაზე ასარჩევად საკრებულოს წინაშე წარმოდგენილია გიორგი ხვედელიძის კანდიდატურა.

წარმოდგენილი კანდიდატურის კვალიფიკაციის, განათლების ხარისხისა და თანამდებობრივ პოზიციისთვის აუცილებელი სხვა დამაკმაყოფილებელი კრიტერიუმების კომისიის წევრებისათვის გაცნობის შემდგომ, კომისიის თავმჯდომარემ ისაუბრა, საქართველოს ორგანული კანონით „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" (შემდგომში - კოდექსი) და „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის N2-1 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტით (შემდგომში - რეგლამენტი) განსაზღვრული შემდეგი პროცედურული ღონისძიებების თაობაზე:

✓ კოდექსის 78-ე მუხლის მეორე პუნქტის თანახმად, თბილისის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის ხელმძღვანელს სრული შემადგენლობის უმრავლესობით, საკრებულოს უფლებამოსილების ვადით ირჩევს თბილისის საკრებულო, ხოლო, მისი არჩევის წესი ამ კანონის შესაბამისად განისაზღვრება თბილისის საკრებულოს რეგლამენტით.

✓ რეგლამენტის 32-ე მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის შიდა აუდიტის სამსახურის ხელმძღვანელს საკრებულოს უფლებამოსილების ვადით ირჩევს საკრებულო, ამასთან, ამავე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, შიდა აუდიტის სამსახურის ხელმძღვანელის კანდიდატურის დასახელების უფლება აქვს საკრებულოს თავმჯდომარეს.

გადაწყვიტეს:

განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავეს:

- ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" წევრმა ლილე ლიპარტელიანმა.
- უფრაქციო დეპუტატმა გიორგი ონიანმა;
- უფრაქციო დეპუტატმა თორნიკე ბიკაშვილმა;

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ კანდიდატურას და გადაწყვიტეს, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის საქალაქო სამსახურის უფროსის თანამდებობაზე გიორგი ხვედელიძის არჩევის შესახებ საკითხზე უნდა იმსჯელოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ ამავე საკრებულოს უახლოეს სხდომაზე.

მოისმინეს:

2. თინათინ ნიბლოშვილმა, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით - მე-2 საკითხად განსაზღვრული, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ორგანოებში სექსუალური შევიწროების პრევენციისა და რეაგირების მექანიზმის“ დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, 1994 წელს საქართველო შეუერთდა „ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ გაეროს კონვენციას, ხოლო, 1995 წელს პეკინის კონფერენციაზე, საქართველო, სხვა ქვეყნებთან ერთად, ქალთა უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესებისთვის სამოქმედო გეგმის შემუშავებაზე შეთანხმდა, CEDAW კომიტეტის მიერ 1992 წელს მიღებული მე-19 ზოგადი რეკომენდაცია დასაქმების ადგილზე სექსუალურ შევიწროების აკრძალვაზე ამახვილებს ყურადღებას და მიუთითებს, რომ დასაქმების სფეროში მნიშვნელოვნად იზღუდება თანასწორობა, როდესაც ქალი ხდება გენდერული ნიშნით ძალადობის, მათ შორის სექსუალური შევიწროების, მსხვერპლი, ამგვარი მიდგომა კი დამამცირებელია და შეიძლება გამოიწვიოს ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული პრობლემები. მომხსენებელმა განაგრძო თხრობა და აღნიშნა, რომ 2017 წელს საქართველომ მოახდინა „ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ“ ევროპის საბჭოს კონვენციის რატიფიცირება და გაატარა საკანონმდებლო რეფორმები, საქართველოს კანონმდებლობის აღნიშნულ კონვენციასთან შესაბამისობაში მოყვანის უზრუნველსაყოფად, გარდა ამისა, ქვეყანამ დაამტკიცა მდგრადი განვითარების მიზნები (SDGs) და მათი ნაციონალიზაცია მოახდინა, ასევე, საქართველოს, როგორც ევროკავშირის წევრობის კანდიდატ სახელმწიფოს, ევროპული საბჭო მოუწოდებს, კიდევ მეტად დაუახლოვდეს ევროკავშირის სამართლის სისტემას.

მომხსენებელმა განაგრძო თხრობა და აღნიშნა, რომ „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის თანახმად, დისკრიმინაციის აღმოსაფხვრელად დაწესებულება ვალდებულია სავარაუდო დისკრიმინაციის ნებისმიერ ფაქტზე მოახდინოს სწრაფი და ეფექტიანი რეაგირება, ხოლო მისი დადასტურების შემთხვევაში, პასუხისმგებლობა დააკისროს მის დაქვემდებარებაში მყოფ დამრღვევ პირს და უზრუნველყოს დისკრიმინაციის შედეგების აღმოფხვრა მესამე პირის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების შეულახავად, ნებისმიერი დამსაქმებელი ვალდებულია მიიღოს ზომები დაწესებულებაში დასაქმებულთა მიმართ თანაბარი მოპყრობის პრინციპის დაცვის უზრუნველსაყოფად, მათ შორის, დისკრიმინაციისა და სექსუალური შევიწროების ამკრძალავის დებულებები ასახოს შრომის შინაგანაწესსა და სხვა დოკუმენტებში და უზრუნველყოს მათი შესრულება, ამდენად, მომხსენებლის მითითებით. სექსუალურ შევიწროებაზე, როგორც დისკრიმინაციის ერთ-ერთ ფორმაზე ეფექტიანი რეაგირების უზრუნველსაყოფად, მნიშვნელოვანია გამართული სამართლებრივი აქტისა და რეგულაციების შემუშავება, რომელიც ჩამოყალიბდება სექსუალური შევიწროების პრევენციისა და რეაგირების მექანიზმის სახით.

მომხსენებელის განმარტებით, ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ორგანიზაციის ვალდებულებაა, რომ დასაქმების ადგილზე შეიმუშაოს სექსუალური შევიწროების ამკრძალავი მარეგულირებელი ნორმები, რაც გულისხმობს ქმედითი შიდა მექანიზმების მიღებას, რომელიც ეფექტიანად განიხილავს საჩივრებს სექსუალური შევიწროების თაობაზე, ამასთან, ყველა საჯარო მოხელე, განსაკუთრებით ხელმძღვანელ თანამდებობაზე მყოფი მოსამსახურე, ვალდებულია, რომ პატივისცემით მოეპყრას თანამშრომლებს, იყოს

ინფორმირებული სექსუალური შევიწროების ფენომენისა და ამგვარი ფაქტების მხილების შიდაუწყებრივი პროცედურების შესახებ და, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, მოახდინოს რეაგირება და მაღალი მგრძნობელობითა და კონფიდენციალურობის სრული დაცვით განახორციელოს სექსუალური შევიწროების ფაქტის აღმოფხვრისკენ მიმართული ნებისმიერი კომუნიკაცია თუ ქმედება.

თინათინ ნიბლოშვილმა კომისიის წევრებს გააცნო პროექტით დასამტკიცებელი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ორგანოებში სექსუალური შევიწროების პრევენციისა და რეაგირების მექანიზმი"-თ (შემდგომში - მექანიზმი) განსაზღვრული ღონისძიებები, მისი რეგულირების სფერო, მიზნები და ძირითადი პრინციპები, შემდეგი სახით:

✓ რეგულირების სფეროს წარმოადგენს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ორგანოებში სექსუალური შევიწროების პრევენციისა და სავარაუდო სექსუალური შევიწროების ფაქტზე შესაბამისი რეაგირების განხორციელების საკითხები და პროცედურები.

✓ მექანიზმის მოქმედება ვრცელდება: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ორგანოების ყველა თანამშრომელზე, განურჩევლად თანამდებობრივი რანგისა და შრომითი ურთიერთობის ფორმისა, მათ შორის საკრებულოს წევრებსა და პოლიტიკური თანამდებობის პირებზე, პროფესიულ საჯარო მოხელეებსა და შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირებზე (შემდგომში - „მოსამსახურე").

✓ აღნიშნული რეგულაციის მიზნებისათვის სექსუალური შევიწროება შესაძლოა განახორციელოს მუნიციპალიტეტის ორგანოს მოსამსახურემ, ხოლო სექსუალური შევიწროების მსხვერპლი, შესაძლოა იყოს მუნიციპალიტეტის ორგანოს მოსამსახურე ან სხვა ნებისმიერი პირი, რომლის მიმართ სექსუალური შევიწროება მუნიციპალიტეტის მოსამსახურემ სამსახურებრივი უფლებამოსილების შესრულებისას განახორციელა;

✓ მექანიზმის მიზნებს წარმოადგენს: მუნიციპალიტეტის ორგანოებში სექსუალური შევიწროებისა და დისკრიმინაციისგან თავისუფალი გარემოს შექმნა, სავარაუდო სექსუალური შევიწროების ფაქტის შემთხვევაში ეფექტიანი რეაგირების განხორციელება; სექსუალური შევიწროების მსხვერპლის მხარდაჭერა და დაცვა, სექსუალური შევიწროების ჩამდენი პირის მიმართ მის მიერ ჩადენილი ქმედების პროპორციული და სამართლიანი პასუხისმგებლობის დაკისრება, სექსუალური შევიწროების პრევენციის მიზნით, შესაბამისი ღონისძიებების, მათ შორის, ცნობიერების ასამაღლებელი აქტივობების განხორციელება;

✓ მექანიზმის ძირითად პრინციპებად განისაზღვრება:

ა) სამართლიანობა და მიუკერძოებლობა – სექსუალური შევიწროების საქმეები განიხილება თანასწორ და სამართლიან გარემოში, ობიექტურად და მიუკერძოებლად, მტკიცებულებების ყოველმხრივი და სრულყოფილი გამოკვლევის შედეგად;

ბ) კონფიდენციალობა – მუნიციპალიტეტის ორგანოს თანამშრომელი, საკრებულოს წევრი ვალდებულია, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, მაღალი მგრძნობელობითა და კონფიდენციალურობის სრული დაცვით განახორციელოს სექსუალური შევიწროების ფაქტის აღმოფხვრისკენ მიმართული ნებისმიერი ქმედება;

გ) კეთილსინდისიერება – მუნიციპალიტეტის თანამშრომელი ვალდებულია გამოიჩინოს პატივისცემა წინამდებარე მექანიზმის მიმართ და ბოროტად არ ისარგებლოს მისი დებულებებით, ცრუ და არაკეთილსინდისიერი ბრალდებების წარდგენის გზით;

დ) ვიქტიმიზაციის აკრძალვა – დაუშვებელია პირისათვის საქართველოს კანონმდებლობით

გათვალისწინებული უფლებების შეზღუდვა, სავარაუდო შევიწროების ფაქტის შესახებ საჩივრის წარდგენის გამო.

მომხსენებლის მითითებით, მექანიზმის შესაბამისად, „სექსუალური შევიწროების" ცნება განიმარტება შემდეგი სახით: სექსუალური შევიწროება არის სექსუალური ხასიათის ნებისმიერი არასასურველი სიტყვიერი, არასიტყვიერი ან ფიზიკური ქცევა, რომელიც მიზნად ისახავს ან იწვევს პირის ღირსების შელახვას და ქმნის მისთვის დამაშინებელ, მტრულ, დამამცირებელ, ღირსების შემლახველ ან შეურაცხმყოფელ გარემოს, ასევე, სექსუალური შევიწროებად განსაზღვრება შემდეგი ფორმები: ფიზიკური, სიტყვიერი და არასიტყვიერი, ამასთან, სექსუალური შევიწროების პრევენციისა და მასზე რეაგირების შიდა მექანიზმი წარმოადგენს სამართლებრივ დოკუმენტს, რომელშიც თავმოყრილია სექსუალური შევიწროების ცნება და ფორმები, შეტყობინების გაკეთების, სავარაუდო სექსუალური შევიწროების საქმის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების წესი და პროცედურები, ამასთან, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში სექსუალური შევიწროების შემთხვევებზე საქმის წარმოებას განახორციელებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს სამი წევრისგან შემდგარი კომისია, რომლის შემადგენლობაშიც შედიან საბჭოს თავმჯდომარე, საკრებულოს აპარატის თანამშრომელი და საკრებულოს წევრი, ხოლო ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში სექსუალური შევიწროების შემთხვევებზე საქმის წარმოებას ახორციელებს კომისია, რომელიც შედგება სამი წევრისგან და რომლის შემადგენლობაშიც შეიძლება იყვნენ როგორც მერიის ცენტრალური აპარატის თანამშრომლები, ისე ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის იურიდიული პირები და რაიონული გამგეობის წარმომადგენლები.

მომხსენებელმა დასძინა, რომ იმ შემთხვევაში, თუ დადგინდება სექსუალური შევიწროების ჩადენა, შემავიწროებლის მიმართ გამოიყენება შესაბამისი სანქციები - გაფრთხილება, საყვედური, თანამდებობრივი სარგოს დაკავება ან სამსახურიდან გათავისუფლება. პასუხისმგებლობის ზომა დამოკიდებულია სექსუალური შევიწროების სიმძიმეზე, ხარისხზე, მსხვერპლისათვის მიყენებულ ზიანზე, განმეორებადობასა და სხვა გარემოებებზე იმ შემთხვევაში, თუ სექსუალური შევიწროების ჩამდენი არის საკრებულოს წევრი ან პოლიტიკური თანამდებობის პირი, კომისიას უფლებამოსილება ექნება მას სარეკომენდაციო ბარათით მიმართოს, ასევე, სექსუალური შევიწროების პრევენციისა და მასზე რეაგირების შიდა მექანიზმი ითვალისწინებს პრევენციის ღონისძიებებს, რომელსაც მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის/მუნიციპალიტეტის მერის მიერ შერჩეული სპეციალისტი/მრჩეველი ახორციელებს. მექანიზმი უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის ორგანოებში სექსუალური შევიწროების შემთხვევების თავიდან აცილებას და სექსუალური შევიწროების აღმოფხვრის საკითხებზე თანამშრომლების ინფორმირებულობას.

თინათინ ნიბლოშვილმა მოხსენების მიწურულს აღნიშნა, რომ მექანიზმის მიღება არ გამოიწვევს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ხარჯების გამოყოფას და გავლენას არ მოახდენს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე, ასევე, დადგენილების პროექტი არ ახდენს ზეგავლენას ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე, ხოლო, პროექტის ავტორია - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭო და წარმდგენი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი თინათინ ნიბლოშვილი.

აზრი გამოთქვეს:

კომისიის თავმჯდომარის განმარტებით, მიზანშეწონილია, პროექტი სამართლებრივი საფუძვლებიდან ამოღებულ იქნას საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 68-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი, ასევე, პროექტის მე-2 მუხლში გასწორდეს ტექნიკური ხასიათის ხარვეზი და ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით.

კომისიის თავმჯდომარემ, გარდა, მითითებული რეკომენდაციის დაფიქსირებისა, ისაუბრა დადგენილების პროექტის არსისა და მისი მიღების მიზნობრიობის შესახებ, ამასთან, დადებითად შეაფასა პროექტით წარმოდგენილი საკითხი, რითაც, მისივე შეფასებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტი მნიშვნელოვან ნაბიჯს დგამს ამ მხრივ არსებული რეგულაციების გაუმჯობესებისა და მუნიციპალიტეტის ორგანოებში ადამიანთა კონსტიტუციით გარანტირებული უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის მექანიზმის გაუმჯობესებისათვის.

გადაწყვიტეს:

განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წევრმა ლილე ლიპარტელიანმა.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

3. მაია გბელიძემ, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით - მე-3 საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ, ინიციირების წესით წარმოდგენილი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 15 დეკემბრის №33-89 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ დადგენილების პროექტი, რითაც, წარმოდგენილი პროექტით ბიუჯეტის მოცულობა იზრდება სულ 241 034,9 ათასი ლარით და დედაქალაქის ბიუჯეტი შეადგენს 2 004 389,6 ათას ლარს, ასევე, წარმოდგენილ პროექტში გათვალისწინებულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების, რაიონის გამგეობების და სხვა საბიუჯეტო ორგანიზაციების დამატებითი მოთხოვნების და გადანაწილების შესახებ წინადადებები, ხოლო. აღნიშნულის გათვალისწინებით ასიგნებები გადანაწილდა შემდეგ პროგრამებზე/ქვეპროგრამებზე, მათ შორის:

- ✓ იზრდება გზების მშენებლობა და აღდგენა ქვეპროგრამის ასიგნებები – 23 473,8 ათასი ლარით, სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების ღონისძიებები - 25 346,7 ათასი ლარით, საინჟინრო ნაგებობების და ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა და აღდგენა/რეკონსტრუქცია - 12 043,5 ათასი ლარით, ბინათმშენებლობა და ავარიული შენობების გამაგრება - 209,3 ათასი ლარით, საპროექტო–საძიებო და კვლევითი სამუშაოები, ექსპერტიზა, კონსერვაცია და სხვა ღონისძიებები ქვეპროგრამის ასიგნებები - 210,0 ათასი ლარით, გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია და რეაბილიტაცია - 9 647,0 ათასი ლარით, სანიაღვრე ქსელის მოვლა-პატრონობა - 135,0 ათასი ლარით, კეთილმოწყობის საქალაქო

ღონისძიებები – 295,1 ათასი ლარით – 400,0 ათასი ლარით, ქალაქის განვითარების ხელშეწყობა - 3 000,0 ათასი ლარით, გამწვანების ღონისძიებები – 24 753,4 ათასი ლარით, დასუფთავების ღონისძიებები - 30 300,0 ათასი ლარით, თბილისის ზოოლოგიური პარკის განვითარების ხელშეწყობა – 487,6 ათასი ლარით, ბოტანიკური ბაღის განვითარების ხელშეწყობა – 3 720,2 ათასი ლარით, ასევე იზრდება ასიგნებები ბინათმესაკუთრება ამხანაგობების განვითარების მიმართულებით, გლდანის, ნაძალადევის, ჩუღურეთის, კრწანისის, ვაკის, საბურთალოსა და ისნის რაიონებში, აგრეთვე, დაავადებათა სკრინინგის მიმართულებით - 800,0 ათასი ლარით, სახსრების ენდოპროტეზირების დაფინანსება - 500,0 ათასი ლარით, აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა აბილიტაცია - 1 080,0 ათასი ლარით, სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახებისათვის 18 წლამდე ასაკის თითოეულ ბავშვზე ყოველთვიური დახმარება - 201,0 ათასი ლარით, სამედიცინო და სხვა სოციალური საჭიროებების დახმარების ღონისძიებები - 1 000,0 ათასი ლარით, სოციალურად დაუცველი 18 წლამდე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების დახმარება - 100,0 ათასი ლარი, შინმოვლის თანადაფინანსება - 35,0 ათასი ლარი, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელშეწყობა– 27 991,5 ათასი ლარით, საზოგადოების განათლებისა და ინფორმირების ხელშეწყობა - 4 099,5 ათასი ლარით, მულტიფუნქციური ბიბლიოთეკების გაერთიანების ხელშეწყობა - 590,0 ათასი ლარით, მუზეუმების გაერთიანების ხელშეწყობა) – 2 489,1 ათასი ლარით და სხვა პროგრამების/ქვეპროგრამების მიმართულებით, **ამასთან, ბიუჯეტის ქვეპროგრამების ჩამონათვალს ემატება ახალი ქვეპროგრამა** - თბილისის ავტობუსების პარკის განახლება - შევსება - 118 119,9 ათასი ლარის ოდენობით და ახალი პროგრამა - რეკრეაციული ტერიტორიების მოწყობა რეაბილიტაცია – 26 000,0 ათასი ლარის ოდენობით, რომელიც გააერთიანებს შემდეგ ქვეპროგრამებს: სამხედრო ქალაქის პარკის მოწყობა – 6 000,0 ათასი ლარი, ვერის ბაღის რეაბილიტაცია - 10 000,0 ათასი ლარი, ვაკის პარკის შადრევნების და კასკადის რეაბილიტაცია - 10 000,0 ათასი ლარი;

✓ **მცირდება** - საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის მოძრავი შემადგენლობის მოდერნიზაცია - 113 082,0 ათასი ლარით, ზოგადი განათლების და სასკოლო პროექტების ხელშეწყობა - 71,1 ათასი ლარით, პროფესიული განათლების და დასაქმების ხელშეწყობა– 270,0 ათასი ლარით, თბილისის მყარი ნარჩენების პროექტის სესხის მომსახურება - 8 000,0 ათასი ლარით, ასევე, **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ დამტკიცებული სსიპ(ებ)-ის და ა(ა)იპ(ებ)-ის საშტატო რიცხოვნობიდან გამომდინარე, დაზუსტდა ბიუჯეტით განსაზღვრული მომუშავეთა რიცხოვნობა,** კერძოდ: ა(ა)იპ - თბილისის ზოოლოგიური პარკის მომუშავეთა რიცხოვნობა შემცირდა 2 ერთეულით, ა(ა)იპ- სოციალური მზრუნველობის სააგენტოს მომუშავეთა რიცხოვნობა შემცირდა 1 ერთეულით, ა(ა)იპ - თბილისის მუნიციპალური თავშესაფრის მომუშავეთა რიცხოვნობა გაიზარდა 4 ერთეულით, ა(ა)იპ -მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტოს მომუშავეთა რიცხოვნობა გაიზარდა 11 ერთეულით, ა(ა)იპ - მულტიფუნქციური ბიბლიოთეკების გაერთიანების მომუშავეთა რიცხოვნობა შემცირდა 8 ერთეულით, ა(ა)იპ ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის მომუშავეთა რიცხოვნობა შემცირდა 6 ერთეულით, ა(ა)იპ - ახმეტელის თეატრის მომუშავეთა რიცხოვნობა შემცირდა 1 ერთეულით, ა(ა)იპ - პანტომიმის თეატრის მომუშავეთა რიცხოვნობა - 9 ერთეულით, ა(ა)იპ - საჯარო ხელოვნების ფონდის მომუშავეთა რიცხოვნობა შემცირდა 3 ერთეულით, სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს

მომუშავეთა რიცხოვნობა გაიზარდა 100 ერთეულით. შესაბამისად, ბიუჯეტით განსაზღვრული მომუშავეთა რიცხოვნობა მთლიანობაში განისაზღვრა 4876 ერთეულით.

როგორც მომხსენებელმა განმარტა, პროექტის მიღებასთან დაკავშირებული საფინანსო - ეკონომიკური გაანგარიშება გამოიყურება შემდეგი სახით:

✓ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის შემოსულობების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 1 804 354,7 ათასი ლარის ოდენობით და ნაშთის ცვლილება 200 034,9 ათასი ლარით.
✓ შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 1 734 254,7 ათასი ლარის ოდენობით, აქედან: გადასახადები 918 661,8 ათასი ლარი, გრანტები 508 909,9 ათასი ლარი, სხვა შემოსავლები 306 683,0 ათასი ლარი;
✓ ბიუჯეტის გადასახდელები განსაზღვრულია 2 004 389,6 ათასი ლარით;
✓ ბიუჯეტის მთლიანი სალდო განისაზღვრა (165 096,0) ათასი ლარით.

მოხსენების მიწურულს, მაია გბელიძემ აღნიშნა, რომ დადგენილების პროექტის ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე, ხოლო, დამტკიცების შემთხვევაში, დადგენილება ამოქმედდება გამოქვეყნებისთანავე.

აზრი გამოთქვეს:
კომისიის თავმჯდომარემ დამაზუსტებელი კითხვით მიმართა მომხსენებელს ე.წ. „სამხედრო ქალაქის" მიმდებარე ტერიტორიაზე დაგეგმილ სარეკრეაციო სივრცის მოწყობის ღონისძიებებთან დაკავშირებით გამოყოფილი საბიუჯეტო სახსრების ოდენობის თაობაზე და ასევე, გამოხატა დაინტერესება პროექტის სრულყოფილად შესასრულებლად, რამდენად საკმარისია, ამ მიზნით განსაზღვრული საბიუჯეტო ასიგნებები, რაზეც, მომხსენებელმა განმარტა, რომ დაახლოებით განსაზღვრულია 6 000 000 (ექვსი მილიონი) ლარი, რაც არ იქნება საკმარისი დაგეგმილი პროექტის განსახორციელებლად, შესაბამისად, პროექტის დასრულებისათვის დაფინანსება უზრუნველყოფილი იქნება მომდევნო საბიუჯეტო წლის ასიგნებებიდან.

კომისიის თავმჯდომარემ ასევე დამაზუსტებელი შეკითხვით მიმართა მომხსენებელს ბიუჯეტის შესაბამისად აუთვისებელ თანხებთან დაკავშირებით, რაზეც მომხსენებელმა განმარტა, რომ გამოვლენილ იქნა აუთვისებელი თანხების სათანადო ოდენობა, რომელთა აუთვისებლობა დამოკიდებული იყო შემსრულებელ ორგანიზაციებზე.

გადაწყვიტეს:
განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავეს:

- ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" წევრმა ლილე ლიპარტელიანმა.
- უფრაქციო დეპუტატმა გიორგი ონიანმა;
- უფრაქციო დეპუტატმა თორნიკე ბიკაშვილმა;
- უფრაქციო დეპუტატმა დავით ფარცვანიამ.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

4. ქეთევან კანდელაკიშვილმა, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით - მე-4 საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 28 თებერვლის №54-35 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ პროექტი, რაც ითვალისწინებს, აღნიშნული დადგენილების მე-2 მუხლის ახალი რედაქციით ჩამოყალიბებას, შედეგად კი - ამ დადგენილებით დამტკიცებული წესი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მეორეული საბურავების, შავი და ფერადი ლითონების ჯართის, ექსპლუატაციიდან გამოსული სატრანსპორტო საშუალებებისა და მათი ნაწილების, ადვილად აალებადი, ფეთქებადი ან ამტვერებადი მასალის განთავსებასა ან/და რეალიზაციაზე <u>გავრცელდება 2026 წლის 1 იანვრიდან (ნაცვლად 2024 წლის პირველი იანვარისა).</u>

მომხსენებლის მითითებით, პროექტის მე-2 მუხლით განსაზღვრულია, რომ დადგენილება, დამტკიცების შემთხვევაში ამოქმედდება გამოქვეყნებისთანავე და გავრცელდება 2024 წლის პირველი იანვრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, „საქართველოს ბიზნეს ასოციაციის" მიერ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერს ეცნობა, რომ 2023 წლის 12 თებერვალს, საქართველოს ბიზნეს ასოციაციას კოლექტიური წერილით მიმართა მეორადი საბურავებითა და გარკვეული ტიპს საქონლით მოვაჭრე სუბიექტებმა, რომლებმაც ითხოვეს შუამდგომლობის გაწევა უფლებამოსილ ორგანოსთან ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 28 თებერვლის №54-35 დადგენილებით დამტკიცებული „მეორეული საბურავების, შავი და ფერადი ლითონების ჯართის, ექსპლუატაციიდან გამოსული სატრანსპორტო საშუალებებისა და მათი ნაწილების, ადვილად აალებადი, ფეთქებადი ან ამტვერებადი მასალის განთავსების ან/და რეალიზაციის წესის ამოქმედების ვადის გადაწევის საკითხთან დაკავშირებით, ვინაიდან, აღნიშნული საქმიანობის განმახორციელებელი სუბიექტები, მათივე განმარტებით, არ არიან მზად, საქმიანობის ადაპტირება მოახდინონ 2024 წლის პირველი იანვრიდან ამოქმედებული წესით განსაზღვრული რეგულაციის დანაწესებთან.

ქეთევან კანდელაკიშვილის მითითებით, აღნიშნულ ბიზნესში დასაქმებული ადამიანებისათვის საქმიანობის ხელშეწყობისა და ახალ რეგულაციაზე გადასვლისათვის აუცილებელი ღონისძიებების განსახორციელებლად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული პროექტის შესაბამისად დამატებითი ვადის განსაზღვრა და დადგენილების პროექტის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარმოდგენა. მან აქვე დასძინა, რომ პროექტის მიღება არ გამოიწვევს დამატებითი თანხების გამოყოფას ბიუჯეტიდან, პროექტის ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე, აგრეთვე, არ მოახდენს ზეგავლენას გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე.

აზრი გამოთქვეს:
კომისიის თავმჯდომარემ მიზანშეწონილად მიიჩნია, პროექტის სამართლებრივ საფუძვლებში მიეთითოს საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტი, რაც გაზიარებულ იქნა საკითხის წარმომდგენის მიერ.

საკითხის წარმომდგენმა კომისიას მიმართა წინადადებით, რომ დადგენილებით დამტკიცებული წესი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მეორეული საბურავების, შავი და ფერადი ლითონების ჯართის, ექსპლუატაციიდან გამოსული

სატრანსპორტო საშუალებებისა და მათი ნაწილების, ადვილად აალებადი, ფეთქებადი ან ამტვერებადი მასალის განთავსებასა ან/და რეალიზაციაზე ამოქმედდეს 2025 წლის პირველი იანვრიდან, რაც კომისიის წევრებმა გაიზიარეს.

გადაწყვიტეს:

განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავეს:

- ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წევრმა ლილე ლიპარტელიანმა.
- უფრაქციო დეპუტატმა გიორგი ონიანმა;
- უფრაქციო დეპუტატმა თორნიკე ბიკაშვილმა;

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და კომისიის რეკომენდაციისა და საკითხის მომხსენებლის წინადადების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:
5. თამარ ბერუაშვილმა, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით - მე-5 საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი, რაც ითვალისწინებს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის N35-100 დადგენილებით დამტკიცებული, „აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა რეაბილიტაციის ქვეპროგრამის განხორციელების წესში“ ცვლილების განხორციელებას, რითაც, ქვეპროგრამის ფარგლებში, თვის მანძილზე დასაფინანსებელ ბენეფიციართა რაოდენობა - 1850 ერთეული, იზრდება 250 ერთეულით და ჯამურად, ქვეპროგრამის ფარგლებში თვეში არაუმეტეს 2100 ბენეფიციარი დაფინანსდება.

მომხსენებლის მითითებით, დადგენილების პროექტი მოწონებულ იქნა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ და მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის წარმოდგენა, კანონმდებლობით დადგენილი წესით, ამასთან, დაამატა, რომ დადგენილების პროექტი, მისი მიღების შემთხვევაში ამოქმედდება გამოქვეყნებისთანავე, ხოლო, მისი ამოქმედებისათვის არ არის საჭირო დამატებითი საბიუჯეტო სახსრები და პროექტის მიღება არ მოახდენს უარყოფით ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე, ასევე, არ ახდენს ზეგავლენას გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე.

გადაწყვიტეს:

განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავეს:

უფრაქციო დეპუტატებმა გიორგი ონიანმა და თორნიკე ბიკაშვილმა;

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:
6. ვახტანგ ლომჯარიამ, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით - მე-6

საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი, რაც მოწონებულ იქნა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ და ითვალისწინებს, ცვლილების განხორციელებას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებულ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესებში.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ზემოაღნიშნულ წესების V თავი (39^3-39^5) არეგულირებს კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენებასთან დაკავშირებულ საკითხებს, მათ შორის, ეს თავი აზუსტებს, რომ ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენებისათვის მაკომპენსირებელ ღონისძიებად შეიძლება განისაზღვროს „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებულ ავარიულ შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით შესაბამისი ფასის გადახდა“, ამასთან, ზემომითითებული წესების 39^5 მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით, გადასახდელი ფასის ოდენობას განსაზღვრავს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებით. მომხსენებელმა აქვე დაამატა, რომ აღნიშნული ფასის დადგენის მიზნით, პრაქტიკაში არსებობს შესაბამისი ფორმულა, რის მიხედვითაც, ყველა შემთხვევაში ერთგვაროვნად, ერთნაირი პრინციპით ხდება ამ ფასის განსაზღვრა, ამასთან, ეს ფორმულა, ყოველთვის მიეთითება და იწერება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის და საკრებულოს შესაბამისი განკარგულებებში, თუმცა თბილისის მთავრობა მიზანშეწონილად მიიჩნევს, რომ ეს ფორმულა ნორმატიულად გაიწეროს ასევე განაშენიანების რეგულირების წესებშიც.

ვახტანგ ლომჯარიას მითითებით, ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პროექტით, ზემომითითებული წესების 39^5 მუხლს ემატება მე-3^1 პუნქტი, სადაც მიეთითება სწორედ ამ ფასის გადახდის პრინციპი და საანგარიშო ფორმულა, შესაბამისი სახით.

მოხსენების მიწურულს, ვახტანგ ლომჯარიამ აღნიშნა, რომ პროექტის მიღება არ გამოიწვევს ბიუჯეტიდან აუცილებელი ხარჯების გამოყოფას, არ მოახდენს გავლენას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე. ასევე, დადგენილების ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე.

გადაწყვიტეს:
განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავეს:

- ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წევრმა ლილე ლიპარტელიანმა.
- უფრაქციო დეპუტატმა გიორგი ონიანმა;
- უფრაქციო დეპუტატმა თორნიკე ბიკაშვილმა;

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

7. ვასილ აბულაძემ, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით - მე-7 საკითხად განსაზღვრული დადგენილების პროექტი, რაც ითვალისწინებს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის №35-105 დადგენილების პირველი მუხლის „ა" ქვეპუნქტით დამტკიცებულ დანართი 1-ში ცვლილებების შეტანას, რითაც კონკრეტდება, რომ ავტობუსის ძარის ვიზუალური მდგომარეობა აშკარად უნდა იძლეოდეს ინფორმაციას მათი მეშვეობით კონკრეტული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მოსწავლეების გადაყვანის თაობაზე, რათა მაკონტროლებლის და სხვა მძღოლების მიერ მარტივად მოხდეს მათი იდენტიფიცირება, ამასთან, წარმოდგენილი პროექტით, საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში დასაქმებული პირების სპეციალური რეგულარული გადაყვანის მარშრუტების დამტკიცების მიზნით, დამსაქმებლის მიერ, წერილობითი განცხადებით, სააგენტოსთვის წარსადგენ დოკუმენტაციის ჩამონათვალს ემატება, ავტობუს(ებ)ის პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების წარმატებით გავლის დამადასტურებელი მოწმობა, ვინაიდან, მომხსენებლის განმარტებით, მარშრუტის შეთანხმებისას დადგინდეს მარშრუტზე მოძრავი სატრანსპორტო საშუალების კატეგორია და მისი ტექნიკურად გამართულობის საკითხი.

ვასილ აბულაძის მითითებით, დადგენილების პროექტის ამოქმედებისთვის დამატებითი საბიუჯეტო სახსრები საჭირო არ არის, ასევე, პროექტის ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე, აგრეთვე, არ მოახდენს ზეგავლენას გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე. მომხსენებელმა აქვე დასძინა, რომ პროექტი მოწონებულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ და აღნიშნულის ამოქმედების თარიღად განისაზღვრება მისი გამოქვეყნების თარიღი.

გადაწყვიტეს:
განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავეს:

- ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" წევრმა ლილე ლიპარტელიანმა.
- უფრაქციო დეპუტატმა გიორგი ონიანმა;
- უფრაქციო დეპუტატმა თორნიკე ბიკაშვილმა;

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:
8. ვასილ აბულაძემ, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით - მე-8 საკითხად განსაზღვრული დადგენილების პროექტი, რაც ითვალისწინებს, ცვლილებების შეტანას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 15 მაისის №57-52 დადგენილებით დამტკიცებულ წესში (შემდგომში - წესი) შემდეგი ცვლილებების განხორციელებას:

✓ წესის მე-2 მუხლში მე-3 პუნქტის დამატებით განისაზღვრება, რომ: „სააგენტოს თანამშრომლები სამსახურებრივ უფლებამოსილებას, როგორც წესი, სპეციალური ფორმის ტანსაცმლით ახორციელებენ. თანამშრომლის სპეციალური ფორმის ტანსაცმლის ნიმუშებსა და გამოყენების წესს ამტკიცებს სააგენტოს უფროსი, ცვლილება ხორციელდება საზოგადოებაში სააგენტოს თანამშრომლების ცნობადობის ამაღლების მიზნით;

✓ წესის მე-5 მუხლში, 2[2] პუნქტის დამატებით განისაზღვრება შემდეგი ღონისძიება, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირის კოორდინირებული ფუნქციონირების მიზნით:

- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახური, რომელიც „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე ახორციელებს ჩასატარებელი ინფრასტრუქტურული სამუშაოების კონტროლს (ინსპექტირებას), უფლებამოსილია შესასრულებელი სამუშაოების შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიაწოდოს წერილობითი ინფორმაცია, სადაც აღნიშნული იქნება, რომ მიმწოდებელი სამუშაოების შესრულებას განახორციელებს შეთანხმებული საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემის (დროებითი ან მუდმივი) შესაბამისად და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახური უზრუნველყოფს სქემის შესაბამისად სამუშაოების შესრულების კონტროლს, ამ შემთხვევაში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო არ განახორციელებს სამუშაოების მიმდინარეობისას საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემის კონტროლს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევთა კოდექსის 134[1] მუხლის შესაბამისად".

მომხსენებლის მითითებით, პროექტით ახალი რედაქციით მტკიცდება, დადგენილების მოქმედი რედაქციით დამტკიცებული წესის მე-3 მუხლის მე-7 პუნქტით განსაზღვრული წესის დანართი 1, პროექტზე თანდართული რედაქციით, რაც მომხსენებლის განმარტებით, „მკაცრი აღრიცხვის ფორმების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, შეთანხმებულია საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან. მომხსენებელმა აქვე დაამატა, რომ პროექტის ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე, აგრეთვე, არ მოახდენს ზეგავლენას გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე, ხოლო, დამტკიცების შემთხვევაში, ამოქმედდება გამოქვეყნებისთანავე.

გადაწყვიტეს:
განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავეს:

- ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" წევრმა ლილე ლიპარტელიანმა.
- უფრაქციო დეპუტატმა გიორგი ონიანმა;
- უფრაქციო დეპუტატმა თორნიკე ბიკაშვილმა;

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:
9. ვასილ აბულაძემ, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით - მე-9 საკითხად განსაზღვრული დადგენილების პროექტი, რაც ითვალისწინებს, ქალაქ თბილისის

მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის №35-106 დადგენილებაში ცვლილების შეტანას, აღნიშნული დადგენილების პირველი მუხლის მე-2 პუნქტში „ა.ე." ქვეპუნქტის დამატებას, რითაც, აღნიშნული პირველი მუხლით განსაზღვრული შეზღუდვა -„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში საერთო სარგებლობის საავტომობილო გზებზე 08:00-11:00 და 17:00-20:00 საათების შუალედში, M3, N2 და N3 კატეგორიების სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობის აკრძალვა, არ გავრცელდება ასევე, „იმ სატრანსპორტო საშუალებაზე, რომელზეც ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტომ ამ დადგენილებით დამტკიცებული დანართი 2-ით დადგენილი წესით გასცა თანხმობა და რომელიც ამ თანხმობის შესაბამისად მოძრაობს."

მომხსენებელმა ასევე დაამატა, რომ წარმოდგენილი პროექტის შესაბამისად, მოქმედი დადგენილებით განსაზღვრული დანართი ხდება - დანართი 1, ხოლო, დადგენილებას ემატება დანართი 2, რითაც განისაზღვრება, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ– ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ თანხმობის მიცემის წესი, სადაც გათვალისწინებულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში საერთო სარგებლობის საავტომობილო გზებზე 08:00-11:00 და 17:00-20:00 საათების შუალედში M3, N2 და N3 კატეგორიების სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობაზე თანხმობის მისაღებად განმცხადებლის მიერ წარსადგენი დოკუმენტების ნუსხა, წარდგენილი დოკუმენტების განხილვის პირობები, თანხმობის მიცემის წესი და აკრძალული საათების შუალედში სააგენტოს თანხმობის გარეშე სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობისათვის შესაბამისი პასუხისმგებლობა.

მომხსენებელმა დაამატა, რომ პროექტი მოწონებულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ, ამასთან, პროექტის ამოქმედებისთვის დამატებითი საბიუჯეტო სახსრები საჭირო არ არის, მისი ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე, აგრეთვე, არ მოახდენს ზეგავლენას გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე, ხოლო, პროექტის ამოქმედების თარიღად განისაზღვრა მისი გამოქვეყნების თარიღი.

გადაწყვიტეს:
განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავეს:

- ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" წევრმა ლილე ლიპარტელიანმა.
- უფრაქციო დეპუტატმა გიორგი ონიანმა;
- უფრაქციო დეპუტატმა თორნიკე ბიკაშვილმა;

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:
10. დავით ჯაიანმა, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით - მე-10 საკითხად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-47 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ პროექტი, რაც ითვალისწინებს, აღნიშნულ დადგენილებაში იმგვარი ცვლილებების განხორციელებას, რითაც განხორციელდება:

✓ ავტობუსის (M2 კატეგორია) #580 მარშრუტისთვის, კრწანისის II შესახვევიდან (გრიგოლ ვოლსკის ქუჩის გადაკვეთის მიმდებარე ტერიტორია) ყოველდღიური მომსახურები დამატება სსიპ-საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მარლთმადიდებელი ეკლესიის მიმართულებით 08:30 და 18:30 საათებში, ასევე ყოველ ხუთშაბათს მითითებული მიმართულებით დამატებითი მომსახურების გაწევა 14:30 და 16:30 საათებში. აღნიშნული ცვლილება „შენიშვნის" სახით ჩაემატა ავტობუსის (M2 კატეგორია) #580 მარშრუტს. გამომდინარე აღნიშნულიდან, ცვლილება შედის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-47 დადგენილების პირველი პუნქტის:

- „ა" ქვეპუნქტით დადგენილ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში ჩართვის უზრუნველსაყოფად ავტობუსების (M2 კატეგორია) მარშრუტებში - დანართი 1-ში;
- „ბ" ქვეპუნქტით დადგენილ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში ჩართვის უზრუნველსაყოფად ავტობუსების (M2 კატეგორია) მარშრუტების განრიგში - დანართი 2-ში;
- „გ" ქვეპუნქტით დადგენილ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში ჩართვის უზრუნველსაყოფად ავტობუსების (M2 კატეგორია) მიერ მარშრუტებზე თვის განმავლობაში გასავლელი კილომეტრში - დანართი 3-ში;

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, პროექტის მომზადება განპირობებულ იქნა მგზავრთა მომსახურების შემდგომი გაუმჯობესების მიზნით, კონკრეტულად ავტობუსის (M2 კატეგორია) #580 მარშრუტის მოძრაობაში გარკვეული კორექტივების განხორციელებით, ამასთან, დასძინა, რომ პროექტის ამოქმედებისთვის დამატებითი საბიუჯეტო სახსრები საჭირო არ არის, მისი ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე, აგრეთვე, არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე, ხოლო, დადგენილების პროექტის ამოქმედების თარიღად განისაზღვრა გამოქვეყნების დღე.

გადაწყვიტეს:

განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავეს:

- ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" წევრმა ლილე ლიპარტელიანმა.
- უფრაქციო დეპუტატმა გიორგი ონიანმა;
- უფრაქციო დეპუტატმა თორნიკე ბიკაშვილმა;

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

11. ირაკლი თავართქილაძემ, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით - მე-11 საკითხად განსაზღვრული, დედაქალაქის საკრებულოში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი განკარგულების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის N649 განკარგულებაში ცვლილების შეტანას შემდეგ გარემოებათა გამო:

✓ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ მიღებული შესაბამისი განკარგულების დანართი N1-ით გათვალისწინებულ პირებს საკუთრებაში უნდა გადასცემოდათ ქალაქ თბილისში, თენგიზ ჩანტლაძის ქუჩა N21ბ-ში (ს/კ 01.19.10.041.028) არსებული ფართები, რომლებთანაც გასაფორმებელი ხელშეკრულების დანართი N2-ის მე-2 მუხლით გათვალისწინებული იყო საპრივატიზებო პირობა: „ქ. თბილისში, კალოუბნის ქუჩა N18-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.20.017.008) არსებულ უძრავ ქონებაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ დაგეგმილი ავარიული კორპუსების ჩანაცვლების პროგრამის განხორციელება, რომლის მიზანია ავარიული საცხოვრებელი სახლების დემონტაჟი და ახალი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების მშენებლობა ამ ხელშეკრულებაზე ქონების შემძენის მიერ ხელის მოწერის შემთხვევაში თანხმობას აცხადებას, აღნიშნული პროგრამის შეუფერხებლად განხორციელებაზე. იმ შემთხვევაში თუ ქონების შემძენის მხრიდან არ იქნება ხელმოწერილი აღნიშნული ხელშეკრულება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების გამოცემიდან 3 (სამი) თვის ვადაში, ეკარგება ყველანაირი მოთხოვნის უფლება ქალაქ თბილისში, კალოუბნის ქუჩა N18-ში მდებარე უძრავ ქონებასთან დაკავშირებით";

მომხსენებელის განმარტებით, იმის გათვალისწინებით, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2023 წლის 20 დეკემბრის სათანადო განკარგულების დანართი N1-ით განსაზღვრული საპრივატიზებო ფართები არ მდებარეობს ავარიულ შენობაში, საჭირო გახდა შესაბამისი ცვლილება შევიდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მითითებულ განკარგულებასა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის N649 განკარგულებაში.

გადაწყვიტეს:
განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავეს:

- ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" წევრმა ლილე ლიპარტელიანმა.
- უფრაქციო დეპუტატმა გიორგი ონიანმა;
- უფრაქციო დეპუტატმა თორნიკე ბიკაშვილმა;

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

12. ირაკლი თავართქილაძემ, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით - მე-12 საკითხად განსაზღვრული განკარგულების პროექტი, რაც ითვალისწინებს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობისათვის თანხმობის მიცემას, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2022 წლის 22 ივნისის N22.950.1016 განკარგულების ნაწილობრივ ძალადაკარგულად გამოცხადებასა და ქალაქ თბილისში, იაკობ ხვედელიანის ჩიხი N17-ში, პირველ სართულზე არსებული 68.19 კვ.მ. ფართის პირდაპირი განკარგვის ფორმით სიმბოლურ ფასად 1 - (ერთ)

ლარად, მოქალაქე როლანდი ხოზრევანიძისთვის პრივატიზების საკითხზე, სათანადო ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად, აგრეთვე, განკარგულების პროექტი ითვალისწინებს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 16 ივლისის N295 განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადებას, მოქალაქე როლანდი ხოზრევანიძის (პ/ნ: 01001010081) ნაწილში.

განმაცხადებელმა ისაუბრა საკითხთან დაკავშირებული გარემოებების გათვალისწინებით, და აღნიშნა, რომ სამგორის რაიონის გამგეობის შუამდგომლობისა და შესწავლილი ინფორმაციის საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ზემოაღნიშნული განკარგულებების საფუძველზე, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, ქალაქ თბილისში, იაკობ ხვედელიანის ჩიხი N17-ში, პირველ სართულზე არსებული 68.19 კვ.მ ფართის პირდაპირი განკარგვის ფორმით, მოქალაქე როლანდი ხოზრევანიძისთვის (პ/ნ 03001010081) პრივატიზების საკითხზე, თუმცა, აღნიშნული პირის ჯანმრთელობის პრობლემების გაუარესების გამო, სათანადო ვადაში, ვერ გაფორმდა უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ ხელშეკრულება და აღნიშნული უძრავი ქონება წარმოადგენს კვლავ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებას, შესაბამისად, მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული, ზემოაღნიშნული განკარგულებების ნაწილობრივ ძალადაკარგულად გამოცხადება ხსენებული პირის ნაწილში, ხოლო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის განმეორებით წარმოდგენა - ქალაქ თბილისში, იაკობ ხვედელიანის ჩიხი N17-ში, პირველ სართულზე არსებული 68.19 კვ.მ ფართის პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების გზით, მოქალაქე როლანდი ხოზრევანიძისთვის პრივატიზების თაობაზე საკითხის.

მომხსენებელმა დასძინა, რომ მოქალაქე როლანდი ხოზრევანიძის საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე რეგისტრირებული არ არის/არ ყოფილა, ხოლო, ზემოაღნიშნული პირის მიერ უძრავი ქონების 2009 წლიდან ფლობის ფაქტი დასტურდება შსს-ს შემოწმების ოქმებით, მეზობლების ნოტარიულად დამოწმებული განცხადებით და გამგეობის შემოწმების აქტით.

აზრი გამოთქვეს:

კომისიის თავმჯდომარემ ისაუბრა პროექტის სამართლებრივ საფუძვლებსა და სათაურში ტექნიკური ხასიათის ხარვეზების გასწორების თაობაზე, რაც გაზიარებულ იქნა საკითხის წარმომდგენის მიერ.

გადაწყვიტეს:

განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავეს:

- ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წევრმა ლილე ლიპარტელიანმა.
- უფრაქციო დეპუტატმა გიორგი ონიანმა;
- უფრაქციო დეპუტატმა თორნიკე ბიკაშვილმა;

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

13. ირაკლი თავართქილაძემ, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით

- მე-13 საკითხად განსაზღვრული განკარგულების პროექტი, რაც ითვალისწინებს, ქალაქ თბილისში, ჟიული შარტავას ქუჩა N3-ში მდებარე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ფართების, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სათანადო განკარგულების დანართით გათვალისწინებული პირებისთვის, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად, პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებას.

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ საკითხთან დაკავშირებით მიღებული განკარგულებით, სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს დაევალა კანონმდებლობით დადგენილი წესით, გააფორმოს პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ შესაბამისი ხელშეკრულებები ამავე განკარგულების დანართი N3-ით განსაზღვრულ პირებთან, აქვე დასძინა, რომ განკარგულების პროექტთან ერთად წარმოდგენილი ხელშეკრულების თანახმად, უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების გადაცემის სანაცვლოდ, ქონების შემძენი უარს აცხადებს - ნებისმიერ შესაძლო მოთხოვნაზე, საჩივარზე, სარჩელსა ან/და პრეტენზიაზე, ასევე, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნაზე შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის“ ამხანაგობა „თაბუკაშვილი 88“-ის ან/და მათთან დაკავშირებული ნებისმიერი ფიზიკური ან/და იურიდიული პირის, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის, მისი ორგანოების, სახელმწიფოს ან/და ნებისმიერი სხვა პირის მიმართ. ამასთან, უარს ამბობს მოთხოვნაზე შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფთან“ ან/და მასთან დაკავშირებულ ნებისმიერ ფიზიკურ ან/და იურიდიულ პირთან, ასევე, ამხანაგობა „თაბუკაშვილი 88“-სთან გაფორმებული ნებისმიერი ხელშეკრულებიდან გამომდინარე მისთვის მინიჭებული უფლები რეალიზებასთან დაკავშირებით, რომელიმე ადმინისტრაციულ ორგანოში/სასამართლოში წარდგენილ საჩივარზე/სარჩელზე.

აზრი გამოთქვეს:

კომისიის თავმჯდომარემ ისაუბრა პროექტის სათაურის, სამართლებრივი საფუძვლებისა და პროექტის პირველი პუნქტის რედაქტირებისა და სათანადო სახით ჩამოყალიბების მიზანშეწონილობის საკითხებზე, რომლებიც გაზიარებულ იქნა საკითხის წარმომდგენის მიერ.

გადაწყვიტეს:
განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავეს:

- ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წევრმა ლილე ლიპარტელიანმა.
- უფრაქციო დეპუტატმა თორნიკე ბიკაშვილმა;
- უფრაქციო დეპუტატმა გიორგი ონიანმა.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:
14. ირაკლი თავართქილაძემ, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით - მე-14 საკითხად განსაზღვრული განკარგულების პროექტი, რაც ითვალისწინებს, მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებული, ჯამურად 256.14 კვ.მ უძრავი ქონების მდებარე:

ქალაქი თბილისი, სამგორის რაიონი, მე-3 მასივი, შემდეგი პირებისათვის პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზების საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებას:

- ✓ მზია ზუმბაძეს -60.98 კვ.მ და 9.65 კვ.მ ფართები; მარიამ ხიზანიშვილს - 39.83 კვ.მ და 13.53 კვ.მ ფართები; გიორგი ზუბიაშვილს 42.9 კვ.მ და გიორგი თაკვარელიას - 89.25 კვ.მ.

მომხსენებლის განმარტებით, სამგორის რაიონის გამგეობას წარედგინა ზემოაღნიშნული პირების განცხადება ფაქტობრივად დაკავებული უძრავი ქონების სიმბოლურ ფასად პრივატიზებასთან დაკავშირებით, ხოლო გამგეობის მიერ საკითხის შესწავლის პროცესში გამოვლინდა შემდეგი გარემოებები: შინაგან საქმეთა სამინისტროს ქალაქ თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ისანი-სამგორის მთავარი სამმართველოს პოლიციის I სამმართველოს ინფორმაციით, ზემოაღნიშნული პირები 10 წელია ნამდვილად ცხოვრობენ მითითებულ მისამართზე. ასევე, ნოტარიულად დამოწმებული, მეზობლების თანხმობით, აღნიშნული მოქალაქეები 2011-2012 წლებიდან დღემდე ნამდვილად ცხოვრობენ ქალაქ თბილისში, სამგორი რაიონში, მე-3 მასივში და ფლობენ უძრავ ქონებას, მითითებული ასევე დასტურდება სამგორის რაიონის გამგეობის შემოწმების ოქმებით, ამასთან, ნოტარიულად დამტკიცებული ოჯახის წევრები თანხმობას აცხადებენ უძრავი ქონება გაფორმდეს მათი ოჯახის ერთ წევრზე და ამასთან დაკავშირებით მათ არანაირი პრეტენზია არ ექნებათ, ამასთან, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემების მიხედვით, ზემოაღნიშნულ პირებზე საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მასშტაბით რეგისტრირებული არ არის.

ირაკლი თავართქილაძემ ასევე აღნიშნა, რომ სამგორის რაიონის გამგეობის შუამდგომლობისა და ზემოაღნიშნულის გათვალისწინების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია დევნილის სტატუსის არმქონე მოქალაქეებისათვის, ხანგრძლივი დროის მანძილზე დაკავებული უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარმოდგენა.

გადაწყვიტეს:
განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავეს:

- ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წევრმა ლილე ლიპარტელიანმა.
- უფრაქციო დეპუტატმა თორნიკე ბიკაშვილმა;

განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დამოუკიდებელმა დეპუტატმა - დავით ფარცვანიამ.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:
15.ირაკლი თავართქილაძემ, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით - მე-15 საკითხად განსაზღვრული განკარგულების პროექტი, რაც ითვალისწინებს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ჯამში 149.31 კვ.მ უძრავი ქონების,

მდებარე: ქალაქი თბილისი, ქალაქ თბილისში, ნუცუბიძის ქუჩა N76, პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად, შემდეგი პირებისთვის პრივატიზების საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებას:

- ✓ დარეჯან ფოფხაძეს - 37.08 კვ.მ; ნინელი ესაკიას - 52.45 კვ.მ; დარეჯან ბენდიანიშვილს - 13.53 კვ.მ, ლალი გაგლოშვილს -22.40 კვ.მ და ივეტა გორგიშელს - 13.32 კვ.მ და 10.53 კვ.მ.

მომხსენებლის მითითებით, ვაკის რაიონის გამგეობას წარედგინა, ზემოაღნიშნული პირების განცხადება, ფაქტობრივად დაკავებული უძრავი ქონების, სიმბოლურ ფასად პრივატიზებასთან დაკავშირებით, ხოლო, გამგეობის მიერ, საკითხის შესწავლის დროს გამოიკვეთა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ვაკე-საბურთალოს მთავარი სამმართველოს პოლიციის II ინფორმაციით, აღნიშნული პირები 1991-1994 წლებიდან ნამდვილად ცხოვრობენ მითითებულ მისამართზე, ასევე, პირთა ცხოვრების ფაქტი, სანოტარო წესით დამოწმებული მეზობლების თანხმობით, დასტურდება 1981-1994 წლებიდან, აგრეთვე, სსიპ - დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროების უზრუნველყოფის სააგენტოს ინფორმაციით, ზითითებული პირები მონაცემთა ბაზის მიხედვით დევნილად რეგისტრირებულნი არ არიან, ხოლო, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემების მიხედვით, ზემოაღნიშნულ პირებზე საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მასშტაბით რეგისტრირებული არ არის.

მომხსენებელმა ასევე განმარტა, რომ უძრავი ქონების მოქალაქეთა საკუთრებაში მიღებასთან დაკავშირებით, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციული კოლეგიის მიერ 2017 წლის 11 აპრილს მიღებულია გადაწყვეტილებით (საქმე: N3/7455-16), მოქალაქეთა სასარჩელო მოთხოვნა ნაწილობრივ დაკმაყოფილდა (მათ მიერ დაკავებული ფართების საკუთრებაში გადაცემის საკითხის თაობაზე), ბათილად იქნა ცნობილი სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს გადაწყვეტილება მოქალაქეთა ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ და სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს დაევალა, კანონით დადგენილ ვადაში საქმის (პრივატიზების საკითხი) არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებათა შესწავლის გამოკვლევისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, გამოეცა ახალი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, ასევე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 16 მაისის წერილით, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ეთხოვა მოქალაქეთა ფაქტობრივ მფლობელობაში არსებული უძრავი ქონების (ფართების) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში გადაცემა, შემდგომში დაინტერესებული პირებისთვის საკუთრებაში გადაცემის მიზნით, ხოლო, სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მიერ დაკმაყოფილდა მოთხოვნა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტს საკუთრებაში გადაეცა 11 (თერთმეტი) ერთეული უძრავი ქონება, შემდეგი დაინტერესებული პირებისათვის სიმბოლურ ფასად პრივატიზების მიზნით.

აზრი გამოთქვეს:
კომისიის თავმჯდომარემ ისაუბრა პროექტის პირველი პუნქტის ტექნიკურად გასწორებისა და მე-2 პუნქტის სტილისტურად გამართვის მიზანშეწონილობაზე, რაც გაზიარებულ იქნა საკითხის წარმომდგენის მიერ.
გადაწყვიტეს:
განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავეს:

- ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წევრმა ლილე ლიპარტელიანმა.
- უფრაქციო დეპუტატმა თორნიკე ბიკაშვილმა;

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:
16. ირაკლი თავართქილაძემ, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით - მე-16 საკითხად განსაზღვრული განკარგულების პროექტი, რაც ითვალისწინებს, მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებული უძრავი ქონების, მდებარე: ქალაქი თბილისი, ვარკეთილის დასახლება, მე-3 მასივი, მე-10 კვარტალი, კორპუსი N9, მოქალაქე დიმიტრი კვირკველიასთვის (პ/ნ:01027026525) პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზების საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებას.

მომხსენებლის განმარტებით, უძრავი ქონების სიმბოლურ ფასად პრივატიზების საკითხთან სამგორის რაიონის გამგეობისადმი მიმართვის შემდგომ, გამოკვეთილ იქნა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ისანი-სამგორის მთავარი სამმართველოს პოლიციის I სამმართველოს ინფორმაციით, დიმიტრი კვირკველია 26-29 წელია ნამდვილად ცხოვრობს მითითებულ მისამართზე, ამასთან, დიმიტრი კვირკველიას მიერ, 37 წლის მანძილზე ცხოვრების ფაქტს ადასტურებს, სანოტარო წესით დამოწმებული მეზობლების თანხმობა, გარდა ამისა, წარმოდგენილია დიმიტრი კვირკველიას წერილობითი თანხმობა, რომლის მიხედვით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ დაგეგმილი ავარიული კორპუსების ახალი საცხოვრებელი კორპუსებით ჩანაცვლების პროგრამაში მონაწილეობას მიიღებს, თუ მას მისი საკუთარი ქონების სანაცვლოდ ახალ აშენებულ საცხოვრებელ სახლში გადაეცემა შესაბამისი საცხოვრებელი ფართი.

მომხსენებელმა დასძინა, რომ გადასაცემი პრივატიზების საგნის საპრივატიზებო პირობად განისაზღვრა შემდეგი: ქონების შემძენმა ხელი არ შეუშალოს ქ. თბილისში, ვარკეთილის დასახლებაში, მასივი 3-ში, მე-10 კვარტლის კორპუს N9-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.20.028.013) არსებულ უძრავ ქონებაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავარიული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ჩანაცვლების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 6 მაისის №10-48 დადგენილების შესაბამისად, შესაძლო ავარიული კორპუსების ჩანაცვლების პროგრამის განხორციელებას, რომლის მიზანია ავარიული სახლის დემონტაჟი და მის ადგილას ახალი შენობა-ნაგებობის განთავსება ან/და საზოგადოებრივი სივრცის მოწყობა, ასევე, პრივატიზების საგანზე ქონების შემძენის საკუთრების უფლების საჯარო რეესტრში რეგისტრაციისას, ზემოაღნიშნული საპრივატიზებო პირობა აისახება ვალდებულების სახით.

მომხსენებელმა დაამატა, რომ დიმიტრი კვირკველიაზე საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მასშტაბით რეგისტრირებული არ არის, ამასთან, აღნიშნა, რომ გამგეობის შუამდგომლობისა და ზემოაღნიშნული ღონისძიებების გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად

მიიჩნია, დევნილის სტატუსის არმქონე პირისათვის უძრავი ქონების სიმბოლურ ფასად პრივატიზების თაობაზე საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარმოდგენა.

აზრი გამოთქვეს:

კომისიის თავმჯდომარემ ისაუბრა პროექტის სათაურის ტექნიკურად გამართვის მიზანშეწონილობის საკითხზე, რაც გაზიარებულ იქნა საკითხის წარმომდგენის მიერ.

გადაწყვიტეს:
განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავეს:

- ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" წევრმა ლილე ლიპარტელიანმა.
- უფრაქციო დეპუტატმა თორნიკე ბიკაშვილმა;

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:
17. ირაკლი თავართქილაძემ, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით - მე-17 საკითხად განსაზღვრული განკარგულების პროექტი, რაც ითვალისწინებს, მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებული უძრავი ქონების, მდებარე: ქალაქი თბილისი, უნივერსიტეტის ქუჩა N2, მე-7 სართული, ბინა N83, 35.10 კვ.მ ფართის მოქალაქე ოლეგ მემიაძისთვის (პ/ნ: 61010001824) პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1(ერთი) ლარად პრივატიზების საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებას.

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, ვაკის რაიონის გამგეობას წარედგინა აღნიშნული მოქალაქის განცხადება, ფაქტობრივად დაკავებული ზემოაღნიშნული უძრავი ქონების სიმბოლურ ფაად პრივატიზებასთან დაკავშირებით, ხოლო, გამგეობის მიერ, საკითხის შესწავლის შემდგომ გამოიკვეთა, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქალაქ თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ვაკე-საბურთალოს სამმართველოს პოლიციის II სამმართველოს ინფორმაციით, ოლეგ მემიაძე 2008 წლიდან დღემდე ნამდვილად ცხოვრობს მითითებულ მისამართზე, ასევე, ნოტარიულად დამოწმებული აქტებით, შესაბამისი მოქალაქეები ადასტურებენ მითითებული პირის მიერ, 2007 წლიდან ცხოვრების ფაქტის ნამდვილობას, ასევე, აღნიშნული მოქალაქის ოჯახის წევრები აცხადებენ თანხმობას მითითებული პირისათვის უძრავი ქონების პრივატიზებასთან დაკავშირებით, ხოლო, ოლეგ მემიაძე ადასტურებს, რომ ბინის საკუთრებაში მიღების შემთხვევაში არ ექნება არავითარი პრეტენზია ან/და მოთხოვნა სახემწიფოსთან ან/და თვითმმართველთან, საცხოვრებელ ფართთან დაკავშირებით მოთხოვნის უფლებაზე.

ირაკლი თავართქილაძის განმარტებით, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს დევნილთა მონაცემთა ბაზის მიხედვით, ოლეგ მემიაძე და მისი ოჯახის წევრები დევნილად რეგისტრირებულნი არ არიან, ამასთან, მათ სახელებზე, საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მასშტაბით რეგისტრირებული არ

არის, ხოლო, გამგეობის შუამდგომლობისა და ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა.

გადაწყვიტეს:
განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავეს:

- ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ **წევრმა ლილე ლიპარტელიანმა.**
- **უფრაქციო დეპუტატმა თორნიკე ბიკაშვილმა;**

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:
18. ირაკლი თავართქილაძემ, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით - მე-18 საკითხად განსაზღვრული განკარგულების პროექტი, რაც ითვალისწინებს, მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებული უძრავი ქონების, მდებარე: ქალაქი თბილისი, ალექსანდრე წურწუმიას ქუჩა N25, პირველ სართულზე 18.87 კვ.მ ფართის პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთ) ლარად, მოქალაქე თინათინ მერაბიშვილისთვის (პ/ნ: 01027067884) პრივატიზების საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენას.

მომხსენებლის განმარტებით, ისნის რაიონის გამგეობას, მოქალაქე თინათინ მერაბიშვილმა მიმართა განცხადებით უძრავი ქონების სიმბოლურ ფასად პრივატიზებასთან დაკავშირებით, ხოლო, გამგეობის მიერ, საკითხის შესწავლის პროცესში გამოვლენილ იქნა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ძველი თბილისის მთავარი სამმართველოს პოლიციის I სამმართველოს ინფორმაციით, თინათინ მერაბიშვილი ნამდვილად ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე 1982 წლიდან, აღნიშნულ ასევე დასტურდება გამგეობის შემოწმების აქტით და სანოტარო წესით დამოწმებული მეზობლის დასტურით, ამასთან, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით თინათინ მერაბიშვილის სახელზე, საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე, რეგისტრირებული არ არის, აგრეთვე, სსიპ - დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს დევნილთა მონაცემთა ბაზაში თინათინ მერაბიშვილი რეგისტრირებული არ არის.

მომხსენებლის მითითებით, გამგეობის შუამდგომლობისა და ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მოიწონა და მიზანშეწონილად მიიჩნია, უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა.

გადაწყვიტეს:

განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავეს:

- ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ **წევრმა ლილე ლიპარტელიანმა.**
- **უფრაქციო დეპუტატმა თორნიკე ბიკაშვილმა;**

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

19. ირაკლი თავართქილაძემ, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით - მე-19 საკითხად განსაზღვრული განკარგულების პროექტი, რაც ითვალისწინებს, მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებული უძრავი ქონების, მდებარე: ქალაქი თბილისი, ავთო ვარაზის ქუჩა N28, სართული 7, ბინა N72, 16.60 კვ.მ ფართის მოქალაქე ზამირ ჯგერენაიასთვის (პ/ნ: 29001004828), რომელიც 2002 წლიდან ფლობს და სარგებლობს აღნიშნულ უძრავ ქონებას, პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზების საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა.

მომხსენებლის მითითებით, ვაკის რაიონის გამგეობას განცხადებით მიმართა მოქალაქე ზამირ ჯგერენაიამ და ითხოვა, ფაქტობრივად დაკავებული ქ. თბილისში, ავთო ვარაზის ქუჩა , N28-ში არსებული 16.60 კვ.მ ფართის მისთვის, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზება ხოლო, გამგეობის მიერ, საკითხის შესწავლის დროს გამოიკვეთა, რომ შსს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ვაკე-საბურთალოს მთავარი სამმართველოს ინფორმაციით, ზამირ ჯგერენაია 2002 წლიდან ცხოვრობს ზემოაღნიშნულ მისამართზე, აღნიშნული ასევე დასტურდება, ვაკის რაიონის გამგეობა - ნუცუბიძის მიკრორაიონების საუბნო განყოფილების ოქმით, ამასთან, სსიპ დევნილთა, ეკონომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს ინფორმაციით, დაინტერესებული პირი და მისი ოჯახის წევრები, დევნილის სტატუსის მქონე პირებად რეგისტრირებული არ არიან.

ირაკლი თავართქილაძის მითითებით, დაინტერესებული პირის ოჯახის წევრები სანოტარო წესით დამოწმებული ხელმოწერით აცხადებენ თანხმობას უძრავი ქონების ზამირ ჯგერენაიას სახელზე რეგისტრაციასთან დაკავშირებით, ამასთან, დაინტერესებული პირისა და მისი ოჯახის წევრების სახელებზე, უძრავ ნივთზე რეგისტრირებული არ არის, ხოლო, გამგეობის შუამდგომლობისა და ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მოიწონა და მიზანშეწონილად მიიჩნია საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა.

გადაწყვიტეს:

განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავეს:

- ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" წევრმა ლილე ლიპარტელიანმა.
- უფრაქციო დეპუტატმა თორნიკე ბიკაშვილმა;

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

20. ირაკლი თავართქილაძემ, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით - მე-20 საკითხად განსაზღვრული განკარგულების პროექტი, რაც ითვალისწინებს,

მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებული უძრავი ქონების, მდებარე: ქალაქი თბილისი, გალაკტიონის ქუჩა, № 3-5-ში, მე-ე სართულზე, 15.26 კვ. მ. ფართის პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - ერთ ლარად მაია დოლიძისთვის პრივატიზების საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენას.

მომხსენებლის მითითებით, მთაწმინდის რაიონის გამგეობას შუამდგომლობით მიმართა ზემოაღნიშნულმა დაინტერესებულმა პირმა უძრავი ქონების სიმბოლურ ფასად პრივატიზებასთან დაკავშირებით, ხოლო, გამგეობის მიერ, საკითხის შესწავლით გამოვლინდა, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, მაია დოლიძე 1985 წლიდან ცხოვრობს ზემოაღნიშნულ მისამართზე, აღნიშნულ ასევე ადასტურებენ მოქალაქეები სანოტარო წესით დამოწმებული განცხადებებით, ამასთან, გამგეობის გამოკითხვის ოქმით, მაია დოლიძე 30 წელი ცხოვრობს მისამართზე განმავლობაში, ასევე, სსიპ- დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს ინფორმაციით, მაია დოლიძე დევნილად რეგისტრირებული არ არის, ხოლო, გამგეობის შუამდგომლობისა და ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მოიწონა და მიზანშეწონილად მიიჩნია საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა.

აზრი გამოთქვეს:

კომისიის თავმჯდომარემ ისაუბრა პროექტის სათაურის და პირველი პუნქტის ტექნიკური, ასევე, სტილისტური თვალსაზრისით გამართვის მიზანშეწონილობის საკითხებზე, რომლებიც გაზიარებულ იქნა საკითხის წარმომდგენის მიერ.

გადაწყვიტეს:
განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავეს:

- ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წევრმა ლილე ლიპარტელიანმა.
- უფრაქციო დეპუტატმა თორნიკე ბიკაშვილმა;

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

21. ირაკლი თავართქილაძემ, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით - 21-ე საკითხად განსაზღვრული განკარგულების პროექტი, რაც ითვალისწინებს, მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებული უძრავი ქონების, მდებარე:ქალაქ თბილისში, ხუდადოვის ქუჩა N173-ში, კორპუს N3-ში, მეოთხე სართულზე არსებული 37.89 კვ.მ. ფართის პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთ) ლარად პრივატიზების გზით, მოქალაქე ნატალია გოგელიასა (პ/ნ 01030052403) და თეიმურაზ გოგელიასთვის (პ/ნ 01027017077) თანასაკუთრებაში გადაცემის საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებას.

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, ჩუღურეთის რაიონის გამგეობასა და სსიპ- ქონების მართვის სააგენტოს განცხადებით მიმართეს ზემოაღნიშნულმა მოქალაქეებმა, ფაქტობრივად დაკავებული ფართის პრივატიზებასთან დაკავშირებით, ხოლო, გამგეობის მიერ საკითხის შესწავლის დროს გამოიკვეთა შემდეგი გარემოებები: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის დიდუბე-ჩუღურეთის მთავარი სამმართველოს პოლიციის III სამმართველოს ინფორმაციით, ზემოაღნიშნული მოქალაქეები მითითითებულ მისამართზე ცხოვრობენ 30 წელია, ასევე, ცხოვრების ფაქტის ნამდვილობას ადასტურებენ მეზობლები, სანოტარო წესით დამოწმებული თანხმობით და გამგეობის შემოწმების აქტით, ასევე, სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით, დაინტერესებული პირების სახელებზე უძრავ ნივთზე საკუთრების უფლება რეგისტრირებული არ არის.

მომხსენებელმა დასძინა, რომ უძრავი ქონების სიმბოლურ ფასად გადაცემასთან დაკავშირებით მხარეებს შორის გასაფორმებელი ხელშეკრულების პროექტის ერთ ერთ პირობად განისაზღვრა, რომ ქონების შემძენი იღებს ვალდებულებას ხელი არ შეუშალოს, არსებულ უძრავ ქონებაზე შესაძლო ავარიული კორპუსების ჩანაცვლების პროგრამის შეუფერხებლად განხორციელებას, რომლის მიზანს წარმოაგენს ავარიული სახლის დემონტაჟი და მის ადგილას ახალი შენობა-ნაგებობის განთავსება ან/და საზოგადოებრივი სივრცის მოწყობა, ამასთან, დასძინა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ ყოველივე მითითებულისა და გამგეობის შუამდგომლობის საფუძველზე, მიზანშეწონილად მიიჩნია საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა.

აზრი გამოთქვეს:

კომისიის თავმჯდომარემ ისაუბრა პროექტის სათაურის ტექნიკურად გამართვის მიზანშეწონილობის საკითხზე რაც გაზიარებულ იქნა საკითხის წარმომდგენის მიერ.

გადაწყვიტეს:
განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავეს:

- ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წევრმა ლილე ლიპარტელიანმა.
- უფრაქციო დეპუტატმა თორნიკე ბიკაშვილმა;

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:
22. ირაკლი თავართქილაძემ, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით - 22-ე საკითხად განსაზღვრული განკარგულების პროექტი, რაც ითვალისწინებს, მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებული უძრავი ქონების, მდებარე: ქალაქ თბილისი, საინგილოს ქუჩა N120, პირველ სართულზე, 25.84 კვ.მ ფართის მოქალაქე ლალი გოცაძისათვის (პ/ნ: 21001000038) პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზების საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებას, აქვე დაამატა, რომ დაინტერესებულმა პირმა განცხადებით მიმართა ისნის რაიონის გამგეობას უძრავი ქონების სიმბოლურ ფასად პრივატიზებასთან დაკავშირებით, ხოლო, გამგეობის მიერ, საკითხის შესწავლის შემდგომ გამოიკვეთა

შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ისანი-სამგორის მთავარი სამმართველოს პოლიციის XI სამმართველოს ინფორმაციით მოქალაქე ლალი გოცაძე 20 წელია ნამდვილად ცხოვრობს მითითებულ მისამართზე, ასევე, მეზობლების სანოტარო წესით დამოწმებული თანხმობითა და ისნის რაიონის გამგეობის დათვალიერების ოქმით ასევე დასტურდება დაინტერებული პირის მიერ, 2000 წლიდან ცხოვრების ფაქტის ნამდვილობა, ამასთან, სსიპ - დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს დევნილთა მონაცემთა ბაზის მიხედვით დევნილად რეგისტრირებული არ არის.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემების მიხედვით, ლალი გოცაძეზე საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე რეგისტრირებული არ არის, ხოლო, გამგეობის შუამდგომლობისა და ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ იმსჯელა და მიზანშეწონილად მიიჩნია საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარმოდგენა.

გადაწყვიტეს:
განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავეს:

- ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" წევრმა ლილე ლიპარტელიანმა.
- უფრაქციო დეპუტატმა თორნიკე ბიკაშვილმა;

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:
23. ირაკლი თავართქილაძემ, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით - 23-ე საკითხად განსაზღვრული განკარგულების პროექტი, რაც ითვალისწინებს, მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებული უძრავი ქონების, მდებარე: ქალაქ თბილისი,ლისის ტბის მიმდებარედ, მე-2 სართულზე, 28.85 კვ.მ უძრავი ფართის პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთ) ლარად, მოქალაქე სოფიკო დარჯანიასთვის (პ/ნ: 29001003682) პრივატიზების საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებას.

მომხსენებელის განმარტებით, უძრავი ქონების გადაცემით დაინტერესებულმა პირმა ვაკის რაიონის გამგეობას მიმართა, ფაქტობრივად დაკავებული ფართის მისთვის სიმბოლურ ფასად გადაცემასთან დაკავშირებით, ხოლო გამგეობის მიერ საკითხის შესწავლისას გამოიკვეთა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ვაკე-საბურთალოს მთავარი სამმართველოს ინფორმაციით, მოქალაქე სოფიკო დარჯანია ოჯახთან ერთად 2008 წლიდან დღემდე, ცხოვრების ფაქტის ნამდვილობა ასევე დასტურდება გამგეობის შემოწმების აქტით. ამასთან, სსიპ - საჯარო რეესტრის ინფორმაციით, უძრავ ნივთზე საკუთრების უფლება მითითებული პირის სახელზე რეგისტრირებული არ არის.

მომხსენებელმა დასძინა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ ყოველივე ზემომითითებულისა და გამგეობის შუამდგომლობის საფუძველზე, მიზანშეწონილად

მიიჩნია საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარმოდგენა.

გადაწყვიტეს:
განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავეს:

- ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წევრმა ლილე ლიპარტელიანმა.
- **უფრაქციო დეპუტატმა თორნიკე ბიკაშვილმა;**

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:
24. ირაკლი თავართქილაძემ, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით - **24-ე საკითხად განსაზღვრული განკარგულების პროექტი,** რაც ითვალისწინებს, მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებული უძრავი ქონების, მდებარე: ქალაქ თბილისი, ყვარლის ქუჩა, N107ბ-ში, პირველ სართულზე მდებარე 47.99 კვ.მ. ფართის პირდაპირი განკარგვის ფორმით სიმბოლურ ფასად - ერთ ლარად ირმა კაპანაძისთვის (პირადი № 25001004307) პრივატიზების საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებას, მომხსენებელმა აქვე დაამატა, რომ უძრავი ქონების გადაცემით დაინტერესებულმა ზემოაღნიშნულმა პირმა განცხადებით მიმართა ისნის რაიონის გამგეობას, ხოლო, გამგეობის მიერ საკითხის შესწავლის დროს გამოიკვეთა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, ირმა კაპანაძე დაახლოებით 25 წლის განმავლობაში ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე, ასევე, გამგეობის დათვალიერების ოქმითა და სანოტარო წესით დამოწმებული ფიზიკური პირების თანხმობით, დასტურდება დაინტერესებული პირის მიერ 2000 წლიდან ცხოვრების ფაქტი, ხოლო, სსიპ დევნილთა, ეკონომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს ინფორმაციით, ირმა კაპანაძე დევნილად რეგისტრირებული არ არის.

მომხსენებლის განმარტებით, გამგეობის შუამდგომლობისა და ყოველივე მითითებულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მოიწონა და მიზანშეწონილად მიიჩნია საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა.

აზრი გამოთქვეს:
კომისიის თავმჯდომარემ ისაუბრა პროექტის სათაურსა და პირველ პუნქტში ტექნიკური ხასიათის შეცდომების გასწორების თაობაზე, რომლებიც გაზიარებულ იქნა საკითხის წარმომდგენის მიერ.

გადაწყვიტეს:
განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავეს:

- ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წევრმა ლილე ლიპარტელიანმა.
- **უფრაქციო დეპუტატმა თორნიკე ბიკაშვილმა;**

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და **მითითებული**

რეკომენდაციების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:
25. ირაკლი თავართქილაძემ, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით - 25-ე საკითხად განსაზღვრული განკარგულების პროექტი, რაც ითვალისწინებს, მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებული უძრავი ქონების, მდებარე: ქალაქ თბილისი, ზღვისუბნის დასახლება, მე-4 მიკრო/რაიონის კორპუს N8, პირველ სართულზე, 85.74 კვ.მ ფართის ბინა N119-ის) პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთ) ლარად, მოქალაქე მაია ტურაშვილის (პ/ნ 01001054188) პრივატიზების საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებას.

როგორც მომხსენებელმა განმარტა, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის გლდანი-ნაძალადევის მთავარი სამმართველოს ინფორმაციის თანახმად, მაია ტურაშვილი ნამდვილად ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე 18 წელია, ასევე, მოქალაქეები ადასტურებენ, რომ აღნიშნული პირი ნამდვილად ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე ოჯახთან ერთად 2004 წლიდან, ხოლო, ნაძალადევის რაიონის გამგეობის შემოწმების აქტით დასტურდება მითითებული პირის მიერ მისამართზე 2003 წლიდან ოჯახთან ერთად ცხოვრების ფაქტი. ამასთან, სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით, მაია ტურაშვილზე და მისი ოჯახის წევრებზე საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე, რეგისტრირებული არ არის.

მომხსენებლის მითითებით, გამგეობის შუამდგომლობისა და ყოველივე მითითებულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარმოდგენა.
აზრი გამოთქვეს:
კომისიის თავმჯდომარემ მიზანშეწონილად მიიჩნია პროექტის სათაურში ტექნიკური ხასიათის ხარვეზის გასწორება, რაც გაზიარებულ იქნა საკითხის წარმომდგენის მიერ.

გადაწყვიტეს:
განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავეს:

- ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წევრმა ლილე ლიპარტელიანმა.
- უფრაქციო დეპუტატმა თორნიკე ბიკაშვილმა;

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციის მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:
26. ირაკლი თავართქილაძემ, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით - 26-ე საკითხად განსაზღვრული განკარგულების პროექტი, რაც ითვალისწინებს, მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებული უძრავი ქონების, მდებარე: ქალაქ თბილისი, ქალაქ თბილისი, დეკაბრისტების გასასვლელი N3, მე-2 სართული, 45.42 კვ.მ და პირველ სართულზე არსებული 11.92 კვ.მ. ფართის პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ

ფასად - 1(ერთი) ლარად, მოქალაქე სლავა ყაველაშვილისთვის (პ/ნ: 25001023865) პრივატიზების საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებას.

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქალაქ თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ძველი თბილისის მთავარი სამმართველოს პოლიციის I სამმართველოს ინფორმაციით, სლავა ყაველაშვილი 2002 წლიდან დღემდე ცხოვრობს მითითებულ მისამართზე, აღნიშნულს ასევე ადასტურებენ მოქალაქეები სანოტარო წესით დამოწმებული აქტით, ამასთან, სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემებით, სლავა ყაველაშვილის სახელზე საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მასშტაბით რეგისტრირებული არ არის.

მომხსენებლის მითითებით, კრწანისის რაიონის გამგეობის შუამდგომლობისა და ყოველივე ზემომითითებულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარმოდგენა.

აზრი გამოთქვეს:
კომისიის თავმჯდომარემ მიზანშეწონილად მიიჩნია, პროექტის სათაურის ტექნიკურად გამართვის მიზანშეწონილობაზე, რაც გაზიარებულ იქნა საკითხის წარმომდგენის მიერ.

გადაწყვიტეს:
განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავეს:

- ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წევრმა ლილე ლიპარტელიანმა.
- უფრაქციო დეპუტატმა თორნიკე ბიკაშვილმა;

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:
27. ირაკლი თავართქილაძემ, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით - 27-ე საკითხად განსაზღვრული განკარგულების პროექტი, რაც ითვალისწინებს, მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებული უძრავი ქონების, მდებარე: ქალაქ თბილისი, დავით გამრეკელის ქუჩის I შესახვევი N6, მდებარე, საცხოვრებელი ბინები/კომერციული ფართების, პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებას - ავარიული სახლის ჩანაცვლებისას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ-ის, „თბილისის განვითარების ფონდის“ მიერ ქ. თბილისში, დავით გამრეკელის ქუჩა, შესახვევი I, N6-ში მდებარე ავარიული კორპუსის ჩანაცვლების მიზნით, სახელმწიფო შესყიდვის საშუალებით შერჩეულ მშენებლობის განმახორციელებელი პირისათვის - შპს „ბკ ქონსთრაქშენი“-სთვის.

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 6 მაისის №10-48 დადგენილებით დამტკიცებული წესით, რითაც განისაზღვრა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე ავარიული მრავალბინიანი

საცხოვრებელი სახლების ჩანაცვლების პირობები და პროცედურა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავარიული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ჩანაცვლების პროექტის განმახორციელებელ პირად განისაზღვრა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ - ,,თბილისის განვითარების ფონდი", ამასთან, ჩანაცვლების წესის შესაბამისად, ქალაქ თბილისში, დავით გამრეკელის ქუჩა, შესახვევი I, N6-ში მდებარე უძრავი ქონების ჩანაცვლების მიზნით, თბილისის განვითარების ფონდის მიერ გამოცხადდა ტენდერი და გამოვლინდა გამარჯვებული პირი - შპს "ბკ ქონსთრაქშენს", რომელთანაც 2023 წლის 06 დეკემბერს გაფორმდა ხელშეკრულება „სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულება" საქართველოს კანონმდებლობისა და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, ხოლო, შესყიდვის ხელშეკრულებით განისაზღვრა შემდეგი ღონისძიებები:

✓ მიწის ნაკვეთზე განხორციელდება არსებული 4 (ოთხი) სართულიანი ავარიული მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსის დემონტაჟი და მის ნაცვლად აშენდება ახალი 8 (რვა) სართულიანი მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსი. საცხოვრებელი კორპუსის პირველ სართულზე, არქიტექტორული პროექტის შესაბამისად, მოეწყობა კომერციული და საერთო სარგებლობის ფართები.

✓ ახალი საცხოვრებელი კორპუსის I სართულზე მოეწყობა 211.4 კვ.მ (ორას თერთმეტი მთელი ოთხი მეათედი) კომერციული ფართი, ხოლო II-VIII სართულების ჩათვლით 41 (ორმოცდაერთი) ერთეული საცხოვრებელი ბინა, ჯამური ფართით 3403.2 კვ.მ (სამი ათას ოთხას სამი მთელი ორი მეათედი). 19 (ცხრამეტი) ერთეული საცხოვრებელი ბინა (ჯამური კვადრატულობით 2,034.7 კვ.მ (ორი ათას ოცდათოთხმეტი მთელი შვიდი მეათედი) გარემონტებული მდგომარეობით გადაეცემათ მესაკუთრეებს. 22 (ოცდაორი) ერთეული საცხოვრებელი ბინა (თეთრი კარკასის მდგომარეობით შეფასებული, ჯამური კვადრატულობით: 1,368.5 კვ.მ (ერთი ათას სამას სამოცდარვა მთელი ხუთი მეათედი) და 1 (ერთი) ერთეული, ჯამური კვადრატულობით: 211.4 კვ.მ (ორას თერთმეტი მთელი ოთხი მეათედი) კომერციული ფართი (თეთრი კარკასის მდგომარეობით შეფასებული) დარეგისტრირდება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებად და ანგარიშწორებისას გათვალისწინებული იქნება შემდგომი მიმწოდებლისთვის სამშენებლო, მათ შორის სარემონტო სამუშაოების ღირებულების ნატურით ანგარიშწორების მიზნით, ფართებისა და მათი ღირებულების შეთანხმებული პროპორციის შესაბამისად.

მომხსენებლისვე მითითებით, ანგარიშწორება განხორციელდება ფულით ან ნატურით, როგორც უნაღდო ანგარიშწორების გზით, თანხის ჩარიცხვით მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილ საბანკო რეკვიზიტებზე, ისე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული 22 (ოცდაორი) ერთეული საცხოვრებელი ბინა და (ჯამურად - 1,368.5 კვ.მ) (ერთი ათას სამას სამოცდარვამთელი მთელი ხუთი მეათედი) და 1 (ერთი) ერთეული, ჯამურად - 211.4 კვ.მ (ორას თერთმეტი მთელი ოთხი მეათედი) კომერციული ფართი, თეთრი კარკასის მდგომარეობით შეფასებული, დარეგისტრირდება მუნიციპალიტეტის საკუთრებად და ანგარიშწორებისას გათვალისწინებული იქნება მომწოდებლისთვის სამშენებლო, მათ შორის, სარემონტო სამუშაოების ღირებულების ნატურით ანგარიშწორების მიზნით. აქვე დასძინა, რომ 1 კვ.მ მშენებარე კომერციული ფართის საბაზრო ღირებულება თეთრი კარკასის მდგომარეობით განსაზღვრულია 3650 (სამი ათას ექვსას ორმოცდაათი) ლარით, ხოლო, 1 კვ.მ მშენებარე საცხოვრებელი ბინის - 3100 (სამი ათას ასი) ლარით, აღნიშნული გადახდილად ჩაითვლება მშენებლობის განმახორციელებელი პირის მიერ მუნიციპალიტეტის სასარგებლოდ შესრულებული სამუშაოს ღირებულების შესაბამისი ოდენობით.

მომხსენებლმა აღნიშნა, რომ საკითხი მოწონებულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ და მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შესათანხმებლად წარმოდგენა, შპს „ბკ ქონსთრაქშენი"-სთვის ქალაქ თბილისში, დავით გამრეკელის ქუჩა, შესახვევი I, N6-ში მდებარე - 22 ერთეული მშენებარე ბინისა და 1 ერთეული მშენებარე კომერციული მშენებარე ფართის პრივატიზების თაობაზე საკითხი.

აზრი გამოთქვეს:

კომისიის თავმჯდომარემ ისაუბრა პროექტის სათაურის ტექნიკურად გამართვის მიზანშეწონილობის საკითხზე, რაც გაზიარებულ იქნა საკითხის წარმომდგენის მიერ.

გადაწყვიტეს:
განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავეს:

- ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" წევრმა ლილე ლიპარტელიანმა.
- უფრაქციო დეპუტატმა გიორგი ონიანმა;
- უფრაქციო დეპუტატმა თორნიკე ბიკაშვილმა;

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:
28. ირაკლი თავართქილაძემ, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით - 28-ე საკითხად განსაზღვრული განკარგულების პროექტი, რაც ითვალისწინებს, ქალაქ თბილისში, ც. დადიანის N39-ის მიმდებარედ 6 კვ.მ მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „გუბაზისთვის" იჯარის ფორმით, სარგებლობის უფლებით, გადაცემის საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შეთანხმებას.

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, შპს „გუბაზის"წარმომადგენელმა განცხადებით მიმართა სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს, ზემოაღნიშნული ფართის განმეორებით, იჯარის ფორმით გადაცემა, 5 წლის ვადით, მიწის ნაკვეთზე არსებული კიბის უჯრედის შემდგომი გამოყენების მიზნით გადაცემასთან დაკავშირებით, მომხსენებელმა აქვე დასძინა, რომ სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური არ არის მოთხოვნილი მიწის ნაკვეთის განმეორებით იჯარით გაცემის წინააღმდეგი, კიბის უჯრედის ფუნქციონირების მიზნით, ხოლო, სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2023 წლის 19 დეკემბრის დასკვნით, დაინტერესებაში არსებული 6 კვ.მ. მიწის ნაკვეთის წლიური საბაზრო საიჯარო ქირა, 2023 წლის 13 დეკემბრის მდგომარეობით, საორიენტაციოდ განისაზღვრა 864 (რვაას სამოცდაოთხი) ლარის ოდენობით.

მომხსენებლის მითითებით, ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ იმსჯელა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმების შემთხვევაში, შესაძლებლად მიიჩნია დაინტერესებაში

არსებული ფართის იჯარის ფორმით, სარგებლობის უფლებით, ასასვლელი კიბით სარგებლობის მიზნით, დაინტერესებული პირისათვის გადაცემა შემდეგი პირობებით:

- იჯარის მოქმედების ვადა განისაზღვროს 5 წლის ვადით;
- საიჯარო ქირის წლიური საფასური - 864 (რვაას სამოცდაოთხი) ლარის ოდენობით.

აზრი გამოთქვეს:

კომისიის თავმჯდომარემ ისაუბრა პროექტის სათაურის ტექნიკურად გამართვის მიზანშეწონილობის საკითხზე, რაც გაზიარებულ იქნა საკითხის წარმომდგენის მიერ.

გადაწყვიტეს:
განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, **ხმის მიცემისაგან თავი შეიკავეს:**

- ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ **წევრმა ლილე ლიპარტელიანმა.**
- **უფრაქციო დეპუტატმა გიორგი ონიანმა;**
- **უფრაქციო დეპუტატმა თორნიკე ბიკაშვილმა;**

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული **რეკომენდაციის** გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:
29. ირაკლი თავართქილაძემ, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით - 29-ე **საკითხად განსაზღვრული განკარგულების პროექტი, რაც ითვალისწინებს,** ქალაქ. თბილისში, ჭავჭავაძის გამზირი N13-23-ის მიმდებარედ არსებული 2623 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან 14 კვ.მ მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით, **შპს „იუპიტერი 23“-ისთვის** სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებას.

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს განცხადებით მიმართა აღნიშნული კომპანიის წარმომადგენელმა და ითხოვა ქ. თბილისში, ჭავჭავაძის გამზირი N13-23-ის მიმდებარედ არსებული 2623 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან 14 კვ.მ მიწის ნაკვეთის იჯარით გადაცემა, ღია კაფეს მოსაწყობად, აქვე დასძინა, რომ აღნიშნული კომპანიის სარგებლობაშია ქალაქ თბილისში, ჭავჭავაძის გამზირი N19-ში მდებარედ რეგისტრირებული უძრავი ქონება.

ირაკლი თავართქილაძის მითითებით, სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური თანხმობას აცხადებს მიწის ნაკვეთის იჯარის უფლებით განკარგვის თაობაზე და ამასთან, აღნიშნავს, რომ ღია კაფეს მოწყობისას გათვალისწინებული უნდა იყოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, ამასთან, სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო არ არის წინააღმდეგი დაინტერესებაში არსებული ტერიტორიის სარგებლობის უფლებით განკარგვაზე, **ხოლო,** სსიპ - **ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 26.01.2024წ. სასაქონლო ექსპერტიზის** დასკვნით, **დაინტერესებაში** არსებული მიწის ნაკვეთის წლიური საბაზრო საიჯარო ქირა,

2024 წლის 23 იანვრის მდგომარეობით, საორიენტაციოდ განისაზღვრა: 3 360 (სამი ათას სამას სამოცი) ლარის ოდენობით.

მომხსენებლის განმარტებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ იმსჯელა და მიზანშეწონილად მიიჩნია, დაინტერესებაში არსებული 14 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „იუპიტერი 23"-ისთვის იჯარის ფორმით, მიწის ნაკვეთის საერთო საიჯარო ქირის წლიური საფასურის - 3 360 (სამი ათას სამას სამოცი) ლარის ოდენობით, სარგებლობის უფლებით, 2027 წლის 19 დეკემბრამდე ვადით, გადაცემის საკითხის ქალაქ თბილისის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა.

გადაწყვიტეს:
განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავეს:

- ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" **წევრმა ლილე ლიპარტელიანმა.**
- **უფრაქციო დეპუტატმა გიორგი ონიანმა;**
- **უფრაქციო დეპუტატმა თორნიკე ბიკაშვილმა;**

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:
30. ირაკლი თავართქილაძემ, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით - 30-ე **საკითხად განსაზღვრული განკარგულების პროექტი, რაც ითვალისწინებს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობისათვის თანხმობის გაცემას შემდეგ საკითხზე:** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქალაქ თბილისში, ლისის ტბის დასახლებაში მდებარე 9 685 კვ.მ. მიწის ნაკვეთის გაცვლის ფორმით, საპრივატიზებო საფასურით (1 101 029 ლარი) პრივატიზებას, ამხანაგობა „შატილიონის", ზაალ ხერხეულიძის (პ/ნ 01024057310) და ნატო მურცხვალაძის (პ/ნ 01026015594) თანასაკუთრებად რეგისტრირებული უძრავი ქონების: ქ. თბილისში, ნუცუბიძის ქუჩაზე, N211-213 კორპუსების ჩრდილოეთით, ნუცუბიძის ფერდობი, I მიკრო/რაიონი, კორპუსი N9-ის მიმდებარედ არსებული 3 163 კვ.მ. მიწის ნაკვეთის) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში გადმოცემის სანაცვლოდ, ზემოაღნიშნული განკარგულების დანართით წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად.

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, 2023 წლის 17 თებერვალს ამხანაგობა „შატილიონმა", ზაალ ხერხეულიძემ და ნატო მურცხვალაძემ განცხადებით მიმართეს სსიპ ქონების მართვის სააგენტოს და ითხოვეს მათ თანასაკუთრებაში, ქ. თბილისში, ნუცუბიძის ქუჩაზე N211-213 კორპუსების ჩრდილოეთით, ნუცუბიძის ფერდობის I მიკრორაიონის კორპუსი N9-ის მიმდებარედ არსებული 3163 კვ.მ მიწის ნაკვეთის ადგილმონაცვლეობა, განცხადებაში აღნიშნულია, რომ უძრავ ქონებაზე სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 12 ნოემბრის ბრძანებით დამტკიცებულია მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები (საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6) - კ-1 კოეფიციენტი 0,5 ; კ-2 კოეფიციენტი 2,5; კ-3 კოეფიციენტი 0,3; და სარეკრეაციო ზონა 1 (რზ-1) - კ-1 კოეფიციენტი 0,2; კ-3 კოეფიციენტი 0,8), ამასთან, განმცხადებლის მითითებით, ვინაიდან, საპროექტო მიწის ნაკვეთიდან დაახლოებით 90 მეტრში ფიქსირდება მეწყრული ზონა და საპროექტო ფერდის სამხრეთ-აღმოსავლეთით

მოწყობილია საყრდენი კედელი, პროექტის შეთანხმების ეტაპზე არქიტექტურის სამსახურის მიერ 2019 წლის 2 აპრილის გადაწყვეტილების საფუძველზე, თანამესაკუთრეებს დაევალა სამშენებლო მოედანზე და მის მიმდებარე ტერიტორიაზე დეტალური საინჟინრო-გეოლოგიური (გეოტექნიკური) სამუშაოების, მათ შორის, ფერდობების მდგრადობის შეფასების კვლევების წარმოდგენა, ასევე, წარმოდგენილი ტერიტორიის სამშენებლო განვითარების თაობაზე არქიტექტურის სამსახურში რეგულარულად ფიქსირდება მოსახლეობის საჩივრები, რომლებიც ეწინააღმდეგება აღნიშნული მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ განვითარებას, მათი ინფორმაციით, ტერიტორიაზე მშენებლობის წარმოების შემთხვევაში, საფრთხე შეექმნება მიმდებარე განაშენიანებას და გზას.

მომხსენებლის მითითებით, დედაქალაქის გენერალური გეგმის შესაბამისად, ქალაქის განვითარების პროცესში პრიორიტეტულია დადგინდეს და დარეგულირდეს სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის ძირითადი ასპექტები, მათ შორის: მოსახლეობისათვის, ჯანსაღი და უსაფრთხო საცხოვრებელი და სამოღვაწეო გარემოს შექმნა, კულტურული მემკვიდრეობისა და ბუნებრივი რესურსების დაცვა და განვითარება, ბუნებრივი რესურსებისა და ფასეულობების, მათ შორის, სარეკრეაციო რესურსების ეფექტიანი გამოყენება და დაცვა. იმ გარემოებებს გათვალისწინებით, რომ მოსახლეობის მიერ მოთხოვნილია შეწყდეს ზემომითითებული უძრავი ქონების მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის განთავსების მიზნობრიობით სამშენებლოდ განვითარება, საზოგადოებრივი და მუნიციპალური ინტერესების გათვალისწინებით, **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიაჩნია განხორციელდეს ზემოაღნიშნული მიწის ნაკვეთის ადგილმონაცვლეობა.**

მომხსენებლის მითითებით, სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს მიერ, ადგილმონაცვლეობის მიზნებისთვის, ამხანაგობა „შატილიონის", ზაალ ხერხეულიძისა და ნატო მურცხვალაძისათვის შეთავაზებულ იქნა მუნიციპალიტეტის საკუთრებაში ქალაქ თბილისში, ლისის ტბის დასახლებაში არსებული 9 685 კვ.მ. მიწის ნაკვეთი, ასევე, სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით, შესაძლებლად იქნა მიჩნეული N01.14.16.009.237 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის განკარგვა და სანაცვლოდ, N01.14.01.007.295 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის მუნიციპალურ საკუთრებაში მიღება, ხოლო, აღნიშნული უწყების პოზიციით, გაცვლას დაქვემდებარებული რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ განვითარება საჭიროა განხორციელდეს განაშენიანების რეგულირების გეგმის ფარგლებში, ამასთან, სსიპ --ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტიზის დასკვნების თანახმად:

✓ ამხანაგობა „შატილიონის", ზაალ ხერხეულიძისა და ნატო მურცხვალიძის თანასაკუთრებაში არსებული N01.14.01.007.295 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული უძრავი ქონების საბაზრო ღირებულებამ 2023 წლის 9 ნოემბრის მდგომარეობით, საორიენტაციოდ შეადგინა **2 821 396** (ორი მილიონ რვაას ოცდაერთი ათას სამას ოთხმოცდათექვსმეტი) ლარი.

✓ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საბაზრო ღირებულებამ ამავე დასკვნის თანახმად, 2023 წლის 9 ნოემბრის მდგომარეობით,

საორიენტაციოდ შეადგინა 3 922 425 (სამი მილიონ ცხრაას ოცდაორი ათას ოთხას ოცდახუთი) ლარი.

მოხსენების მიწურულს, ირაკლი თავართქილაძემ დასძინა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულება 1 101 029 ლარის ოდენობით აღემატება ამხანაგობა „შატილიონის", ზაალ ხერხეულიძისა და ნატო მურცხვალაძის თანასაკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულებას, შესაბამისად, დაინტერესებული პირის მიერ უნდა განხორციელდეს საპრივატიზებო საფასურის - 1 101 030 (ერთი მილიონ ასერთი ათას ოცდაათი) ლარის ოდენობით გადახდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სასარგებლოდ, შესაბამისი სამართლებრივი აქტით განსაზღვრულ ვადაში, ხოლო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ იმსჯელა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმების შემთხვევაში, საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, შესაძლებლად მიიჩნია ამხანაგობა „შატილიონის", ზაალ ხერხეულიძისა და ნატო მურცხვალაძის თხოვნის დაკმაყოფილება უძრავი ქონების მონაცვლეობის საკითხთან დაკავშირებით და მისაღებად მიიჩნია წარმოდგენილი საექსპერტო შეფასებები და განისაზღვრა საპრივატიზებო საფასური, საბაზრო ღირებულებების შესაბამისად სხვაობის არანაკლები ოდენობით.

აზრი გამოთქვეს:
კომისიის თავმჯდომარემ ისაუბრა პროექტის სათაურის, სამართლებრივი საფუძვლების და მე-2 პუნქტის როგორც სტილისტურად, ისე ტექნიკურად გამართვის, ასევე, პროექტის პირველ პუნქტში საპრივატიზებო საფასურის მითითების, ხოლო, ხელშეკრულების პროექტის 3.1 პუნქტის შემდეგი სახით ჩამოყალიბების მიზანშეწონილობის საკითხებზე:

„3.1 ხელშეკრულების 1.2 პუნქტით გათვალისწინებული უძრავი ქონებების საპრივატიზებო საფასურად განისაზღვრა 1 101 030 (ერთი მილიონ ასერთი ათას ოცდაათი) ლარი."

კომისიის თავმჯდომარის მიერ მითითებული რეკომენდაციები გაზიარებულ იქნა საკითხის წარმომდგენის მიერ.

საკითხის წარმომდგენმა მიმართა კომისიის წევრებს და აღნიშნა, რომ მიზანშეწონილია, ხელშეკრულების პროექტი ტექნიკურად შესაბამისობაში მოვიდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის განკარგულებით განსაზღვრულ საპრივატიზებო პირობებთან, კერძოდ, მომხსენებელმა ითხოვა, ხელშეკრულების პროექტში შევიდეს ცვლილება და დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთის სამშენებლო განვითარების საკითხის რეგულირების ნაწილში მითითებულ იქნას - აღნიშნულის უზრუნველყოფა განაშენიანების რეგულირების გეგმის ფარგლებში.

საკითხის წარმომდგენის წინადადება გაიზიარეს კომისიის წევრებმა.

გადაწყვიტეს:
განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, პოზიცია - „წინააღმდეგია" დააფიქსირა ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" წევრმა ლილე ლიპარტელიანმა.

განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავეს:

- უფრაქციო დეპუტატმა გიორგი ონიანმა;
- უფრაქციო დეპუტატმა თორნიკე ბიკაშვილმა;
- უფრაქციო დეპუტატმა დავით ფარცვანიამ.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციების, ასევე, საკითხის წარმომდგენის წინადადების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:
31. ირაკლი თავართქილაძემ, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით - 31-ე საკითხად განსაზღვრული განკარგულების პროექტი, რაც ითვალისწინებს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობისათვის თანხმობის გაცემას, შემდეგ საკითხზე: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქალაქ თბილისში, მინდელის ხიდის მიმდებარედ 2 023 კვ.მ მიწის ნაკვეთის გაცვლის ფორმით, საპრივატიზებო საფასურის გარეშე, პრივატიზებას შპს „ლუკოილ ჯორჯია"-ს საკუთრებად რეგისტრირებული უძრავი ქონების: ქ. თბილისში, გმირთა მოედანსა და საცურაო აუზს შორის მდებარე 318 კვ.მ. მიწის ნაკვეთის და მასზე არსებული შენობა-ნაგებობა N1-ის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში გადმოცემის სანაცვლოდ.

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2024 წლის 31 იანვრის N4 სხდომის ოქმით სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსს დაევალა ქალაქ თბილისში, გმირთა მოედნის მიმდებარე ტერიტორიის რეაბილიტაციის/მოწესრიგების, საგზაო უსაფრთხოების ნორმების დაცვისა და გზის სავალი ნაწილის გაფართოების მიზნით კერძო საკუთრებაში არსებული ადგილმონაცვლეობის საკითხთან დაკავშირებით, შესაბამის პირებთან მოლაპარაკებების წარმოება და შესაბამისი გადაწყვეტილებების მისაღებად წინადადებების წარდგენა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობისათვის, ამასთან, დასძინა, რომ მაღალი საზოგადოებრივი და მუნიციპალური ინტერესებიდან გამომდინარე მთავრობის დავალების შესაბამისად სააგენტომ წერილობით მიმართა შპს „ლუკოილ ჯორჯია"-ს და ითხოვა პოზიცია მის საკუთრებაში ქალაქ თბილისში, გმირთა მოედანსა და საცურაო აუზს შორის მდებარე 318 კვ.მ. მიწის ნაკვეთის და მასზე არსებული შენობა ნაგებობა N1-ის ადგილმონაცვლეობის საკითხთან დაკავშირებით, ამასთან, შპს „ლუკოილ ჯორჯია"-ს საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სანაცვლოდ შეთავაზებულ იქნა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში ქალაქი თბილისში, მინდელის ხიდის მიმდებარედ არსებულ 2 023 კვ.მ. მიწის ნაკვეთი.

როგორც ირაკლი თავართქილაძემ აღნიშნა, სსიპ- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინფორმაციით, მიმდინარე არეალზე მიმდინარეობს ადმინისტრაციული წარმოება მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმაში ფუნქციური ზონის ცვლილების შესახებ, კერძოდ, სარეკრეაციო ზონა 1 (რზ-1) ცვლილება სატრანსპორტო ზონა 2 (ტზ-2)-ით, ფუნქციური ზონის ცვლილების შემთხვევასა და დიღმის ჭალების საპარკე არეალის მოხსნის შემთხვევაში, შესაბამისად,

სააგენტო ქალაქგეგმარებით თვალსაზრისით შესაძლებლად მიიჩნევს ქალაქ თბილისში, მინდელის ხიდის მიმდებარედ არსებულ 2 023 კვ.მ. მიწის ნაკვეთის გაცვლის ფორმით პრივატიზებას ქალაქ თბილისში, გმირთა მოედანსა და საცურაო აუზს შორის მდებარე 318 კვ.მ. მიწის ნაკვეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში გადაცემის სანაცვლოდ.

მომხსენებელისვე მითითებით, სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2024 წლის 9 თებერვლის ექსპერტიზის დასკვნის თანახმად. მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საბაზრო ღირებულებამ 2024 წლის 8 თებერვლის მდგომარეობით საორიენტაციოდ შეადგინა 1 883 413 (ერთი მილიონ რვაას ოთხმოცდასამი ათას ოთხას ცამეტი) ლარი, ხოლო, შპს „ლუკოილ ჯორჯია"-ს საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება შეფასდა მასზე არსებული ავტოგასამართი სადგურის ფუნქციონირების გათვალისწინებით და საბაზრო ღირებულებამ ექსპერტიზის ბიუროს 2023 წლის 8 დეკემბრის ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, 2023 წლის 7 დეკემბრის მდგომარეობით საორიენტაციოდ შეადგინა 2 547 245 (ორი მილიონ ხუთას ორმოცდაშვიდი ათას ორას ორმოცდახუთი) ლარი, აღნიშნული ექსპერტიზის დასკვნების შესაბამისად, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულება 663 832 (ექვსას სამოცდასამი ათას რვაას ოცდათორმეტი) ლარით ნაკლებია შპს „ლუკოილ ჯორჯია"-ს საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის ღირებულებაზე, **ამასთან, ქ. თბილისში, მინდელის ხიდის მიმდებარედ 2 023 კვ.მ მიწის ნაკვეთის გაცვლის ფორმით პრივატიზების პირობებად განსაზღვრულია:**

- ✓ უძრავი ქონების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში გადაცემა სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში მისი რეგისტრაციის გზით, ამ ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში;

- ✓ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს მიერ წერილობითი შეტყობინების ჩაბარებიდან არაუგვიანეს 2 (ორი) თვის ვადაში, ქონების შემძენი ვალდებულია, საკუთარი ხარჯით, უზრუნველყოს ხელშეკრულების უძრავ ქონებაზე განთავსებული შენობა-ნაგებობების (არსებული ბენზინ-გასამართი სადგური და შესაბამისი ინფრასტრუქტურა) დემონტაჟი და აღნიშნული საკადასტრო ერთეულის მოსწორებულ, გასუფთავებულ მდგომარეობაში მოყვანა. ყოველგვარი ეჭვის გამოსარიცხად, უძრავ ქონებაზე განთავსებული მოძრავი ქონება, ასევე, დემონტაჟის შედეგად მიღებული ქონება ეკუთვნის ქონების შემძენს;
- ✓ დემონტაჟის განხორციელების შემთხვევაში, ქონების შემძენი ვალდებულია, დემონტაჟის დასრულებიდან არაუგვიანეს 1 (ერთი) თვის ვადაში, საკუთარი ხარჯით მოამზადოს და სააგენტოს წარუდგინოს სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნა, რომლითაც შეფასებული იქნება, ერთი მხრივ, დემონტაჟის მიზნით, ქონების შემძენის მიერ ფაქტობრივად გაწეული ხარჯები და მეორე მხრივ, უძრავ ქონებაზე განთავსებული, ავტოგასამართი სადგურის ფუნქციონირებისთვის საჭირო მოძრავი ქონების ფაქტობრივი ღირებულება;

- ✓ იმ შემთხვევაში, თუ მოძრავი ქონების ღირებულება გადააჭარბებს დემონტაჟის ხარჯებს, მათ შორის სხვაობა გამოაკლდება ფასთა შორის სხვაობას. ხოლო იმ შემთხვევაში,

თუ შესაბამისი დროისათვის ფასთა შორის სხვაობა ანაზღაურებულია, რის გამოც შეუძლებელია მისთვის მოძრავი ქონების ღირებულებასა და დემონტაჟის ხარჯებს შორის სხვაობის გამოკლება, ქონების შემძენი ვალდებულია, დასკვნის წარმოდგენიდან არაუგვიანეს 1 თვის ვადაში, მოძრავი ქონების ღირებულებასა და დემონტაჟის ხარჯებს შორის სხვაობა გადაუხადოს მუნიციპალიტეტს, მის მიერ მითითებულ საბანკო ანგარიშზე თანხის ჩარიცხვის გზით;

- ✓ იმ შემთხვევაში, თუ დემონტაჟის ხარჯების ღირებულება გადააჭარბებს მოძრავი ქონების ღირებულებას, მათ შორის სხვაობა ქონების შემძენს არ აუნაზღაურდება.

მომხსენებელმა დაამატა, რომ ამასთან, პრივატიზების საგანზე ქონების შემძენის საკუთრების უფლების საჯარო რეესტრში რეგისტრაციისას, საპრივატიზებო პირობა ვალდებულებად დარეგისტრირდება საჯარო რეესტრში და შესაბამის საჯარო რეესტრის ამონაწერში აღირიცხება შემდეგი ჩანაწერი: „ქონება შემენილია საპრივატიზებო პირობით“, ამასთან, აღნიშნა, რომ ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმების შემთხვევაში, საზოგადოებრივი და მუნიციპალური ინტერესებიდან გამომდინარე, შესაძლებლად მიიჩნია საკითხის მომზადება, საპრივატიზებო საფასურის გარეშე, სათანადო პირობებით.

აზრი გამოთქვეს:
კომისიის თავმჯდომარემ პროექტის სათაურისა და სამართლებრივი საფუძვლების მიმართ არსებული რეკომენდაციების თაობაზე, რომლებიც გაზიარებულ იქნა საკითხის წარმომდგენის მიერ.

გადაწყვიტეს:
განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, პოზიცია - „წინააღმდეგია“ დააფიქსირა ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წევრმა ლილე ლიპარტელიანმა.

განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავეს:

- უფრაქციო დეპუტატმა გიორგი ონიანმა;
- უფრაქციო დეპუტატმა თორნიკე ბიკაშვილმა;
- უფრაქციო დეპუტატმა დავით ფარცვანიამ.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:
32. ირაკლი თავართქილაძემ, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით - 32-ე საკითხად განსაზღვრული განკარგულების პროექტი, რაც ითვალისწინებს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობისათვის თანხმობის გაცემას, შემდეგ საკითხზე:

✓ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქალაქ თბილისში, სოფელ ლისსში მდებარე 13 467 კვ.მ მიწის ნაკვეთის გაცვლის ფორმით, საპრივატიზებო საფასურით (1 038 486 ლარი) პრივატიზებაზე, სს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია"-ს საკუთრებად რეგისტრირებული უძრავი ქონების: ქ. თბილისში, ზვიად გამსახურდიას სანაპიროს N112-ში მდებარე 483 კვ.მ. მიწის ნაკვეთის და მასზე არსებული შენობა-ნაგებობების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში გადმოცემის სანაცვლოდ, ზემოაღნიშნული განკარგულებით განსაზღვრული პირობებისა და დანართით წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად.

მომხსენებლის მითითებით, სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს დაევალა ქალაქ თბილისში, გმირთა მოედნის მიმდებარე ტერიტორიის რეაბილიტაციის/მოწესრიგების, საგზაო უსაფრთხოების ნორმების დაცვისა და გზის სავალი ნაწილის გაფართოების მიზნით კერძო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების ადგილმონაცვლეობის საკითხთან დაკავშირებით, შესაბამის პირებთან მოლაპარაკებების წარმოება, ამასთან, დაამატა, რომ მაღალი საზოგადოებრივი და მუნიციპალური ინტერესებიდან გამომდინარე სსიპ ქონების მართვის სააგენტომ მიმართა სს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია"-ს და ითხოვა პოზიცია მის საკუთრებაში ქალაქ თბილისში, ზვიად გამსახურდიას სანაპიროს N112-ში მდებარე 483 კვ.მ. მიწის ნაკვეთის და მასზე არსებული შენობა-ნაგებობის ადგილმონაცვლეობის საკითხთან დაკავშირებით, აგრეთვე, სს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია"-ს საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სანაცვლოდ შეთავაზებულ იქნა მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქალაქი თბილისში, სოფელ ლისსში მდებარე 13 467 კვ.მ. მიწის ნაკვეთი.

ირაკლი თავართქილაძემ აღნიშნა, რომ სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით შესაძლებლად იქნა მიჩნია ქალაქი თბილისში, სოფელი ლისსში არსებული 13 467 კვ.მ. მიწის ნაკვეთის გაცვლის ფორმით პრივატიზება ქალაქ თბილისში, ზვიად გამსახურდიას სანაპიროს N112-ში მდებარე 483 კვ.მ. მიწის ნაკვეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში გადაცემის სანაცვლოდ, აგრეთვე, დაამატა, რომ სს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია"-ს გენერალურმა დირექტორმა თანხმობა განაცხადა სს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია"-ს საკუთრებაში არსებული, უძრავი ქონების ადგილმონაცვლეობაზე, N01.72.16.094.010 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული უძრავი ქონების საკუთრებაში გადაცემის სანაცვლოდ.

მომხსენებლის მითითებით, სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2024 წლის 9 თებერვლის ექსპერტიზის დასკვნის თანახმად მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საბაზრო ღირებულებამ 2024 წლის 8 თებერვლის მდგომარეობით საორიენტაციოდ შეადგინა **3 218 613** (სამი მილიონ ორას თვრამეტი ათას ექვსას ცამეტი) **ლარი,** ხოლო, სს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია"-საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება შეფასდა მასზე არსებული ავტოგასამართი სადგურის ფუნქციონირების გათვალისწინებით და საბაზრო ღირებულებამ, 2023 წლის 7 დეკემბრის მდგომარეობით საორიენტაციოდ შეადგინა **2 180 127** (ორი მილიონ ასოთხმოცი ათას ასოცდაშვიდი) ლარი, აღნიშნული დასკვნების შესაბამისად კი, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საბაზრო ღირებულება **1 038 486** (ერთი მილიონ ოცდათვრამეტი ათას ოთხას ოთხმოცდაექვსი) ლარით აღემატება სს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია"-ს საკუთრებაში არსებული უძრავი

ქონების საბაზრო ღირებულებას, რაზეც, აღნიშნულმა კომპანიამ 2024 წლის 13 თებერვლის წერილით თანხმობა განაცხადა საპრივატიზებო საფასურის 1 038 486 (ერთი მილიონ ოცდათვრამეტი ათას ოთხას ოთხმოცდაექვსი) ლარის გადახდაზე მუნიციპალიტეტის სასარგებლოდ განსაზღვრულ ვადაში.

ირაკლი თავართქილაძის მითითებით, ხელშეკრულების პროექტის საპრივატიზებო პირობად განისაზღვრა შემდეგი:

✓ ხელშეკრულების 1.3 პუნქტით გათვალისწინებული უძრავი ქონების (ქალაქ თბილისში, ზვიად გამსახურდიას სანაპიროს N112-ში არსებულ 483 კვ.მ. მიწის ნაკვეთს და მასზე განთავსებულ შენობა-ნაგებობებს (საკადასტრო კოდი: N01.15.03.004.034) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში გადაეცემა ყოველგვარი უფლებრივი დატვირთვისგან (მათ შორის სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში 2021 წლის 09 თებერვლის N882021085992 განაცხადით რეგისტრირებული იპოთეკა) გამონთავისუფლებულ მდგომარეობაში სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში მისი რეგისტრაციის გზით, ამ ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში.

✓ სსიპ ქონების მართვის სააგენტოს მიერ წერილობითი შეტყობინების ჩაბარებიდან არაუგვიანეს 2 (ორი) თვის ვადაში, ქონების შემძენი ვალდებულია, საკუთარი ხარჯით, უზრუნველყოს ხელშეკრულების 1.3 პუნქტით გათვალისწინებულ უძრავ ქონებაზე განთავსებული შენობა-ნაგებობების (არსებული ბენზინ-გასამართი სადგური და შესაბამისი ინფრასტრუქტურა) დემონტაჟი და აღნიშნული საკადასტრო ერთეულის მოსწორებულ, გასუფთავებულ მდგომარეობაში მოყვანა. ყოველგვარი ეჭვის გამოსარიცხად, უძრავ ქონებაზე განთავსებული მოძრავი ქონება, ასევე, დემონტაჟის შედეგად მიღებული ქონება ეკუთვნის ქონების შემძენს.

✓ ამ პუნქტით გათვალისწინებული დემონტაჟის განხორციელების შემთხვევაში, ქონების შემძენი ვალდებულია, დემონტაჟის დასრულებიდან არაუგვიანეს 1 (ერთი) თვის ვადაში, საკუთარი ხარჯით მოამზადოს და სააგენტოს წარუდგინოს სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნა (შემდგომში - „დასკვნა“), რომლითაც შეფასებული იქნება, ერთი მხრივ, ამ პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დემონტაჟის მიზნით, ქონების შემძენის მიერ ფაქტობრივად გაწეული ხარჯები (შემდგომში - „დემონტაჟის ხარჯები“) და მეორე მხრივ, უძრავ ქონებაზე განთავსებული, ავტოგასამართი სადგურის ფუნქციონირებისთვის საჭირო მოძრავი ქონების ფაქტობრივი ღირებულება (შემდგომში ერთობლივად - „მოძრავი ქონების ღირებულება“).

✓ იმ შემთხვევაში, თუ მოძრავი ქონების ღირებულება გადააჭარბებს დემონტაჟის ხარჯებს, ქონების შემძენი ვალდებულია, დასკვნის წარმოდგენიდან არაუგვიანეს 1 თვის ვადაში, მოძრავი ქონების ღირებულებასა და დემონტაჟის ხარჯებს შორის სხვაობა გადაუხადოს მუნიციპალიტეტს, მის მიერ მითითებულ საბანკო ანგარიშზე თანხის ჩარიცხვის გზით.

✓ იმ შემთხვევაში, თუ დემონტაჟის ხარჯების ღირებულება გადააჭარბებს მოძრავი ქონების ღირებულებას, მათ შორის სხვაობა ქონების შემძენს არ აუნაზღაურდება;

✓ პრივატიზების საგანზე ქონების შემძენის საკუთრების უფლების საჯარო რეესტრში რეგისტრაციისას, საპრივატიზებო პირობა ვალდებულებად დარეგისტრირდება საჯარო

რეესტრში და შესაბამის საჯარო რეესტრის ამონაწერში აღირიცხება შემდეგი ჩანაწერი: „ქონება შეძენილია საპრივატიზებო პირობით";

✓ სსიპ ქონების მართვის სააგენტოსთვის ცნობილია, რომ N01.15.03.004.034 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთს კვეთს შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი"-ს (ს/ნ: 203826002) საკუთრებაში რეგისტრირებული მილსადენი (N01.00.287) მიწისქვეშა კომუნიკაცია, აღნიშნული გარემოება არ მიიჩნევა უძრავი ქონების უფლებრივ ან/და ნივთობრივ ნაკლად;

✓ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ განვითარება უნდა განხორციელდეს განაშენიანების რეგულირების გეგმის (გრგ) ფარგლებში სარეკრეაციო ზონა 3 (რზ-3)-ის პარამეტრებით. მხარეები თანხმდებიან, რომ ამ პუნქტით გათვალისწინებული გარემოებები არ მიიჩნევა პრივატიზების საგნის უფლებრივ ან/და ნივთობრივ ნაკლად.

ირაკლი თავართქილაძემ შემაჯამებლად აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმების შემთხვევაში, საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, შესაძლებლად მიიჩნია სს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია"-სთვის უძრავი ქონების მონაცვლეობის საკითხი, ამასთან, მისაღებად მიიჩნია წარმოდგენილი საექსპერტო შეფასებები და განისაზღვრა საპრივატიზებო საფასური, საბაზრო ღირებულებების შესაბამისად სხვაობის არანაკლები ოდენობით.

აზრი გამოთქვეს:
კომისიის თავმჯდომარემ მიზანშეწონილად მიიჩნია, პროექტის სათაურის, სამართლებრივი საფუძვლებისა და მე-2 პუნქტის რედაქტირების მიზანშეწონილობის საკითხზე, რომლებიც გაზიარებულ იქნა საკითხის წარმომდგენის მიერ.

გადაწყვიტეს:
განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, პოზიცია - „წინააღმდეგია" დააფიქსირა ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" წევრმა ლილე ლიპარტელიანმა.

განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავეს:

- უფრაქციო დეპუტატმა გიორგი ონიანმა;
- უფრაქციო დეპუტატმა თორნიკე ბიკაშვილმა;
- უფრაქციო დეპუტატმა დავით ფარცვანიამ.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:
33. ირაკლი თავართქილაძემ, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით - 33-ე საკითხად განსაზღვრული განკარგულების პროექტი, რაც ითვალისწინებს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობისათვის თანხმობის გაცემას, შემდეგ საკითხზე:

✓ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქალაქ თბილისში, ჯორჯ ბალანჩინის ქუჩა N21-ში მდებარე 2 402 კვ.მ მიწის ნაკვეთის გაცვლის ფორმით,

საპრივატიზებო საფასურის გარეშე, პრივატიზებაზე შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯიას“ საკუთრებად რეგისტრირებული უძრავი ქონების: ქ. თბილისში, ცენტრალური საცურაო აუზის მექანიკური საამქროს მიმდებარედ არსებული 234 კვ.მ. მიწის ნაკვეთის და მასზე არსებული შენობა ნაგებობა N1-ის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში გადმოცემის სანაცვლოდ, ზემოაღნიშნული განკარგულებით განსაზღვრული პირობებისა და დანართით წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად.

მომხსენებლის მითითებით, მაღალი საზოგადოებრივი და მუნიციპალური ინტერესებიდან გამომდინარე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის დავალების შესაბამისად 2024 წლის 8 თებერვალს სააგენტომ მიმართა შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯია“-ს და ითხოვა პოზიცია მის საკუთრებაში ქალაქ თბილისში, ცენტრალური საცურაო აუზის მექანიკური საამქროს მიმდებარედ არსებული 234 კვ.მ მიწის ნაკვეთის და მასზე არსებული შენობა ნაგებობა N1-ის ადგილმონაცვლეობის საკითხთან დაკავშირებით, სანაცვლოდ შეთავაზებულ იქნა მუნიციპალიტეტის საკუთრებაში ქალაქი თბილისში, ჯორჯ ბალანჩინის ქუჩა N21-ში არსებულ 2 402 კვ.მ. მიწის ნაკვეთი.

მომხსენებლის განმარტებით, სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს პოზიციით, მითითებულ არეალზე მიმდინარეობს ადმინისტრაციული წარმოება მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმაში ფუნქციური ზონის ცვლილების შესახებ, კერძოდ, სარეკრეაციო ზონა 1 (რზ-1) ცვლილება სატრანსპორტო ზონა 2 (ტზ-2)-ით, ფუნქციური ზონის ცვლილების შემთხვევაში ქალაქგეგმარებით თვალსაზრისით შესაძლებლად მიიჩნევს ქალაქ თბილისში, გლდანი-დიღმის შემაერთებელ გზა, ავტომანქანების ბაზრობის მოპირდაპირედ არსებულ 2 402 კვ.მ. მიწის ნაკვეთის გაცვლის ფორმით პრივატიზებას ქალაქ თბილისში, ცენტრალური საცურაო აუზის მექანიკური საამქროს მიმდებარედ არსებული 234 კვ.მ მიწის ნაკვეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში გადაცემის სანაცვლოდ, ამასთან, სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტიზის დასკვნების თანახმად, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საბაზრო ღირებულებამ 2024 წლის 8 თებერვლის მდგომარეობით საორიენტაციოდ შეადგინა 2 236 262 (ორი მილიონ ორას ოცდათექვსმეტი ათას ორას სამოცდაორი) ლარი, შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯია“-ს საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება კი შეფასდა მასზე არსებული ავტოგასამართი სადგურის ფუნქციონირების გათვალისწინებით და საბაზრო ღირებულებამ 2023 წლის 7 დეკემბრის მდგომარეობით საორიენტაციოდ შეადგინა 2 462 108 (ორი მილიონ ოთხას სამოცდაორი ათას ასრვა) ლარი, აღნიშნული დასკვნებით, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულება 225 846 (ორას ოცდახუთი ათას რვაას ორმოცდაექვსი) ლარით ნაკლებია შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯიას“ საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთის ღირებულებაზე, ხოლო, აღნიშნულმა კომპანიამ თანხმობას განაცხადა საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ადგილმონაცვლეობასთან დაკავშირებით, ხოლო, ხელშეკრულების თანახმად, საპრივატიზებო პირობად განისაზღვრა შემდეგი:

✓ უძრავი ქონების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში გადაცემა ყოველგვარი უფლებრივი დატვირთვისგან გამოთავისუფლებულ მდგომარეობაში სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში მისი რეგისტრაციის გზით, ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში;

✓ სააგენტოს მიერ წერილობითი შეტყობინების ჩაბარებიდან არაუგვიანეს 2 (ორი) თვის ვადაში, ქონების შემძენი ვალდებულია, საკუთარი ხარჯით, უზრუნველყოს უძრავ ქონებაზე განთავსებული შენობა-ნაგებობების (არსებული ბენზინ-გასამართი სადგური და შესაბამისი ინფრასტრუქტურა) დემონტაჟი და აღნიშნული საკადასტრო ერთეულის მოსწორებულ, გასუფთავებულ მდგომარეობაში მოყვანა. ყოველგვარი ეჭვის გამოსარიცხად, უძრავ ქონებაზე განთავსებული მოძრავი ქონება, ასევე, დემონტაჟის შედეგად მიღებული ქონება ეკუთვნის ქონების შემძენს;

✓ დემონტაჟის განხორციელების შემთხვევაში, ქონების შემძენი ვალდებულია, დემონტაჟის დასრულებიდან არაუგვიანეს 1 (ერთი) თვის ვადაში, საკუთარი ხარჯით მოამზადოს და სააგენტოს წარუდგინოს სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნა, რომლითაც შეფასებული იქნება, ერთი მხრივ, დემონტაჟის მიზნით, ქონების შემძენის მიერ ფაქტობრივად გაწეული ხარჯები და მეორე მხრივ, უძრავ ქონებაზე განთავსებული, ავტოგასამართი სადგურის ფუნქციონირებისთვის საჭირო მოძრავი ქონების ფაქტობრივი ღირებულება;

✓ იმ შემთხვევაში, თუ მოძრავი ქონების ღირებულება გადააჭარბებს დემონტაჟის ხარჯებს, მათ შორის სხვაობა გამოაკლდება ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ფასთა შორის სხვაობას. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ შესაბამისი დროისათვის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფასთა შორის სხვაობა ანაზღაურებულია, რის გამოც შეუძლებელია მისთვის მოძრავი ქონების ღირებულებასა და დემონტაჟის ხარჯებს შორის სხვაობის გამოკლება, ქონების შემძენი ვალდებულია, დასკვნის წარმოდგენიდან არაუგვიანეს 1 თვის ვადაში, მოძრავი ქონების ღირებულებასა და დემონტაჟის ხარჯებს შორის სხვაობა გადაუხადოს მუნიციპალიტეტს, მის მიერ მითითებულ საბანკო ანგარიშზე თანხის ჩარიცხვის გზით;

✓ იმ შემთხვევაში, თუ დემონტაჟის ხარჯების ღირებულება გადააჭარბებს მოძრავი ქონების ღირებულებას, მათ შორის სხვაობა ქონების შემძენს არ აუნაზღაურდება.
პრივატიზების საგანზე ქონების შემძენის საკუთრების უფლების სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში რეგისტრაციისას, საპრივატიზებო პირობა ვალდებულებად დარეგისტრირდება და შესაბამის საჯარო რეესტრის ამონაწერში აღირიცხება შემდეგი ჩანაწერი: „ქონება შეძენილია საპრივატიზებო პირობით“.

მომხსენებლის განმარტებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არ არის ვალდებული, შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯიას“ გადაუხადოს უძრავი ქონებების ფასთა შორის არსებული სხვაობა 225 846 (ორას ოცდახუთი ათას რვაას ორმოცდაექვსი) ლარის ოდენობით (შემდგომში - „ფასთა შორისი სხვაობა“), ამასთან შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯია“ და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტი ხელშეკრულების გაფორმებიდან 6 (ექვსი) თვის განმავლობაში ითანამშრომლებენ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შესაბამისი უძრავი ქონების მოძიებისა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით, შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯიასთვის“ მისი საკუთრების ან სარგებლობის უფლებით (შესაბამისი ფორმით) გადაცემის მიზნით, ფასთა შორის სხვაობის შესაბამისი ქონების საბაზრო საპრივატიზებო ან/და სარგებლობის საფასურის (შესაბამისად) ანგარიშში ჩათვლის პირობით, აგრეთვე, სააგენტოსთვის ცნობილია, რომ N01.15.03.004.084 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთს კვეთს შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ

ფაუერი“-ს საკუთრებაში რეგისტრირებული მილსადენი (მიწისქვეშა კომუნიკაცია, აღნიშნული გარემოება არ მიიჩნევა უძრავი ქონების უფლებრივ ან/და ნივთობრივ ნაკლად.

მომხსენებელმა შემაჯამებლად აღნიშნა, რომ ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმების შემთხვევაში, საზოგადოებრივი და მუნიციპალური ინტერესებიდან გამომდინარე, შესაძლებლად მიიჩნია შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯია“-ს თხოვნის დაკმაყოფილებას მითითებული მიწის ნაკვეთის გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხთან დაკავშირებით, ამასთან, ვინაიდან, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ღირებულება ნაკლებია განმცხადებლის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ღირებულებაზე, გაცვლა ხორციელდება საპრივატიზებო საფასურის გარეშე, თუმცა გარკვეული პირობებით.

აზრი გამოთქვეს:
კომისიის თავმჯდომარემ ისაუბრა პროექტის სათაურის რედაქტირების მიზანშეწონილობის საკითხზე, რაც გაზიარებულ იქნა საკითხის წარმომდგენის მიერ.

გადაწყვიტეს:

განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, პოზიცია - „წინააღმდეგია“ დააფიქსირა ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წევრმა ლილე ლიპარტელიანმა.

განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავეს:

- უფრაქციო დეპუტატმა გიორგი ონიანმა;
- უფრაქციო დეპუტატმა თორნიკე ბიკაშვილმა;
- უფრაქციო დეპუტატმა დავით ფარცვანიამ.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

34. ირაკლი თავართქილაძემ, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით - 34-ე საკითხად განსაზღვრული განკარგულების პროექტი, რაც ითვალისწინებს,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით, სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და ნონა ფიცხელაურს (პ/ნ 44001001023, შემდგომში: „ქონების შემძენი“) შორის 2023 წლის 10 ნოემბერს გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევის გამო, ამავე ხელშეკრულების შესაბამისად, 2023 წლის 20 დეკემბრიდან 2023 წლის 21 დეკემბრის ჩათვლით პერიოდზე დაკისრებული პირგასამტეხლოსაგან (ჯამში - 200 (ოასი) ლარის ოდენობით) ნონა ფიცხელაურის (პ/ნ 44001001023) გათავისუფლებას.

მომხსენებლის განმარტებით, სსიპ- ქონების მართვის სააგენტოსა (შემდგომში - „სააგენტო“) და ნონა ფიცხელაურს შორის 2023 წლის 10 ნოემბერს გაფორმებული ხელშეკრულებით, ქონების შემძენს საკუთრებაში გადაეცა მუნიციპალიტეტის

საკუთრებაში არსებული ქონება მდებარე: ქ. თბილისი, ლევან მაჭავარიანის ქუჩა N7ბ, სართული 5, ბინა N49, ფართით: 75,00 კვ.მ, ხოლო, განსაზღვრული ქონების გადაცემის სანაცვლოდ ქონების შემძენი საკუთრებაში გადასცემს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტს შემდეგ უძრავ ქონებას:

- ✓ ქ. თბილისი, დასახლება ვარკეთილი, მასივი 3, კვარტალი 1, კორპუსი N1, ბინა N21, ფართი: 67,35 კვ.მ;
- ✓ ქ. თბილისი, დასახლება ვარკეთილი, მასივი 3, კვარტალი 1, კორპუსი N1, სარდაფი ფართით 6.81 კვ.მ;
- ✓ ქ. თბილისი, დასახლება ვარკეთილი, მასივი 3, კვარტალი 1, კორპუსი N1, სარდაფი, ფართით: 5.77 კვ.მ;

მომხსენებლის მითითებით, საპრივატიზებო პირობად განისაზღვრა, ქონების შემძენის ვალდებულება, კერძოდ, უზრუნველყოს N 01.19.20.029.010.01.021 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ უძრავ ქონებაზე არსებული იპოთეკის მოხსნა და აღნიშნულის ასახვა სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ამონაწერში, სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს მიერ შესაბამისი საკუთრების უფლების დამადასტურებელი მოწმობის გაცემიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში, ასევე, განისაზღვრა, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების დარღვევის შემთხვევაში, ქონების შემძენს ეკისრება პირგასამტეხლო 100 (ასი) ლარის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ სააგენტოს მიერ, N01.19.20.020.083.01.01.049 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ ქონებაზე, საკუთრების დამადასტურებელი N3-8424 მოწმობა გაიცა 2023 წლის 5 დეკემბრის თარიღით, რომელიც მხარემ ჩაიბარა 2023 წლის 7 დეკემბერს, ამასთან, ქონების შემძენმა განცხადებებით მიმართა სააგენტოს და განმარტა, რომ N01.19.20.029.010.01.021 საკადასტრო ერთეულზე აღნიშნული იპოთეკის უფლების გაუქმებისათვის დადგენილი პროცედურები, როგორც ბანკის, ასევე მსესხებლის მხრიდან საჭიროებდა გარკვეულ ვადებს. შესაბამისად, ვინაიდან ხელშეკრულებით გაწერილი 10 სამუშაო დღე არ იყო საკმარისი იმისათვის, რომ სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში განხორციელებულიყო იპოთეკის შეწყვეტის რეგისტრაცია, ხელშეკრულების 2.5. პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულება შესრულდა ვადის დარღვევით, კერძოდ, 2023 წლის 19 დეკემბრის ნაცვლად, 2023 წლის 21 დეკემბერს, ამასთან, ხელშეკრულებით გათვალისწინებული იპოთეკის გაუქმების საფუძვლით, სააგენტოს წერილით დადასტურდა სააგენტოსა და ნონა ფიცხელაურს შორის 2023 წლის 10 ნოემბერს გაფორმებული ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება. შესაბამისად, ქ. თბილისში, ლევან მაჭავარიანის ქუჩა N7ბ, მე-5 სართულზე არსებულ ბინა N49-ზე გაუქმდა რეგისტრირებული შეზღუდვა, გარდა ამისა, ამავე წერილით ქონების შემძენს ეცნობა, დაეკისრა პირგასამტეხლო 100 (ასი) ლარის ოდენობით, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, კერძოდ, 2023 წლის 20 დეკემბრიდან 2023 წლის 21 დეკემბრის ჩათვლით პერიოდზე - ჯამურად 200 (ორასი) ლარის ოდენობით, რისგან გათავისუფლებაზეც ითხოვა მითითებულმა პირმა.

მომხსენებელმა შემაჯამებლად აღნიშნა, რომ ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან სახეზე გვაქვს, სააგენტოსა და ნონა ფიცხელაურს შორის 2023 წლის 10 ნოემბერს გაფორმებული ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, ქალაქ

თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია, სააგენტოსა და ნონა ფიცხელაურს შორის 2023 წლის 10 ნოემბერს გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევის გამო, ამავე ხელშეკრულების 5.3. პუნქტის შესაბამისად, 2023 წლის 20 დეკემბრიდან 2023 წლის 21 დეკემბრის ჩათვლით პერიოდზე დაკისრებული პირგასამტეხლოსაგან (ჯამში - 200 ლარის ოდენობით) ნონა ფიცხელაურის გათავისუფლება და საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა.

აზრი გამოთქვეს:

კომისიის თავმჯდომარემ ისაუბრა სამართლებრივ საფუძვლებში საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის დამატების მიზანშეწონილობის საკითხზე, რაც გაზიარებულ იქნა საკითხის წარმომდგენის მიერ.

გადაწყვიტეს:
განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავეს:

- ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" წევრმა ლილე ლიპარტელიანმა;
- უფრაქციო დეპუტატმა გიორგი ონიანმა;
- უფრაქციო დეპუტატმა თორნიკე ბიკაშვილმა;

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

35. ირაკლი თავართქილაძემ, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით - 35-ე საკითხად განსაზღვრული განკარგულების პროექტი, რაც ითვალისწინებს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობისთვის თანხმობის მიცემას, სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და ნინო ადუაშვილს შორის 2023 წლის 10 ნოემბერს გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევის გამო, ამავე ხელშეკრულების 5.3. პუნქტის შესაბამისად, 2023 წლის 20 დეკემბრიდან 2023 წლის 27 დეკემბრის ჩათვლით პერიოდზე დაკისრებული პირგასამტეხლოსაგან (ჯამში - 800 (რვაასი) ლარის ოდენობით) ნინო ადუაშვილის (პ/ნ 01027028448) გათავისუფლებაზე.

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და ნინო ადუაშვილს შორის 2023 წლის 10 ნოემბერს გაფორმდა „უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ" ხელშეკრულება, რითაც,ქონების შემძენს საკუთრებაში გადაეცა მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონება მდებარე: ქ. თბილისი, ლევან მაჭავარიანის ქუჩა N11, სართული 3, ბინა N35, ფართით: 75,00 კვ.მ, ხოლო, განსაზღვრული ქონების გადაცემის სანაცვლოდ ქონების შემძენმა საკუთრებაში გადასცა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტს შემდეგი უძრავი ქონება:

1) ქ. თბილისი, დასახლება ვარკეთილი, მასივი 3, კვარტალი 1, კორპუსი N1, ბინა N18, ფართი: 67,56 კვ.მ;

2) ქ. თბილისი, დასახლება ვარკეთილი, მასივი 3, კვარტალი 1, კორპუსი N1, სარდაფი ფართით 7.70 კვ.მ;
3) ქ. თბილისი, დასახლება ვარკეთილი, მასივი 3, კვარტალი 1, კორპუსი N1, ავტოფარეხი, შენობა N5, ფართი: 18.00 კვ.მ;

მომხსენებლის მითითებით, ხელშეკრულებით საპრივატიზებო პირობად განისაზღვრა, ქონების შემძენის ვალდებულება, კერძოდ, უზრუნველყოს N01.19.20.029.010.01.018 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ უძრავ ქონებაზე იპოთეკის მოხსნა და აღნიშნულის ასახვა სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ამონაწერში, სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს მიერ შესაბამისი საკუთრების უფლების დამადასტურებელი მოწმობის გაცემიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში, ამასთან, განისაზღვრა ხელშეკრულების ვალდებულებების დარღვევის შემთხვევაში, ქონების შემძენს ეკისრება პირგასამტეხლო 100 (ასი) ლარის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს მიერ, N01.19.20.020.080.01.01.035 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ ქონებაზე, საკუთრების დამადასტურებელი N3-8425 მოწმობა **გაიცა 2023 წლის 5 დეკემბრის** თარიღით, რომელიც **მხარემ ჩაიბარა 2023 წლის 7 დეკემბერს, ამასთან,** ქონების შემძენმა განცხადებებით მიმართა სსიპ ქონების მართვის სააგენტოს და განმარტა, რომ N01.19.20.029.010.01.018 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ უძრავ ქონებაზე, ზემოაღნიშნული იპოთეკის უფლების გაუქმებისათვის, საჭირო გახდა იპოთეკის საგნის ჩანაცვლება (მისი გადატანა სხვა უძრავ ქონებაზე), აღნიშნულისთვის გაწერილი პროცედურები კი, როგორც ბანკის, ასევე მსესხებლის მხრიდან საჭიროებდა გარკვეულ ვადებს. შესაბამისად, ვინაიდან ხელშეკრულებით გაწერილი 10 სამუშაო დღე არ იყო საკმარისი იმისათვის, რომ სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში განხორციელებულიყო იპოთეკის შეწყვეტის რეგისტრაცია, ხელშეკრულების 2.5. პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულება შესრულდა ვადის დარღვევით, კერძოდ, 2023 წლის 19 დეკემბრის ნაცვლად, 2023 წლის 27 დეკემბერს, ამასთან, სსიპ ქონების მართვის სააგენტოს მიერ, დადასტურდა მხარეებს შორის დადებული ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, შესაბამისად, ქ. თბილისში, ლევან მაჭავარიანის ქუჩა N11, მე-3 სართულზე არსებულ ბინა N35-ზე გაუქმდა რეგისტრირებული შეზღუდვა, გარდა ამისა, ამავე წერილით ქონების შემძენს ეცნობა, რომ ხელშეკრულების 2.5. პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების ვადის დარღვევისათვის, ამავე ხელშეკრულების 5.3 პუნქტის თანახმად, დაეკისრა პირგასამტეხლო 100 (ასი) ლარის ოდენობით, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, კერძოდ, 2023 წლის 20 დეკემბრიდან 2023 წლის 27 დეკემბრის (იპოთეკის გაუქმების თარიღის) ჩათვლით პერიოდზე - **ჯამურად 800 (რვაასი) ლარის ოდენობით, რისგან გათავისუფლება ითხოვა დაინტერესებულმა პირმა,**

მომხსენებლის განმარტებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია, სსიპ ქონების მართვის სააგენტოსა და ნინო ადუაშვილს შორის 2023 წლის 10 ნოემბერს გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევის გამო, ამავე ხელშეკრულების 5.3. პუნქტის შესაბამისად, 2023 წლის 20 დეკემბრიდან 2023 წლის 27 დეკემბრის ჩათვლით პერიოდზე დაკისრებული პირგასამტეხლოსაგან (ჯამში - 800 (რვაასი) ლარის ოდენობით) ნინო ადუაშვილის

გათავისუფლება და საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის წარმოდგენა კანონმდებლობით დადგენილი წესით.

გადაწყვიტეს:

განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავეს:

- ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წევრმა ლილე ლიპარტელიანმა.
- უფრაქციო დეპუტატმა გიორგი ონიანმა;
- უფრაქციო დეპუტატმა თორნიკე ბიკაშვილმა;

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:
36. ირაკლი თავართქილაძემ, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით - 36-ე საკითხად განსაზღვრული განკარგულების პროექტი, რაც ითვალისწინებს, სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „ალფა ფროფერთის“ შორის 2023 წლის 28 სექტემბერს გაფორმებული შეთანხმების შესაბამისად, ქ. თბილისში, ო. კაპანაძის ქუჩა №4-ში მდებარე უძრავ ქონებაზე განსახორციელებელი სამშენებლო პროექტის ფარგლებში ქონების მიმღებ პირთა ნაწილის განსაზღვრის საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებას.

მომხსენებელმა ისაუბრა საკითხთან დაკავშირებულ სამართლებრივ პროცესებზე და აღნიშნა, რომ სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს მიერ (შემდგომში - სააგენტო) 2021 წლის 23 აპრილს გაცემული აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმის საფუძველზე, სააგენტოსა და შპს „კლასიკო 2020“-ს (უფლებამონაცვლე: შპს „ალფა ფროფერთი“, შემდგომში: მყიდველი) შორის 2021 წლის 29 აპრილს დადებული ხელშეკრულებით, მყიდველს საკუთრებაში გადაეცა ქ. თბილისში, ო. კაპანაძის ქუჩა №4-ში მდებარე 26 132 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობებით ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების პირობით, საპრივატიზებო საფასურის -1 526 632 (ერთი მილიონ ხუთას ოცდაექვსი ათას ექვსას ოცდათორმეტი) ლარის ოდენობით, რაც მყიდველის მიერ გადახდილია.

მომხსენებელმა განაგრძო თხრობა და აღნიშნა, რომ სააგენტოსა და მყიდველს შორის 2023 წლის 28 სექტემბერს გაფორმებული შეთანხმებით ხელშეკრულებაში შევიდა რიგი ცვლილებები და დამატებები, ხსენებული ხელშეკრულებითა და შეთანხმებით მყიდველის ვალდებულებად განისაზღვრა პრივატიზებულ ქონებაზე არანაკლებ 7 000 კვ.მ. საცხოვრებელი ფართის, უფლებრივად უნაკლო, თეთრი კარკასის მდგომარეობაში, მშენებლობადასრულებულ შენობა-ნაგებობაში გადაცემა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისათვის ან მის მიერ განსაზღვრული შესაბამისი პირებისათვის, არაუგვიანეს 2025 წლის 29 აპრილისა, ხელშეკრულებითა და შეთანხმებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, აქვე აღნიშნა, რომ პრივატიზებულ ქონებაზე დამტკიცებულია განაშენიანების რეგულირების გეგმა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 29 დეკემბრის №440 განკარგულებით, ამასთან, პრივატიზებულ ქონებაზე განაშენიანების რეგულირების გეგმა შემუშავებულია ქალაქ თბილისის

მუნიციპალიტეტის მთავრობის 2019 წლის 27 ნოემბრის განკარგულების საფუძველზე, სააგენტოს მიერ განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვის ფარგლებში, ქ. თბილისში, პაატა სააკაძის ქუჩა №19-ში არსებულ ავარიულ (III კატეგორია) შენობაში მცხოვრები მოსახლეობის ალტერნატიული ფართებით დაკმაყოფილების მიზნით და მუნიციპალიტეტის ინტერესების გათვალისწინებით, აღნიშნულს ასევე ადასტურებს სააგენტოში წარდგენილი ჩუღურეთის რაიონის გამგეობის 2021-2023 წლების კორესპონდენციები.

მომხენებლის ინფორმაციით, ხელშეკრულებითა და შეთანხმებით გათვალისწინებული გადმოსაცემი 7 000 კვ.მ. საცხოვრებელი ფართის ნაწილის საბოლოო მიმღებ პირებად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტთან ერთად, მოიაზრება, ქ. თბილისში, პაატა სააკაძის ქუჩა №19-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე განთავსებული შენობა-ნაგებობის მესაკუთრეები (შემდგომში: მესაკუთრეები), ასევე, პირები, რომელთაც, თვითნებურად/საკუთრების უფლების რეგისტრაციის გარეშე/ფაქტობრივად აქვთ დაკავებული საცხოვრებელი ფართები პრივატიზებულ ქონებასა და ქ. თბილისში, პაატა სააკაძის ქუჩა №19-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე განთავსებულ შენობა-ნაგებობებში, ხოლო, აღნიშნულ პირთა სია და მათ მიერ მისაღები ფართების მონაცემების შესახებ დაზუსტებული ინფორმაცია სააგენტოს მიერ მყიდველს უნდა წარედგინოს დამატებით – შეთანხმების გაფორმებიდან (28.09.2023 წ.) 6 (ექვსი) თვის ვადაში – არაუგვიანეს 2024 წლის 28 მარტისა.

ამასთან, მომხსენებლის განმარტებით, შეთანხმება ითვალისწინებს მესაკუთრეებისა და მფლობელების დაკმაყოფილებას როგორც ხელშეკრულებითა და შეთანხმებით გათვალისწინებული 7 000 კვ.მ. საცხოვრებელი ფართიდან ნაწილის გადაცემით, ისე, მყიდველის მიერ ალტერნატიული შესრულების (მათ შორის, სათანადო ფულადი ანაზღაურების) განხორციელების გზით. შესაბამისი ფართების (ან ალტერნატიული შესრულების) მიღების სანაცვლოდ, მესაკუთრეებმა მუნიციპალიტეტს უნდა გადასცენ საკუთრების უფლება ქ. თბილისში, პაატა სააკაძის ქუჩა №19-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე განთავსებული შენობა-ნაგებობიდან მათ საკუთრებაში არსებულ ფართებზე (და მათზე წილობრივად დამაგრებულ მიწის ნაკვეთზე), ხოლო მფლობელებმა უარი უნდა განაცხადონ მათ მიერ თვითნებურად დაკავებულ უძრავ ქონებასთან დაკავშირებით ყოველგვარ მოთხოვნის უფლებაზე. შესაბამისი ფართების მიღების სანაცვლოდ, აღნიშნული პირები ასევე გამოათავისუფლებენ მათ მიერ ფაქტობრივად დაკავებულ ფართებს, კერძოდ, აღნიშნული პირებიქ. თბილისში, პაატა სააკაძის ქუჩა №19-ში არსებულ უძრავ ქონებაში მათ მიერ ფაქტობრივად დაკავებულ ფართებს მფლობელობაში გადასცემენ მუნიციპალიტეტს, ხოლო პრივატიზებულ ქონებაზე ფაქტობრივად დაკავებულ ფართებს - მყიდველს, ამასთან, აღნიშნული 7 000 კვ.მ. საცხოვრებელი ფართიდან, ის ნაწილი, რომლებიც არ გადაეცემა მესაკუთრეებს/მფლობელებს, ასევე ის ფართები, რომელთა მიმღები პირებიც უარს იტყვიან შესაბამისი პირობებით ქონების მიღებაზე – გადაეცემა მუნიციპალიტეტს.

მომხსენებელმა შემაჯამებლად აღნიშნა, რომ მითითებული სამართლებრივი და ფაქტობრივი გარემოებების, აგრეთვე, ჩუღურეთის რაიონის გამგეობის მიერ მოწოდებული ინფორმაციის, საქართველოს პარლამენტის წევრის – რამინა ბერიძის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ზურაბ ჩიკვილაძის კორესპონდენციების გათვალისწინებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტით განისაზღვრება - პრივატიზებულ ქონებაზე განსახორციელებელი სამშენებლო პროექტის ფარგლებში

ქონების მიმღებ შემდეგ პირთა ნაწილის დადგენა სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „ალფა ფროფერთის“ შორის 2023 წლის 28 სექტემბერს გაფორმებული შეთანხმების შესაბამისად, ქ. თბილისში, ო. კაპანაძის ქუჩა №4-ში მდებარე უძრავ ქონებაზე განსახორციელებელი სამშენებლო პროექტის ფარგლებში, აღნიშნულ პირთა მიერ შეთანხმებით გათვალისწინებული შესაბამისი საპრივატიზებო ვალდებულებების შესრულების პირობით:

- ✓ ეკა მამისაშვილი
- ✓ ვეფხვია როსტომაშვილი
- ✓ ნიკა მელაძე
- ✓ იმედა მელაძე.

აზრი გამოთქვეს:
კომისიის თავმჯდომარემ მიზანშეწონილად მიიჩნია, პროექტის პირველ პუნქტში ნაცვლად მთავრობის განკარგულების დანართისა, მიეთითოს საკრებულოს განკარგულების დანართი, რაც გაზიარებულ იქნა საკითხის წარმომდგენის მიერ.

გადაწყვიტეს:

განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავეს:

- ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წევრმა ლილე ლიპარტელიანმა.
- უფრაქციო დეპუტატმა გიორგი ონიანმა;
- უფრაქციო დეპუტატმა თორნიკე ბიკაშვილმა;

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:
37. ირაკლი თავართქილაძემ, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით - 37-ე საკითხად განსაზღვრული განკარგულების პროექტი, რაც ითვალისწინებს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით - სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს და ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებს/მათ უფლებამონაცვლეებს, აგრეთვე, შპს „ენსი დეველოპმენტს“ დღეის მდგომარეობით - შპს „დეკა დეველოპმენტს“ შორის 2021 წლის 11 ივნისს გაფორმებულ ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანას, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2024 წლის 14 თებერვლის N24.217.274 განკარგულების დანართად განსაზღვრული შეთანხმების პროექტის პირობების შესაბამისად, რაც ითვალისწინებს შემდეგ ღონისძიებებს:

1. მხარეებს შორის გაფორმებული ზემომითითებული ხელშეკრულების მე-3 მუხლს 3.7 პუნქტის შემდეგ ემატება შემდეგი შინაარსის 3.7[1] პუნქტი:

   „*3.7.[1]* კომპანია უფლებამოსილია თავისი შეხედულემისამებრ განახორციელოს ამ ხელშეკრულების 3.6. პუნქტით გათვალისწინებული სამშენებლო ლოტების რაოდენობისა და თითოეული ლოტით გასათვალისწინებელი სრული სამშენებლო

ფართის მოცულობის ცვლილება იმგვარად, რომ არ შემცირდეს თითოეული ლოტიდან კოოპერატივის წევრებისთვის/სააგენტოსთვის ამავე პუნქტით განსაზღვრული გადასაცემი ფართების ფართობი და არ გაიზარდოს გადაცემის ვადები. ამასთან, აღნიშნული პირობის დაცვით, კომპანია არ არის შეზღუდული, კოოპერატივის წევრებისთვის/სააგენტოსთვის გადასაცემი ფართის მშენებლობა და გადაცემა განახორციელოს უპირატესად იმ შენობა-ნაგებობ(ებ)იდან, რომლის მშენებლობა წინ უსწრებს სხვა შენობა-ნაგეობ(ბ)ის მშენებლობას."

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მითითებული შეთანხმებით გათვალისწინებულის გარდა, ხელშეკრულების ყველა სხვა პირობა დარჩება უცვლელად, ამასთან, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის წარმოდგენილი განკარგულების პროექტის დამტკიცების შემთხვევაში, შეთანხმება, ძალაში შევა მისი ხელმოწერისთანავე. იგი წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და დაექვემდებარება სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში რეგისტრაციას. ყოველგვარი ეჭვის გამოსარიცხად, ამ შეთანხმების რეგისტრაციასთან დაკავშირებული ხარჯების გადახდას სრულად უზრუნველყოფს კომპანია.

მომხსენებელმა განმარტა, რომ ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრების/მათ უფლებამონაცვლეებს და ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული შპს „ენსი დეველოპმენტის" პირდაპირი განკარგვის წესით სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად საკუთრებაში გადაეცა ქალაქ თბილისში, საბურთალოს რაიონში; ქ. თბილისში, არჩილ მეფის ქ. N13-15-ის მიმდებარედ, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, 10 755 კვ.მ ფართობის მიწის ნაკვეთი, ყოფილი საბინაო სამშენებელო კოოპერტივის წევრებისათვის/მათი უფლებამონაცვლეებისათვის სახელმწიფო საშინაო ვალის გასტუმრების მიზნით, მათთვის აღნიშნულ მისამართზე შესაბამისი ოდენობის მიწის ნაკვეთისა და აღნიშნულის პროპორციული ოდენობის, კომპანიის მიერ აშენებული თეთრი კარკასის მდგომარეობის, საცხოვრებელი ფართების საკუთრებაში გადაცემით, მათ მიმართ არსებულ ან შესაძლოდ გამოვლენილ სახელმწიფო საშინაო ვალზე და მასთან დაკავშირებულ სხვა ნებისმიერ უფლებასა და მოთხოვნაზე უარის თქმის სანაცვლოდ, ამასთან, მხარეებს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით, კომპანიამ იკისრა რიგი ვალდებულებები, მათ, შორის:

✓ ხელშეკრულების თანახმად, „წინამდებარე ხელშეკრულებით, მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლებას სააგენტო და კოოპერატივის წევრები საკუთრებაში გადასცემენ კომპანიას იმ პირობით, რომ ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული წესითა და ვადებში, კომპანია შესაბამისი სამშენებლო ნებართვ(ებ)ის საფუძველზე განახორციელებს ინდივიდუალურ საცხოვრებელი ფართების რეგისტრაციას (ე.წ „განშლას") და კოოპერატივების წევრებსა და სააგენტოს, საჯარო რეესტრში პირის მომავალ მესაკუთრედ რეგისტრაციის გზით, გადასცემს სამომავლო საკუთრების უფლებას შესაბამის ინდივიდუალურ საცხოვრებელ ფართებზე, შესაბამისი მშენებლობის ნებართვ(ებ)ის მოპოვებიდან არაუგვიანეს 2 (ორი) თვის ვადაში, ხოლო შენობა-ნაგებობ(ებ)ის მშენებლობის დასრულებისათვის გათვალისწინებულ ვადაში, აღნიშნულ ფართებს გადასცემს მათ ფაქტობრივად ე.წ. „თეთრი კარკასის" მდგომარეობით და უზრუნველყოფს მათზე ამ

✓ ხელშეკრულების საფუძველზე, „კომპანიის მიერ სააგენტოსა და კოოპერატივის წევრებისთვის გადასაცემი საცხოვრებელი ფართის ჯამური ოდენობა შეადგენს 6 100 კვ.მ-ს, საიდანაც 728.057 კვ.მ საცხოვრებელი ფართი გადაეცემა სააგენტოს ან/და სააგენტოს მიერ

განსაზღვრულ სხვა პირ(ებ)ს, ხოლო ჯამურად 5371.943 კვ.მ - კოოპერატივის წევრებს. ამ ხელშეკრულების დანართით განისაზღვრება კოოპერატივის თითოეული წევრისათვის გადასაცემი საცხოვრებელი ფართის ფართობი."

✓ ხელშეკრულების მიხედვით, „კომპანია ვალდებულია შენობა-ნაგებობ(ებ)ის სრული არქიტექტურული პროექტის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვის მოპოვება უზრუნველყოს ამ ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 9 (ცხრა) თვის ვადაში, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით. ყოველგვარი ეჭვის გამოსარიცხად, აღნიშნული ვადა არ მოიცავს ნებართვის გამცემი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ხარვეზების გამოსასწორებლად განსაზღვრულ ვადას."

✓ ხელშეკრულების 3.6. პუნქტით: კომპანია ვალდებულია პროექტით გათვალისწინებული შენობა-ნაგებობ(ებ)ის მშენებლობა განახორციელოს მშენებლობის ნებართვის მოპოვებიდან არაუგვიანეს 3 (სამი) წლის ვადაში 3 ლოტად, სათანადო წესით.

✓ ინტერესთა გამოხატვაში წარდგენილი წინადადების, ამ ხელშეკრულების გაფორმების და ამ ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში შესაბამისი სამშენებლო ნებართვ(ებ)ის მოპოვების უზრუნველსაყოფად, კომპანიამ სააგენტოს სასარგებლოდ წარმოადგინა ჯამში 500 000 (ხუთასი ათასი) ლარის ოდენობის გამოუხმობადი და უპირობო საბანკო გარანტია;

✓ იმ შემთხვევაში, თუ კომპანია დაარღვევდა ხელშეკრულების 6.1.1. ქვეპუნქტით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულების ვადას, მას დაეკისრებოდა სააგენტოსთვის პირგასამტეხლოს გადახდის ვალდებულება საბანკო გარანტიის ჯამური ოდენობის 0,1 %-ის ოდენობით (500 - ხუთასი - ლარით) ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

მომხსენებელმა განმარტა, რომ რომ კომპანიამ სააგენტოს მომართა 2023 წლის 2 აგვისტოს N04-0123214472-61 განცხადებით და ითხოვა ხელშეკრულების 3 გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევის გამო, დასაკისრებული პირგასამტეხლოსგან გათავისუფლება, ხოლო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობისა და სათანადო განკარგულებებით, მიღებულ იქნა დადებითი გადაწყვეტილებები შპს „დეკა დეველოპმენტისათვის" (ს/ნ: 405385925) დასაკისრებელი პირგასამტეხლოსგან გათავისუფლების თაობაზე, იმ პირობით, რომ შპს „დეკა დეველოპმენტი" (ს/ნ: 405385925) სრულად უზრუნველყოფდა ამავე ხელშეკრულების 3.1. პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებას, კერძოდ: კოოპერატივის წევრებისა და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისთვის / სააგენტოსთვის გადასაცემ შესაბამის ინდივიდუალურ საცხოვრებელ ფართებზე სამომავლო საკუთრების უფლების სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში რეგისტრაციას, *ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2023 წლის 15 აგვისტოს N23.1207.1339 განკარგულების გამოცემიდან არაუგვიანეს 3 (სამი) თვის ვადაში.* ამასთან, პროექტის განმარტებითი ბარათის მიხედვით, დასახელებული განკარგულებებით შპს „დეკა დეველოპმენტს" (ს/ნ: 405385925) აღარ ეკისრება ხელშეკრულების 6.1.1 პუნქტით გათვალისწინებული - ვადაგაგრძელებული ან/და ახალი საბანკო გარანტიის წარმოდგენის ვალდებულება.

მომხსენებლის მითითებით, კომპანიას კოოპერატივის წევრებისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისთვის/სააგენტოსთვის გადასაცემ შესაბამის ინდივიდუალურ საცხოვრებელ ფართებზე სამომავლო საკუთრების უფლების რეგისტრაციის ამონაწერები უნდა წარმოედგინა არაუგვიანეს 2023 წლის 15 ნოემბრამდე. თუმცა, კომპანიის მიერ

სააგენტოში წარმოდგენილ იქნა საჯარო რეესტრიდან შესაბამისი ამონაწერები, რომლითაც დადგინდა, რომ მუნიციპალიტეტისთვის გადმოსაცემ ორ ფართზე საჯარო რეესტრიდან ამონაწერები მომზადებულ იქნა ზემოაღნიშნული განკარგულებებით განსაზღვრული ვადის დარღვევით, კომპანიამ ასევე, აღნიშნა, რომ ხელშეკრულების 3.6. და 3.7. პუნქტებით გათვალისწინებული პირობები/ვალდებულებები ფაქტობრივი მდგომარეობით დარღვეულია, მაგრამ იმის გათვალისწინებით, რომ N01.10.08.006.230 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ უძრავ ქონებაზე მშენებლობისათვის საჭირო ფინანსების მოზიდვის მიზნით, კომპანიის მიერ დაწყებულია კომერციულ ბანკთან თანამშრომლობა, საკრედიტო ხაზის გამოყოფისა და მშენებლობის დაფინანსებისათვის აუცილებელი სესხის მოპოვების მიზნით და ამ კუთხით, კომპანია საბოლოო მოლაპარაკებას აწარმოებს სს „საქართველოს ბანკთან". შესაბამისად, ბანკის მოთხოვნიდან გამომდინარე, კომპანიამ ითხოვა სააგენტოს წერილობითი პოზიცია/დასტური, რომ აღნიშნული გარემოება, არ ჩაითვლება ხელშეკრულების პირობ(ებ)ის დარღვევად ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის/სააგენტოს მხრიდან.

ირაკლი თავართქილაძემ აღნიშნა, რომ ამდენად, იმისთვის, რომ არ შეფერხდეს პროექტის განხორციელება და კომპანიას მიეცეს დაფინანსების მოპოვების შესაძლებლობა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ, კომპანიის 2024 წლის 7 თებერვლის განცხადების გათვალისწინებით, მიზანშეწონილად მიიჩნია პროექტის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარმოდგენა.

აზრი გამოთქვეს:
კომისიის თავმჯდომარემ ისაუბრა პროექტის პრეამბულას მიმართ არსებული რეკომენდაციის თაობაზე, რაც გაზიარებულ იქნა საკითხის წარმომდგენის მიერ.

გადაწყვიტეს:
განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავეს:

- ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" წევრმა ლილე ლიპარტელიანმა.
- უფრაქციო დეპუტატმა გიორგი ონიანმა;
- უფრაქციო დეპუტატმა თორნიკე ბიკაშვილმა;
- უფრაქციო დეპუტატმა დავით ფარცვანიამ

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:
38. ირაკლი თავართქილაძემ, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით - 38-ე საკითხად განსაზღვრული განკარგულების პროექტი, რაც ითვალისწინებს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებას - კოოპერატიული ბინათმშენებლობის დაუსრულებლობით შედეგად დაზარალებულ პირთა უმრავი ქონების უზრუნველყოფის მიზნით განხორციელებული/განსახორციელებელი სამშენებლო პროექტების ფარგლებში რიგი ღონისძიებების განსაზღვრას, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2024 წლის 14 თებერვლის სათანადო განკარგულებით განსაზღვრული პირობების შესაბამისად.

მომხსენებელმა ისაუბრა საკითხთან დაკავშირებული ღონისძიებების თაობაზე და აღნიშნა, რომ სსიპ - ქონების მართვის სააგენტო (შემდგომში - „სააგენტო"), როგორც ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების განკარგვაზე უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანო, აქტიურადაა ჩართული „სახელმწიფო ვალის შესახებ" საქართველოს კანონით აღიარებული კოოპერატიული ბინათმშენებლობის წევრებისთვის განსაზღვრული უძრავი ქონების სიმბოლურ ფასად საკუთრებაში გადაცემის პროცესში და ეტაპობრივად ახორციელებს მათთვის განსაზღვრული უძრავი ქონების სიმბოლურ ფასად საკუთრებაში გადაცემის უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ პროცედურებს, აქვე დასძინა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ მიღებული შესაბამისი განკარგულებების საფუძველზე, სააგენტოს, განსაზღვრულ კოოპერატივების წევრებსა და შესაბამის მიწის ნაკვეთ(ებ)ზე გამოცხადებულ ინტერესთა გამოხატვის ფარგლებში კონკურენტული შერჩევის საფუძველზე გამოვლენილ გამარჯვებულ სუბიექტებს (შემდგომში - „კომპანია") შორის გაფორმებულია არაერთი ხელშეკრულება (შემდგომში - „ხელშეკრულებები"), რომელთა უმრავლესობაში ერთ-ერთ საპრივატიზებო პირობად განსაზღვრულია შემდეგი:

- „კომპანია ვალდებულია ინტერესთა გამოხატვით გათვალისწინებულ სამშენებლო პროექტთან დაკავშირებით, შესაბამისი მშენებლობის ნებართვა/ნებართვები მოიპოვოს, ხელშეკრულების დანართით განსაზღვრულ ინდივიდუალურ საცხოვრებელ ფართებზე უზრუნველყოს ამავე ხელშეკრულების დანართით გათვალისწინებული პირების საკუთრების/სამომავლო საკუთრების უფლების რეგისტრაცია, მშენებლობა დაასრულოს, შესაბამისი საცხოვრებელი ფართები აღნიშნულ პირებს საკუთრებაში ფაქტობრივად გადასცეს ე.წ. „თეთრი კარკასის" მდგომარეობით და შესაბამისი შენობა-ნაგებობ(ებ)ი ექსპლუატაციაში მიიღოს, ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში და წესით". ამასთან, ხელშეკრულებების თანახმად, შესაბამის მიწის ნაკვეთ(ებ)ზე კომპანიის საკუთრების უფლება რეგისტრირდება ხელშეკრულებებით განსაზღვრული საპრივატიზებო და სხვა ვალდებულებების შესრულების პირობით (შემდგომში - „შეზღუდვა"), რაც აისახება შესაბამის მოწმობაში/საჯარო რეესტრიდან ამონაწერში.

მომხსენებლის განმარტებით, ვინაიდან, მიწის ნაკვეთ(ებ)ზე მუნიციპალიტეტის სასარგებლოდ საჯარო რეესტრში რეგისტრირებული შეზღუდვის გაუქმება მშენებლობის დასრულებამდე/ექსპლუატაციაში მიღებამდე გათვალისწინებული არ არის, კომპანი(ებ)ის მიერ შესაბამისი მშენებლობის ნებართვ(ებ)ის მოპოვების შემდეგ, ინდივიდუალური ფართების განაწილების ოქმის საფუძველზე ინდივიდუალური ფართების რეგისტრაციისას (ე.წ. „განშლა"), ამავე ხელშეკრულებებით გათვალისწინებული შეზღუდვა, ასევე, რეგისტრირდება შესაბამის მიწის ნაკვეთზე წარმოქმნილ ინდივიდუალურ ფართებზე, რითაც, სამშენებლო პროექტების განხორციელების ეტაპზე, არაერთ კომპანიას, მათივე განმარტებით, წარმოეშვა პრაქტიკული პრობლემა, კერძოდ, როგორც აღნიშნულ კომპანიებთან კომუნიკაციის პროცესში გამოიკვეთა, ე.წ. „განშლის" რეგისტრაციის შემდეგ, ზემოაღნიშნული შეზღუდვის გავრცელება სამშენებლო პროექტის ფარგლებში წარმოქმნილ ინდივიდუალურ ფართებზე სრულად, დამაბრკოლებელი

ფაქტორი აღმოჩნდა კომერციული ბანკებიდან სამშენებლო პროექტის დაფინანსების მიღების პროცესში, აღნიშნული ღონისძიებების გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2022 წლის 22 ივნისის N22 სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილებით, სსიპ – ქონების მართვის სააგენტოს მიეცა თანხმობა, კოოპერატიული ბინათმშენებლობის პროექტების ფარგლებში გაფორმებულ ხელშეკრულებებზე, კომპანიის მიერ ინდივიდუალური ფართების განაწილების ოქმის (ე.წ. „განშლა") საფუძველზე ამავე ხელშეკრულების დანართით განსაზღვრულ ფართებზე კოოპერატივის წევრების საკუთრების უფლების/მომავალი საკუთრების უფლების რეგისტრაციის შემდეგ, კომპანიების მოთხოვნის შემთხვევაში, სრული სამშენებლო პროექტის ფარგლებში წარმოქმნილი ინდივიდუალური ფართების ჯამური ფართობის (კოოპერატივის წევრებისთვის დანართის შესაბამისად გადასაცემი ფართების ფართობის ჩათვლით) არაუმეტეს 30%-ზე ზემოაღნიშნული შეზღუდვა გაუქმდეს სააგენტოს წერილობითი თანხმობით, რისთვისაც არ არის საჭირო კოოპერატივის წევრების თანხმობა. მშენებლობის ლოტებად განხორციელების შემთხვევაში, ამავე წესით შეზღუდვა გაუქმდეს თითოეულ ლოტში არსებული ინდივიდუალური ფართების ჯამური ფართობის (კოოპერატივის წევრებისთვის შესაბამის ლოტში გადასაცემი ინდივიდუალური ფართების ფართობის ჩათვლით) არაუმეტეს 30%-ზე. ინდივიდუალურ ფართებს, რომელსაც ამ წესის შესაბამისად შესაძლებელია მოეხსნას შეზღუდვა, განსაზღვრავს კომპანია საკუთარი შეხედულებისამებრ. ინდივიდუალური ფართი გულისხმობს სრული სამშენებლო პროექტის ფარგლებში კომპანიის მიერ ინდივიდუალური ფართების განაწილების ოქმის (ე.წ. „განშლა") საფუძველზე რეგისტრირებულ/დასარეგისტრირებელ როგორც საცხოვრებელ, ისე არასაცხოვრებელ ფართს, მომხსენებელმა აქვე დაამატა, რომ აღნიშნული საოქმო გადაწყვეტილების საფუძველზე, მის მიღებამდე გაფორმებული იმ ხელშეკრულებების ფარგლებში წარმოქმნილ შესაბამის ინდივიდუალურ ფართებზე, რომელზეც სააგენტოში წარდგენილ იქნა შესაბამისი ხელშეკრულების მხარე კომპანიის მოთხოვნა, შეზღუდვები გაუქმდა ზემოხსენებულ -ინდივიდუალური ფართების 30%-ზე, ამასთან, აღნიშნული რეგულაცია გათვალისწინებულ იქნა საოქმო ჩანაწერის მიღების შემდეგ გაფორმებულ შესაბამის ხელშეკრულებებში.

ირაკლი თავართქილაძის მითითებით, მიუხედავად ზემოაღნიშნული გარემოებებისა, სააგენტოში წარმოდგენილ იქნა შემდეგი კომპანიების: შპს „არომა", შპს „ლ. ბ დიღომი" , შპს „ლიტ ჯეო ინვესტი", შპს „აბგრეიდ ქონსთრაქშენი", შპს „დეკა დეველოპმენტი", შპს „საერთაშორისო საინვესტიციო ჯგუფი", განცხადებები, რომლებმაც ითხოვეს, სამშენებლო პროექტ(ებ)ის განხორციელების უზრუნველსაყოფად, შესაბამის სამშენებლო პროექტების ფარგლებში წარმოქმნილ ინდივიდუალურ საცხოვრებელ ფართებზე დღეის მდგომარეობით, შესაბამისი ხელშეკრულებებით გათვალისწინებული შეზღუდვის სრულად მოხსნა, რათა შესაბამისმა კომერციულმა ბანკებმა გამოყონ საჭირო ოდენობის სესხი და კომპანიებმა დროულად, შეუფერხებლად და ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში შეძლონ ზემოხსენებული სოციალური პროექტების განხორციელება.

მომხსენებელმა აქვე დაამატა, რომ საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ შემუშავებულია „უძრავი ქონების დეველოპერი კომპანიების დაფინანსების პრინციპები",

რომელიც პრინციპები განსაზღვრავს დეველოპერული კომპანიებისთვის ამავე სამშენებლო პროექტების დაფინანსების პირობებს, რითაც მინიმუმამდეა დაყვანილი აღნიშნული პროექტების განხორციელებისას გასათვალისწინებელი რისკები, ასევე, კომერციული ბანკები განიხილავენ და აფასებენ დეველოპერული პროექტის განხორციელებადობის შესაძლებლობას, რის შემდგომაც, პროექტის დაფინანსება ხორციელდება ტრანშების მეშვეობით, ამასთან, კომერციული ბანკები უზრუნველყოფენ განგრძობით მონიტორინგს, რაც გამორიცხავს მსესხებლის მიერ სასესხო თანხების არამიზნობრივად გახარჯვას, ყოველივე ზემომითითებულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია, კომპანიების მოთხოვნის შემთხვევაში, თუ ისინი დაადასტურებენ, რომ პროექტი სრულად ფინანსდება კომერციული ბანკის მიერ, მათ მიერ კოოპერატიული პროექტების ეფექტურად განხორციელებისა და მშენებლობის პროცესის შეფერხების თავიდან არიდების მიზნით, არსებობდეს შესაძლებელობა, ხელშეკრულებებით გათვალისწინებული სამშენებლო პროექტის ფარგლებში წარმოქმნილი სარეალიზაციო ინდივიდუალურ ფართებზე, სააგენტოს წერილობითი თანხმობით სრულად ან ნაწილობრივ გაუქმდეს ხელშეკრულებებით გათვალისწინებული შეზღუდვა, კერძოდ, კოოპერატიული ხელშეკრულებ(ებ)ის საფუძველზე სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში რეგისტრირებული შეზღუდვა შესაბამისი კოოპერატიული ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შესახებ, ამავე სამშენებლო პროექტ(ებ)ის განმახორციელებელი კომპანი(ებ)ის წერილობითი მოთხოვნის შემთხვევაში, ინდივიდუალური ფართების განაწილების ოქმისა (ე.წ. „განშლა“) და შესაბამისი კოოპერატიული ხელშეკრულებით განსაზღვრულ პირთა სამომავლო საკუთრების/საკუთრების უფლების რეგისტრაციის შემდეგ, შესაძლებელია გაუქმდეს სრულად ან ნაწილობრივ, სააგენტოს წერილობითი თანხმობით, თუ შესაბამისი კომპანიის მიერ სააგენტოში წარდგენილი იქნება საქართველოში ლიცენზირებული კომერციული ბანკის მიერ გაცემული წერილობითი დოკუმენტი, რომლითაც დასტურდება კომპანიასა და კომერციულ ბანკს შორის შესაბამისი პროექტის სრულად დაფინანსების შესახებ ხელშეკრულების (შემდგომში - „დაფინანსების ხელშეკრულება“) გაფორმების ფაქტი. ამასთან:

- დაფინანსების ხელშეკრულება გაფორმებულ უნდა იქნას არსებითად საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ შემუშავებული „უძრავი ქონების დეველოპერი კომპანიების დაფინანსების პრინციპების“ მიხედვით;
- დაფინანსების ხელშეკრულებით უნდა განისაზღვროს, რომ, კომპანიასა ან/და კომერციულ ბანკს, სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს წერილობითი თანხმობის გარეშე, არ აქვთ უფლება, დაფინანსების ხელშეკრულებაში შეიტანონ ისეთი ცვლილება, რომელიც ცვლის სამშენებლო პროექტის დაფინანსების ტიპს ან/და შეუსაბამოა დაფინანსების ზემოხსენებულ პრინციპებთან;
- დაფინანსების ხელშეკრულებით უნდა განისაზღვროს, რომ ბანკი ვალდებულია, სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს აცნობოს დაფინანსების ხელშეკრულების ნებისმიერი მიზეზით შეწყვეტის შემთხვევაში დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს ხელშეკრულების შეწყვეტიდან 3 (სამი) სამუშაო დღისა.

- იმ შემთხვევაში, თუ დაფინანსების ხელშეკრულება შეწყდება კომპანიის მიერ, კომერციული ბანკისთვის დაფინანსების დაბრუნების ან/და სხვა საფუძვლით, სსიპ - ქონების მართვის სააგენტო უფლებამოსილია, ცალმხრივად, კომპანიის ან/და კოოპერატიული ხელშეკრულებით განსაზღვრულ პირთა თანხმობის გარეშე, წერილობით მიმართოს სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს და მოითხოვოს მიმართვის დროისათვის სამშენებლო პროექტში არსებულ იმ ინდივიდუალურ ფართებზე შესაბამისი კოოპერატიული ხელშეკრულებით გათვალისწინებული შეზღუდვის დაბრუნება/ასახვა, რომლებიც არ არის განკარგული მესამე პირებზე და არ მოიცავს ამ განკარგულებით გათვალისწინებულ - ჯამურად 30 % ოდენობის შესაბამის ფართებს.

მოხსენების მიწურულს, ირაკლი თავართქილაძემ განმარტა, რომ ალტერნატივის სახით, ძალაში რჩება, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2022 წლის 22 ივნისის N22 სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილება, არაუმეტეს 30%-ზე ზემოაღნიშნული შეზღუდვის გაუქმების შესაძლებლობასთან დაკავშირებით, აგრეთვე, დაამატა, რომ განკარგულების მიზნებისთვის, ინდივიდუალურ ფართებს, რომელსაც შესაძლებელია მოეხსნას შეზღუდვა, განსაზღვრავს კომპანია საკუთარი შეხედულებისამებრ, ხოლო, ინდივიდუალური ფართი გულისხმობს სრული სამშენებლო პროექტის ფარგლებში კომპანიის მიერ ინდივიდუალური ფართების განაწილების ოქმის საფუძველზე რეგისტრირებულ/დასარეგისტრირებელ როგორც საცხოვრებელ, ისე არასაცხოვრებელ ფართს, ამასთან, ზემოხსენებული პირობები არ გავრცელდება იმ კოოპერატიულ ხელშეკრულებებზე, რომლებიც გაფორმებულია კოოპერატიული ბინათმშენებლობის დაუსრულებლობით შედეგად დაზარალებულ პირთა უძრავი ქონების უზრუნველყოფის მიზნით გამოცხადებული ისეთი ინტერესთა გამოხატვის საფუძველზე, რომელთა საჯაროდ გამოცხადებული პირობების მიხედვით, აღნიშნული საკითხი დარეგულირებული იყო ზემოაღნიშნული პირობებისაგან განსხვავებულად.

აზრი გამოთქვეს:

კომისიის თავმჯდომარემ ისაუბრა, პროექტის სამართლებრივი საფუძვლების და პირველი პუნქტის მიმართ არსებული რეკომენდაციების თაობაზე, ასევე, ხაზი გაუსვა, საკრებულოს განკარგულების სტრუქტურისა და ხელმომწერი პირის ნაწილში არსებულ ხარვეზებს, რომლებიც გაზიარებულ იქნა საკითხის წარმომდგენის მიერ.

გადაწყვიტეს:

განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავეს:

- ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წევრმა ლილე ლიპარტელიანმა.
- უფრაქციო დეპუტატმა გიორგი ონიანმა;
- უფრაქციო დეპუტატმა თორნიკე ბიკაშვილმა;

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:
39. ნინო ბაგაშვილმა, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით - 39-ე საკითხად განსაზღვრული განკარგულების პროექტი, რაც ითვალისწინებს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილებით დამტკიცებული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების 39³ მუხლით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაცია/ჩანაცვლების მიზანით დადგენილი ხელშემწყობი ღონისძიებების საფუძველზე, ქალაქი თბილისი, ნუცუბიძის ფერდობი, მე-2, მე-3, მე-4 მ/რ-ის მიმდებარედ, ინტენსიფიკაციის ზემოთ მდებარე 600 კვ.მ. მიწის ნაკვეთთან მიმართებით გასატარებელი ღონისძიებების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებას.

მომხსენებელმა ისაუბრა საკითხთაან დაკავშირებული ღონისძიებების თაობაზე და აღნიშნა, რომ სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოში წარდგენილი განცხადებებით, შესაბამისმა დაინტერესებულმა პირმა ზემომითითებულ მისამართზე მდებარე მიწის ნაკვეთზე მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) გადამეტების სანაცვლოდ (კ-2=2.5), გამოხატა მზაობა მაკომპენსირებელი ღონისძიების სახით, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებულ ავარიულ შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, შესაბამისი ფასის გადახდაზე, აქვე დაამატა, რომ მითითებულ უძრავ ქონებაზე ვრცელდება საცხოვრებელი ზონა 3 (სზ-3), ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 24 ოქტომბრის ბრძანებით დადგენილია მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლისთვის, ხოლო, დაინტერესებული პირის მიერ ხელშემწყობი ღონისძიების სახით მოთხოვნილია, მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) ზღვრული მაჩვენებლის გადამეტება კ-2=1.5-დან კ-2=2.5-მდე, რაც ითვალისწინებს საპროექტო ტერიტორიაზე 8 მიწისზედა სართულის განთავსებას, ასევე დამატებულ მოცულობაზე, სიმაღლის ნაწილში პროექტის შეთანხმებისას არ იქნას გათვალისწინებული კანონით განსაზღვრული რეგულაციები.

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტიზის დასკვნით, საპროექტო მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულება 2023 წლის 12 ივნისის მდგომარეობით საორიენტაციოდ შეადგენს 461 421 ლარს, ხოლო, ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის წერილის თანახმად, ქალაქ თბილისში, ნუცუბიძის ფერდობი, მე-2, მე-3, მე-4 მ/რ-ის მიმდებარედ, ინტენსიფიკაციის ზემოთ მდებარე მიწის ნაკვეთის კ-2 კოეფიციენტის 1.5-დან 2.5-მდე გადამეტების შესაბამისი ფასი შეადგენს 307,614.00 (სამას შვიდი ათას ექვსას თოთხმეტი) ლარს.

ნინო ბაგაშვილის განმარტებით, იმის გათვალისწინებით, რომ კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაცია/ჩანაცვლება არის მუნიციპალიტეტისათვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო ანგარიშზე შესაბამისი ფასის ჩარიცხვის სანაცვლოდ, ზემოაღნიშნულ მიწის ნაკვეთზე მოხდეს შემდეგი ხელშემწყობი ღონისძიებების განსაზღვრა, ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენებისათვის

მაკომპენსირებელი ღონისძიების სახით, შესაბამისი ფასის ოდენობა განისაზღვროს შესაბამისი პრინციპით და საანგარიშო ფორმულით, ხოლო, საკითხის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა:

✓ ხდება მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის კ-2=1.5 დან კ-2=2.5 მდე;

✓ არქიტექტურული პროექტის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვის გაცემა მოხდეს გადამეტებულ ფართზე სიმაღლის განმსაზღვრელი რეგულაციების გათვალისწინების გარეშე;

✓ დაინტერესებულმა პირმა ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენებისათვის მაკომპენსირებელი ღონისძიების სახით, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებულ ავარიულ შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით შესაბამისი ფასის - 307,614.00 (სამას შვიდი ათას ექვსას თოთხმეტი) ლარის გადარიცხვა განახორციელოს ხაზინის ერთიან ანგარიშზე, შემოსულობების სახაზინო კოდზე, მშენებლობის ნებართვის გაცემამდე, მაგრამ არაუგვიანეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ დამტკიცებული ხელშემწყობი ღონისძიებების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებიდან 6 თვის ვადისა, ხოლო, ზემოაღნიშნული ვალდებულებების დადგენილ ვადაში შეუსრულებლობა გამოიწვევს წინამდებარე განკარგულებით გათვალისწინებული ხელშემწყობი ღონისძიებების გაუქმებას.

აზრი გამოთქვეს:
კომისიის თავმჯდომარემ ისაუბრა პროექტის სამართლებრივი საფუძვლების, პირველი, მე-2 და მე-5 პუნქტების მიმართ არსებული რეკომენდაციების თაობაზე, რომლებიც გაზიარებულ იქნა საკითხის წარმომდგენის მიერ.

გადაწყვიტეს:

განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, პოზიცია - „წინააღმდეგია" დააფიქსირა ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" წევრმა ლილე ლიპარტელიანმა.

განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავეს:

- უფრაქციო დეპუტატმა გიორგი ონიანმა;
- უფრაქციო დეპუტატმა თორნიკე ბიკაშვილმა;
- უფრაქციო დეპუტატმა დავით ფარცვანიამ.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

40. ნინო ბაგაშვილმა, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით - მე-40 საკითხად განსაზღვრული განკარგულების პროექტი, რაც ითვალისწინებს, კულტურული

მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, ქალაქ თბილისში, მიცკევიჩის ქუჩა N66/N68-ში მდებარე (ჯამში 865 კვ.მ.) 2 (ორი) მიწის ნაკვეთთან მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებას, აქვე დაამატა, რომ სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოში წარდგენილი განცხადებით, შესაბამისმა დაინტერესებულმა პირმა ზემომითითებულ მიწის ნაკვეთებზე მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) გადამეტების სანაცვლოდ (კ-2=3.7), გამოხატა მზაობა მაკომპენსირებელი ღონისძიების სახით, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებულ ავარიულ შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, შესაბამისი ფასის გადახდაზე,

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 20 ოქტომბრის გადაწყვეტილებით, საპროექტო ტერიტორიაზე დადგენილია მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლისთვის, სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტიზის დასკვნა N009193523, რომლის მიხედვითაც, საპროექტო მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულება 2023 წლის 26 დეკემბრის მდგომარეობით საორიენტაციოდ შეადგენს 2 108 518 ლარს, ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის ინფორმაციით, ქალაქ თბილისში, ნუცუბიძის ფერდობი, მე-2, მე-3, მე-4 მ/რ-ის მიმდებარედ, ინტენსიფიკაციის ზემოთ მდებარე მიწის ნაკვეთის კ-2 კოეფიციენტის 1.5-დან 2.5-მდე გადამეტების შესაბამისი ფასი შეადგენს 1,012,088.64 (ერთი მილიონ თორმეტი ათას ოთხმოცდარვა და სამოცდაოთხი მეასედი) ლარს, ხოლო, დაინტერესებული პირის მიერ, ხელშემწყობი ღონისძიების სახით მოთხოვნილია მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) ზღვრული მაჩვენებლის გადამეტება კ-2=2.5-დან კ-2=3.7-მდე, რაც ითვალისწინებს საპროექტო ტერიტორიაზე 8 სართულიანი შენობა - ნაგებობის განთავსებას, ასევე, მოთხოვნილია დამატებულ მოცულობაზე, სიმაღლის ნაწილში პროექტის შეთანხმებისას არ იქნას გათვალისწინებული კანონით განსაზღვრული რეგულაციები.

ნინო ბაგაშვილის განმარტებით, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაცია/ჩანაცვლება არის მუნიციპალიტეტისათვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო ანგარიშზე შესაბამისი ფასის ჩარიცხვის სანაცვლოდ, ზემოაღნიშნულ მიწის ნაკვეთზე მოხდეს შემდეგი ხელშემწყობი ღონისძიებების განსაზღვრა, შესაბამისი ფასის ოდენობა განისაზღვროს სათანადო პრინციპით და საანგარიშო ფორმულით, ხოლო, საკითხი შესათანხმებლად წარედგინოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს:

ხდება მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის კ-2=2.5-დან კ-2=3.7;

არქიტექტურული პროექტის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვის გაცემა მოხდეს გადამეტებულ ფართზე სიმაღლის განმსაზღვრელი რეგულაციების გათვალისწინების გარეშე.

დაინტერესებულმა პირმა ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენებისათვის მაკომპენსირებელი ღონისძიების სახით, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებულ ავარიულ შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით

შესაბამისი ფასის - 1,012,088.64 (ერთი მილიონ თორმეტი ათას ოთხმოცდარვა და სამოცდაოთხი მეასედი) ლარის გადარიცხვა განახორციელოს ხაზინის ერთიან ანგარიშზე, შემოსულობების სახაზინო კოდზე, მშენებლობის ნებართვის გაცემამდე, მაგრამ არაუგვიანეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ დამტკიცებული ხელშემწყობი ღონისძიებების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებიდან 6 თვის ვადისა, ხოლო, განკარგულების პროექტის მიხედვით ზემოაღნიშნული ვალდებულებების დადგენილ ვადაში შეუსრულებლობა გამოიწვევს წინამდებარე განკარგულებით გათვალისწინებული ხელშემწყობი ღონისძიებების გაუქმებას.

აზრი გამოთქვეს:

კომისიის თავმჯდომარემ ისაუბრა პროექტის სამართლებრივი საფუძვლების, პირველი, მე-2 და მე-5 პუნქტების მიმართ არსებული რეკომენდაციების თაობაზე, რომლებიც გაზიარებულ იქნა საკითხის წარმომდგენის მიერ.

გადაწყვიტეს:

განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, პოზიცია წინააღმდეგია დააფიქსირა ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" წევრმა ლილე ლიპარტელიანმა.

განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავეს:

- უფრაქციო დეპუტატმა გიორგი ონიანმა;
- უფრაქციო დეპუტატმა თორნიკე ბიკაშვილმა;
- უფრაქციო დეპუტატმა დავით ფარცვანიამ.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

41. ნინო ბაგაშვილმა, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით - 41-ე საკითხად განსაზღვრული განკარგულების პროექტი, რაც კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაცია/ჩანაცვლების ხელშეწყობის მიზნით, ითვალისწინებს, ქალაქ თბილისში, ფალიაშვილის ქუჩა N48-ში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობის ჩანაცვლების მიზნით შპს „ნიუ გრუპ ვაკე"-ს მიმართ ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებას, აქვე დასძინა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას განცხადებით მიმართა შპს „ნიუ გრუპ ვაკე"-მ და ითხოვა აღნიშნულ მისამართზე არსებული ავარიული შენობა-ნაგებობის ჩანაცვლების მიზნით ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენება, ხოლო, მითითებული საკითხის/წარდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის დროს გამოიკვეთა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

✓ მისამართზე - ქალაქ თბილისში, ფალიაშვილის ქუჩა N48-ში არსებული შენობის დაზიანებები ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, IV ხარისხისაა, ექსპლუატაციისთვის უვარგისია და ექვემდებარება დემონტაჟს;

✓ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების შესაბამისად, შპს „ნიუ გრუპ ვაკე"-ს მიერ ფართის სახით გასაცემი ვალდებულებაა - 1353.07 კვ.მ.

✓ დაინტერესებული პირი ითხოვს შემდეგი ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენებას: მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) გადამეტებას 2.5-დან 4.9-მდე; მიწის ნაკვეთის გამწვანების კოეფიციენტის (კ-3) მინიმალური პარამეტრების დაცვის ვალდებულების გაუქმებას; შენობა-ნაგებობის გათავისუფლებას განთავსებისა და სიმაღლის განსაზღვრის რეგულაციის დაცვისაგან; ავტოსადგომების სავალდებულო რაოდენობის მოთხოვნისაგან გათავისუფლებას;

✓ N01.14.11.017.004 საკადასტრო ერთეულის ნაწილზე დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის შესაბამისად, ვრცელდება საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6), ხოლო ნაწილზე - სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2).

როგორც მომხსენებელმა განმარტა, განაშენიანების რეგულირების წესების მიხედვით, თუ მიწის ნაკვეთი ხვდება ერთზე მეტი კონკრეტული ფუნქციური ზონის მოქმედების არეალში, მაშინ მისი სამშენებლოდ განვითარების განსაზღვრისას არც ერთი ზონის მოთხოვნა არ უნდა დაირღვეს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ერთ-ერთი ზონის ფართობი შეადგენს არანაკლებ მიწის ნაკვეთის ¾-ს, ასეთ შემთხვევაში მოქმედებს ამ ზონისთვის განსაზღვრული მოთხოვნები, რზ-1-ის რეგლამენტების მოთხოვნათა დაცვით. აღნიშნული რეგულირება არ ვრცელდება განაშენიანების რეგულირების გეგმის ფარგლებში სამშენებლოდ განვითარებისას, ვინაიდან, N01.14.11.017.004 საკადასტრო ერთეულზე გავრცელებული ზონირებიდან არცერთი არ არის მიწის ნაკვეთის საერთო ფართობის ¾-ზე მეტი, **მისი სამშენებლოდ განვითარების განსაზღვრისას არც ერთი ზონის მოთხოვნა არ უნდა დაირღვეს,**
შესაბამისად, აღნიშნული საკადასტრო ერთეულის ის ნაწილი, რომელზეც ვრცელდება საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6) ვერ აკმაყოფილებს კანონმდებლობით დადგენილ მინიმალურ პარამეტრებს (ფართობი, სიღრმე).

მომხსენებელმა განაგრძო თხრობა და აღნიშნა, რომ განაშენიანების რეგულირების წესების შესაბამისად, მიწის ნაკვეთზე მრავალბინიანი საცხოვრებელი, სასტუმროს ან საცხოვრებელი ფუნქციის შემცველი მრავალფუნქციური შენობის განთავსების მიზნით ინდივიდუალური პარამეტრების დადგენა შესაძლებელია, თუ იგი შეესაბამება ამ მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნებს და ამასთანავე ფართობისა და ზომების მიხედვით ნაკვეთი აკმაყოფილებს განაშენიანების რეგულირების წესებით შესაბამისი ზონისათვის დადგენილი მიწის ნაკვეთის პარამეტრების 3/4-ს მაინც, ხოლო, **მოთხოვნილი ფუნქცია (მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი) საცხოვრებელ ზონა 6-ში (სზ-6) წარმოადგენს ძირითად დასაშვებ სახეობას,** თუმცა მიწის ნაკვეთი იმ ნაწილში, რომელზეც ვრცელდება საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6), სიღრმის ნაწილში ვერ აკმაყოფილებს განაშენიანების რეგულირების წესებით დადგენილი მინიმალური პარამეტრის ¾-ს. **შესაბამისად, წარმოდგენილი მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ განვითარება საჭიროებს დამატებით ხელშემწყობი ღონისძიების გამოყენებას რაც გულისხმობს ნაკვეთისთვის ინდივიდუალური პარამეტრების მინიჭებას.**

მომხსენებლის მითითებით, ყოვლივე მითითებულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ იმსჯელა და მიზანშეწონილად მიიჩნია, ქალაქ თბილისის

მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა შპს „ნიუ გრუპ ვაკე“-ს მიმართ მისამართზე - ქალაქი თბილისი, ფალიაშვილის ქუჩა N48-ში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობის ჩანაცვლების მიზნით შემდეგი ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხი:

ა) ხდება მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) გადამეტება 2.5-დან 4.9-მდე;
ბ) გაუქმდეს მიწის ნაკვეთის გამწვანების კოეფიციენტის (კ-3) მინიმალური პარამეტრის დაცვის ვალდებულება;
გ) არქიტექტურული პროექტის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვის გაცემა მოხდეს სატრანსპორტო ზეგავლენის შეფასების წარმოდგენის გარეშე;
გ) არქიტექტურული პროექტის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვის გაცემა მოხდეს შენობა - ნაგებობის განთავსებისა და სიმაღლის განმსაზღვრელი რეგულაციების გათვალისწინების გარეშე;
დ) არქიტექტურული პროექტის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვის გაცემა მოხდეს ავტოსადგომების რაოდენობასთან არსებული მოთხოვნების გათვალისწინების გარეშე;
ე) მიწის ნაკვეთს მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის განთავსებისთვის დაუდგინდეს ინდივიდუალური პარამეტრები;

აზრი გამოთქვეს:
კომისიის თავმჯდომარემ ისაუბრა პროექტის სამართლებრივი საფუძვლებისა და მე-3 პუნქტის მიმართ არსებული რეკომენდაციების თაობაზე, რომლებიც გაზიარებულ იქნა საკითხის წარმომდგენის მიერ.

გადაწყვიტეს:

განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, პოზიცია - „წინააღმდეგია“ დააფიქსირა ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წევრმა ლილე ლიპარტელიანმა.

განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავეს:

- უფრაქციო დეპუტატმა გიორგი ონიანმა;
- უფრაქციო დეპუტატმა თორნიკე ბიკაშვილმა;
- უფრაქციო დეპუტატმა დავით ფარცვანიამ.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:
42. ლევან ჟორჟოლიანმა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით - 42-ე საკითხად განსაზღვრული განკარგულების პროექტი, რაც ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისათვის დადგენილი საჭირო დროებითი ღონისძიებების საფუძველზე, ითვალისწინებს, შპს „ქოზი ჰოუმ თბილისის“ მიმართ, ქ. თბილისში, არჩილ მეფის ქუჩა N25ბ არსებულ მიწის ნაკვეთთან მიმართებით დამატებითი/დაზუსტებითი ხელშემწყობი ღონისძიების გამოყენების

საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებას, აქვე დასძინა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაუმთავრებელ მშენებლობებთან დაკავშირებული საკითხების განმხილველ კომისიას (**შემდგომში - დაუმთავრებელ მშენებლობების კომისია**) განცხადებით მიმართა შპს „ქოზი ჰოუმ თბილისმა“ და ითხოვა ქ. თბილისში, არჩილ მეფის ქუჩა N25ბ არსებულ მიწის ნაკვეთთან მიმართებით გაცემული ხელშემწყობი ღონისძიებების ფარგლებში დამატებითი/დაზუსტებითი მხარდამჭერი ღონისძიებების გამოყენება, ხოლო, **დაუმთავრებელი მშენებლობების კომისიის მიერ, 2024 წლის 5 თებერვლის სხდომაზე საკითხის განხილვის დროს გამოიკვეთა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:**

✓ დაუმთავრებელ მშენებლობების კომისიამ (ოქმი N11, 08.08.2022) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას წარუდგინა დადებითი რეკომენდაცია მისამართზე - ქ. თბილისი, არჩილ მეფის ქუჩა N25ბ არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულებისათვის შპს „ქოზი ჰოუმ თბილისის“ მიერ წარმოდგენილი განცხადების და დოკუმენტაციის ფარგლებში ხელშემწყობ ღონისძიებებთან დაკავშირებით, აღნიშნული ხელშემწყობი ღონისძიებები დაამტკიცა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ და შეითანხმა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ სათანადო განკარგულებებით;

✓ დაუმთავრებელ მშენებლობების კომისიის ოქმით (ოქმი N11, 08.08.2022) დადასტურებული იქნა შპს „ქოზი ჰოუმ თბილისის“ მიერ თანხის სახით გასაცემი შემდეგი ვალდებულება:

ა) „გამოსყიდვის უფლებით უძრავი ნივთის ნასყიდობის ხელშეკრულებების“ საფუძველზე ჯამურად 777 590 აშშ დოლარის და 76 055 ლარის ოდენობით;

ბ) მშენებელის შპს „ბილდსმორის“მიმართ თანხის სახით გასაცემი ვალდებულება 281 188 ლარის ოდენობით.

✓ საკრებულოს განკარგულებით (განკარგულება N461, 09.09.2022) შპს „ქოზი ჰოუმ თბილისმა“ თანხის სახით გასაცემი ვალდებულებების შესრულება უნდა უზრუნველყოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის გადაწყვეტილების მიღებისა და ამ გადაწყვეტილების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებიდან არაუგვიანეს 18 თვისა (რაც გულისხმობს, რომ ამ ვალდებულების შესრულების ბოლო ვადა არის 2024 წლის 8 მარტი);

✓ დაინტერესებული პირის განცხადებით, ზემოაღნიშნულ მიწის ნაკვეთზე შეთანხმდა ახალი პროექტი და გაიცა პირობადადებული მშენებლობის ნებართვა, ამის შემდგომ, შპს „ქოზი ჰოუმ თბილისის“ მიერ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში წარდგენილი იქნა განშლის ოქმი, რომელზეც სარეგისტრაციო წარმოება დღემდე არ არის დასრულებული. ვინაიდან, ოქმი არის მრავალპირიანი და სარეგისტრაციოდ რთული, რადგანაც ხდება არსებულ შეთანხმებულ პროექტებში კორექტირება, რომლებიც უკვე რეგისტრირებულია საჯარო რეესტრში. შესაბამისად, აღნიშნულ პირების უძრავ ქონებებზე ახალი საკადასტრო კოდების მინიჭებამდე, კომპანია ვერ ახორციელებს თანხის გადახდას.

✓ **შპს „ქოზი ჰოუმ თბილისი“ ითხოვს, თანხის სახით გასაცემი ვალდებულებების შესრულების ვადის გაზრდას 2024 წლის 30 ივნისამდე.**

როგორც მომხსენებელმა განმარტა, ვინაიდან, შპს „ქოზი ჰოუმ თბილისის“ მიერ მოთხოვნილი დამატებითი/დაზუსტებითი მხარდამჭერი ღონისძიება არ იწვევს საერთო სამშენებლო ფართისა და მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) გადამეტებას, ამასთან, ვინაიდან შპს „ქოზი ჰოუმ თბილისის“ (ს/ნ: 406228283) მიერ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში წარდგენილია ე.წ. განშლის ოქმი და ამ ეტაპზე

მიმდინარეობს სარეგისტრაციო წარმოება, დაუმთავრებელი მშენებლობების კომისიამ მიზანშეწონილად მიიჩნია, მისამართზე - ქ. თბილისი, არჩილ მეფის ქუჩა N25ᵇ არსებულ მიწის ნაკვეთთან მიმართებით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ დამტკიცებული და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებული მხარდამჭერი ღონისძიებების გამოყენების ფარგლებში, განისაზღვროს დამატებითი/დაზუსტებითი ხელშემწყობი ღონისძიებები, ხოლო, წარმოდგენილი პროექტის თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შესათანხმებლად წარედგინება შპს „ქოზი ჰოუმ თბილისის" მიმართ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ დამტკიცებული და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ შეთანხმებული ხელშემწყობი ღონისძიებების ფარგლებში, მისამართზე - ქ. თბილისი, არჩილ მეფის ქუჩა N25ბ, არსებულ მიწის ნაკვეთთან მიმართებით შემდეგი დამატებითი/დაზუსტებითი ხელშემწყობი ღონისძიება - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 9 სექტემბრის N461 განკარგულების პირველი პუნქტის „ი" ქვეპუნქტით გათვალისწინებული თანხის სახით გასაცემი ვალდებულებების შესრულება შპს „ქოზი ჰოუმ თბილისმა" უზრუნველყოს 2024 წლის 30 ივნისამდე.

აზრი გამოთქვეს:

კომისიის თავმჯდომარემ ისაუბრა პროექტის მე-2 პუნქტის ტექნიკურად გამართვის მიზანშეწონილობის საკითხზე, რაც გაზიარებულ იქნა საკითხის წარმომდგენის მიერ.

გადაწყვიტეს:

განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, პოზიცია - „წინააღმდეგია" დააფიქსირა ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" წევრმა ლილე ლიპარტელიანმა.

განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავეს:

- უფრაქციო დეპუტატმა გიორგი ონიანმა;
- უფრაქციო დეპუტატმა თორნიკე ბიკაშვილმა;

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

43. ლევან ჟორჟოლიანმა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით - 43-ე საკითხად განსაზღვრული განკარგულების პროექტი, რაც ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დადგენილი, დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისათვის საჭირო დროებითი ღონისძიებების საფუძველზე, ითვალისწინებს, შპს ,,ცენტრ პოინტ ჯგუფის" და მასთან აფილირებული კომპანიების დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისათვის ფინანსური მხარდამჭერი ღონისძიებების ფარგლებში შპს ,,ისანი თაუერსის" მიმართ მისამართზე - ქ. თბილისი, ქეთევან წამებულის გამზ. N69 არსებულ მიწის ნაკვეთთან მიმართებით დამატებითი/დაზუსტებითი ხელშემწყობი

ღონისძიებების გამოყენების საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებას.

მომხსენებელის მითითებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაუმთავრებელ მშენებლობებთან დაკავშირებული საკითხების განმხილველ კომისიას (შემდგომში - **დაუმთავრებელი მშენებლობების კომისია**) განცხადებით მიმართა შპს ,,ისანი თაუერსმა" და ითხოვა მისამართზე - ქ. თბილისი, ქეთევან წამებულის გამზ. N69 არსებულ მიწის ნაკვეთთან მიმართებით გაცემული ხელშემწყობი ღონისძიებების ფარგლებში დამატებითი/დაზუსტებითი მხარდამჭერი ღონისძიებების გამოყენება, ხოლო, **დაუმთავრებელი მშენებლობების კომისიის მიერ სხდომაზე საკითხის განხილვის დროს,** გამოიკვეთა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

✓ შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის" და მასთან აფილირებული კომპანიების დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისათვის ფინანსური მხარდამჭერი ღონისძიებების განხორციელების ფარგლებში, დაუმთავრებელ მშენებლობებთან დაკავშირებული საკითხების განმხილველი კომისიამ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას წარუდგინა დადებითი რეკომენდაცია მისამართებზე: - 1. ქ. თბილისი, აკ. წერეთლის გამზირი. 45 და 2. ქ. თბილისი, ქეთევან წამებულის გამზ. 69 არსებულ მიწის ნაკვეთებთან მიმართებაში მხარდამჭერ ღონისძიებებთან დაკავშირებით, შპს ,,ცენტრ პოინტ ჯგუფის" და შპს ,,ალმას" მიერ წარმოდგენილი განცხადების და დოკუმენტაციის ფარგლებში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის ეს გადაწყვეტილება შეთანხმდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან;

✓ **შპს ,,ალმამ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულებით გათვალისწინებული, საკომპენსაციო თანხის გადახდა (1. მისამართზე: აკ. წერეთლის 45-ის შემთხვევაში - 3 995 365 აშშ დოლარი ეკვივალენტი ლარში; 2. ქ. წამებულის გამზ. 69-ის შემთხვევაში - 1 884 277 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარში) განახორციელა დადგენილ ვადებში;**

✓ შპს „ისანი თაუერსმა" და შპს ,,წერეთელი თაუერსმა", 2022 წლის 1 ივლისს განცხადებით მიმართეს დაუმთავრებელ მშენებლობების კომისიას და ითხოვეს მისამართებზე - ქ. თბილისი, აკ. წერეთლის 45 და ქ. თბილისი, ქეთევან წამებულის გამზ. N69 დამატებითი/დაზუსტებული მხარდამჭერი ღონისძიებების გამოყენება. კერძოდ, **მისამართზე - ქ. თბილისი, აკ. წერეთლის 45 არსებული მიწის ნაკვეთის კოეფიციენტის ნაწილის გადანაწილება მისამართზე - ქ. თბილისი, ქეთევან წამებულის გამზ. N69 არსებულ მიწის ნაკვეთზე, რაც გულისხმობს, ორ მიწის ნაკვეთს შორის მხოლოდ კოეფიციენტის გადანაწილებას;**

✓ დამთავრებელი მშენებლობების კომისიამ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას წარუდგინა დადებითი რეკომენდაცია მისამართებზე - 1. ქ. თბილისი, აკ. წერეთლის 45 და 2. ქ. თბილისი, ქეთევან წამებულის გამზ. N69 დამატებითი/დაზუსტებული მხარდამჭერი ღონისძიებების გამოყენებასთან დაკავშირებით, ხოლო, დაუმთავრებელ მშენებლობებთან დაკავშირებული საკითხების განმხილველ კომისიის ეს რეკომენდაცია დაამტკიცა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ და შეითანხმა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ;

✓ შპს „ისანი თაუერსმა" 2023 წლის 26 ივნისის განცხადებით მიმართა დაუმთავრებელ მშენებლობებთან დაკავშირებული საკითხების განმხილველ კომისიას და ითხოვა მისამართზე - ქ. თბილისი, ქეთევან წამებულის გამზ. N69 არსებულ მიწის ნაკვეთზექალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ შეთანხმებული მიწის

ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი (კ-2) – 14.28 გადანაწილება „გასაშუალოებული“ კოეფიციენტის სახით, მომიჯნავე მიწის ნაკვეთებზე: და თითოეული მიწის ნაკვეთის კ-2 კოეფიციენტის განსაზღვრა - 5.772-ით;

✓ დაუმთავრებელ მშენებლობებთან დაკავშირებული საკითხების განმხილველმა კომისიამ (ოქმი N9, 27.06.2023) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას წარუდგინა დადებითი რეკომენდაცია მისამართზე - ქ. თბილისი, ქეთევან წამებულის გამზ. N69 - არსებულ მიწის ნაკვეთთან მიმართებით დამატებითი/დაზუსტებული ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენებასთან დაკავშირებით, დაუმთავრებელი მშენებლობების კომისიის ეს რეკომენდაცია დაამტკიცა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ და შეითანხმა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ.

მომხსენებლის მითითებით, როგორც შპს „ისანი თაუერსი“ განმარტავს, მათ მიერ დაშვებული იქნა ტექნიკური ხარვეზი გასაშუალოებული კ-2 კოეფიციენტის გამოთვლისას, კერძოდ მათ მიერ წარმოდგენილ განცხადებაში არ იქნა გათვალისწინებული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილებით დამტკიცებული წესების მე-12 მუხლის მე-4 პუნქტის დანაწესი, რის შესაბამისადაც, ზოგად დათქმას წარმოადგენს, რომ კ-2 მაჩვენებელი მრგვალდება მეათედის სიზუსტით, რა შემთხვევაშიც 01.17.13.038.024 საკადასტრო ერთეულისათვის მინიჭებული კ-2 კოეფიციენტი შეადგენს 14.2844, ხოლო 01.17.13.038.042, 01.17.13.038.041, 01.17.13.038.040, 01.17.13.038.049, 01.17.13.038.047, 01.17.13.038.048 და 01.17.13.038.057 საკადასტრო ერთეულებისათვის მინიჭებული კ-2 კოეფიციენტი 4.644-ს. ამგვარი დაანგარიშების შედეგად მიღებული გასაშუალოებული კოეფიციენტი შეადგენს 5.812-ს.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ შპს „ისანი თაუერსი“ ითხოვს, მისამართზე - ქ. თბილისი, ქეთევან წამებულის გამზ. N69 არსებულ მიწის ნაკვეთზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ შეთანხმებული მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი (კ-2) დაანგარიშდეს მეათედი დამრგვალების სიზუსტით და ნაცვლად 14.28-ისა განისაზღვროს 14.2844-ით და გადანაწილდეს „გასაშუალოებული“ კოეფიციენტის სახით შესაბამის მიწის ნაკვეთებზე და განისაზღვროს თითოეული მიწის ნაკვეთის კ-2 - 5.812-ით.

როგორც მომხსენებლმა დაამატა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის ინფორმაციით, ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურმა 2024 წლის 14 თებერვლის წერილით მიმართა სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს, შპს „ისანი თაუერსი"-ს მიერ 2023 წლის 4 დეკემბრის წერილით მოთხოვნილი განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) დათვლის წესის მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობის დადასტურების თხოვნით, ამასთან, სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 14 თებერვლის წერილის თანახმად, შესაბამისი საკადასტრო ერთეულებისათვის საწყისი კ-2 კოეფიციენტი 4.6-ის ნაცვლად შესაძლოა განისაზღვროს 4.644-ით, ამასთან, სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის წერილის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის წერილის თანახმად, საკადასტრო ერთეულებისთვის: 01.17.13.038.042, 01.17.13.038.041,

01.17.13.038.040, 01.17.13.038.049, 01.17.13.038.047, 01.17.13.038.048 და 01.17.13.038.057 საკადასტრო ერთეულებზე 4,145,804.34 (ოთხი მილიონ ასორმოცდახუთი ათას რვაას ოთხი და ოცდათოთხმეტი მეასედი) აშშ დოლარის ფარგლებში კ2=4.644-დან მომატებული და გასაშუალოებული განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) 5.812 ოდენობის მიღება შესაძლებელია.

როგორც მომხსენებელმა განმარტა, იმის გათვალისწინებით, რომ შპს „ისანი თაუერსს" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულებით განსაზღვრული ვალდებულებები თანხის გადახდის ნაწილში შესრულებული აქვს, დაუმთავრებელ მშენებლობებთან დაკავშირებული საკითხების განმხილველმა კომისიამ მიზანშეწონილად მიიჩნია, მისამართზე - ქ. თბილისი, ქეთევან წამებულის გამზ. N69 ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ შეთანხმებული მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი (კ-2) „გასაშუალოებული" კოეფიციენტის სახით მომიჯნავე მიწის ნაკვეთების გაერთიანების შედეგად წარმოქმნილ მიწის ნაკვეთზე გადანაწილდეს მეათედი დამრგვალების სიზუსტით დაანგარიშების პრინციპიდან გამომდინარე და დაინტერესებული პირის მოთხოვნის შესაბამისად, განისაზღვროს მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი (კ-2) - 5.812 -ით, ამასთან, შპს „ისანი თაუერსს" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობის შემთხვევაში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულებებით განსაზღვრული მხარდამჭერი ღონისძიებების და დამატებითი/დაზუსტებითი მხარდამჭერი ღონისძიებების ფარგლებში, შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის" და შპს „ისანი თაუერსის" მიერ წარმოდგენილი განაცხადისა და დოკუმენტაციის ფარგლებში, ქ. თბილისში, ქეთევან წამებულის გამზ. N69 - არსებულ მიწის ნაკვეთთან მიმართებაში, განესაზღვროს შემდეგი ხელშემწყობი ღონისძიებები:

- ✓ მოხდეს მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) 14.28 გადანაწილება „გასაშუალოებული" კოეფიციენტის სახით, შესაბამისი საკადასტრო ერთეულების გაერთიანების შედეგად წარმოქმნილ მიწის ნაკვეთზე მეათედი დამრგვალების სიზუსტით დაანგარიშების პრინციპიდან გამომდინარე და განისაზღვროს მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი (კ-2) - 5.812-ით;
- ✓ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულებებით განსაზღვრული მხარდამჭერი ღონისძიებები და დამატებითი/დაზუსტებითი მხარდამჭერი ღონისძიებები დარჩეს უცვლელი. ამასთან, აღნიშნული მხარდამჭერი ღონისძიებები გავრცელდეს მომიჯნავე მიწის ნაკვეთების გაერთიანების შედეგად წარმოქმნილ მიწის ნაკვეთზე მხოლოდ მიწის ნაკვეთიდან - ს/კ 01.17.13.038.024 გადანაწილებული/გადატანილი სამშენებლო მოცულობის ფარგლებში.

აზრი გამოთქვეს:

კომისიის თავმჯდომარემ ისაუბრა პროექტის მე-2 პუნქტის ტექნიკურად გამართვის მიზანშეწონილობის საკითხზე რაც გაზიარებულ იქნა საკითხის წარმომდგენის მიერ.

გადაწყვიტეს:

განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, პოზიცია - „წინააღმდეგია" დააფიქსირა ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" წევრმა ლილე ლიპარტელიანმა.

განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავეს:

- უფრაქციო დეპუტატმა გიორგი ონიანმა;
- უფრაქციო დეპუტატმა თორნიკე ბიკაშვილმა;
- უფრაქციო დეპუტატმა დავით ფარცვანიამ.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

44. ლევან ჟორჟოლიანმა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით - 44-ე საკითხად განსაზღვრული განკარგულების პროექტი, რაც ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დადგენილი დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისათვის საჭირო დროებითი ღონისძიებების საფუძველზე, ითვალისწინებს, „შპს ,,არქი ვარკეთილის" მიმართ მისამართზე - ქ. თბილისი, დასახლება ვარკეთილი, მასივი III არსებულ მიწის ნაკვეთთან მიმართებით დამატებითი/დაზუსტებითი ხელშემწყობი ღონისძიების გამოყენების საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებას, აქვე, დაამატა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაუმთავრებელ მშენებლობებთან დაკავშირებული საკითხების განმხილველ კომისიას (შემდგომში - დაუმთავრებელ მშენებლობების კომისია) 2023 წლის 20 დეკემბერს განცხადებით მიმართა შპს ,,არქი ვარკეთილმა" და ითხოვა მისამართზე - ქ. თბილისი, დასახლება ვარკეთილი, მასივი III, არსებულ მიწის ნაკვეთთან მიმართებით გაცემული ხელშემწყობი ღონისძიებების ფარგლებში დამატებითი/დაზსტებითი მხარდამჭერი ღონისძიებების გამოყენება, ხოლო, **დაუმთავრებელი მშენებლობების განმხილველი კომისიის მიერ, საკითხის განხილვის დროს გამოიკვეთა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:**

✓ შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის" და მასთან აფილირებული კომპანიების დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისათვის ფინანსური მხარდამჭერი ღონისძიებების განხორციელების ფარგლებში, დაუმთავრებელ მშენებლობებთან დაკავშირებული საკითხების განმხილველი კომისიამ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას წარუდგინა დადებითი რეკომენდაცია მისამართზე - ქ. თბილისი, დასახლება ვარკეთილი, მასივი III არსებულ მიწის ნაკვეთთან მიმართებაში ხელშემწყობ ღონისძიებებთან დაკავშირებით, შპს ,,ცენტრ პოინტ ჯგუფის" და შპს ,,არქი ვარკეთილის" მიერ წარმოდგენილი განაცხადის და დოკუმენტაციის ფარგლებში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის ეს გადაწყვეტილება შეთანხმდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან;

✓ აღნიშნული განკარგულების შესაბამისად, ხელშემწყობი ღონისძიების სახით განისაზღვრა მისამართზე - ქ. თბილისი, დასახლება ვარკეთილი, მასივი III არსებულ მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) გადამეტება 4.4 -დან 4.6 -მდე. ამასთან, შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის" და მასთან აფილირებული კომპანიების დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისათვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით შპს ,,არქი ვარკეთილს" განესაზღვრა ვალდებულება თანხის 122,067.45 აშშ დოლარის გადახდა ხელშემწყობი ღონისძიებების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებიდან არაუგვიანეს 6 თვისა (რაც გულისხმობს, რომ ამ ვალდებულების შესრულების ბოლო ვადა არის 2024 წლის 22 მარტი);

✓ შპს ,,არქი ვარკეთილი" ითხოვს, ხელშემწყობი ღონისძიებების ფარგლებში, მისამართზე - ქ. თბილისი, დასახლება ვარკეთილი, მასივი III არსებული მიწის ნაკვეთზე მრავალბინიანი საცხოვრებელი მშენებლობის განვითარებისათვის არ განხორციელდეს სიმაღლის სხივის აგების ვალდებულება და სართულიანობის რაოდენობის შეზღუდვა, თავის მხრივ შპს ,,არქი ვარკეთილი" გამოთქვამს მზაობას, შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის" და მასთან აფილირებული კომპანიების დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისათვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ განსაზღვრული თანხის გადარიცხვასთან დაკავშირებით.

მომხსენებლის განმარტებით, იმის გათვალისწინებით, რომ: **შპს ,,არქი ვარკეთილის" მიერ მოთხოვნილი დამატებითი/დაზუსტებითი მხარდამჭერი ღონისძიება სიმაღლის განმსაზღვრელი მარეგულირებელ ნორმებზე გამონაკლისის ნაწილში არ იწვევს საერთო სამშენებლო ფართისა და მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) გადამეტებას, ამასთან,** ხელშემწყობი ღონისძიების სახით მისამართზე - ქ. თბილისი, დასახლება ვარკეთილი, მასივი III არსებულ მიწის ნაკვეთთან მიმართებით განსაზღვრულია - განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) გადამეტება 4.4-დან 4.6-მდე და არსებული რეგულაციების გათვალისწინებით დაინტერესებული პირის მიერ ვერ ხორციელდება გადამეტებული კოეფიციენტის ათვისება, **დამთავრებელი მშენებლობების კომისიამ მიზანშეწონილად მიიჩნია:**

✓ მისამართზე - ქ. თბილისი, დასახლება ვარკეთილი, მასივი III არსებულ მიწის ნაკვეთთან მიმართებით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ დამტკიცებული და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებული მხარდამჭერი ღონისძიებების გამოყენების ფარგლებში, განისაზღვროს დამატებითი/დაზუსტებითი ხელშემწყობი ღონისძიებები.

მომხსენებელმა შემაჯამებლად აღნიშნა, რომ პროექტის თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შესათანხმებლად წარმოდგენილია, შპს ,,არქი ვარკეთილის" მიმართ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ დამტკიცებული და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ შეთანხმებული ხელშემწყობი ღონისძიებების ფარგლებში, ქ. თბილისში, დასახლება ვარკეთილი, მასივი III-ში არსებულ მიწის ნაკვეთთან მიმართებით შემდეგი დამატებითი/დაზუსტებითი ხელშემწყობი ღონისძიება - **კორექტირებული არქიტექტურული პროექტის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვის გაცემა მოხდეს გადამეტებულ ფართზე სიმაღლის განმსაზღვრელი რეგულაციების გათვალისწინების გარეშე.**

აზრი გამოთქვეს:

კომისიის თავმჯდომარემ ისაუბრა პროექტის სამართლებრივი საფუძვლებისა და მე-2 პუნქტის ტექნიკურად გამართვის მიზანშეწონილობის საკითხზე რაც გაზიარებულ იქნა საკითხის წარმომდგენის მიერ.

გადაწყვიტეს:

განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, პოზიცია - „წინააღმდეგია" დააფიქსირა ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" წევრმა ლილე ლიპარტელიანმა.

განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავეს:

- უფრაქციო დეპუტატმა გიორგი ონიანმა;
- უფრაქციო დეპუტატმა თორნიკე ბიკაშვილმა;

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

45. ლევან ჟორჟოლიანმა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით - **45-ე საკითხად განსაზღვრული განკარგულების პროექტი,** რაც ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დადგენილი დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისათვის საჭირო დროებითი ღონისძიებების საფუძველზე, **ითვალისწინებს,** ქალაქ თბილისში, პეტრე ქავთარაძის ქ. N22-ში არსებულ მიწის ნაკვეთთან დაკავშირებით გაცემული ხელშემწყობი ღონისძიებების ფარგლებში შპს „ველლ ჰაუზ დეველოპმენტი"-ს მიერ შესრულებული ვალდებულების დადასტურების საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებას.

როგორც მომხსენებელმა განმარტა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაუმთავრებელ მშენებლობებთან დაკავშირებული საკითხების განმხილველ კომისიას (შემდგომში - დაუმთავრებელი მშენებლობების კომისიას) 2023 წლის 27 დეკემბერს განცხადებით მიმართა შპს „ველლ ჰაუზ დეველოპმენტმა" და ითხოვა მისამართზე ქ. თბილისი, პეტრე ქავთარაძის ქ. N22 არსებულ მიწის ნაკვეთთან დაკავშირებით გაცემული ხელშემწყობი ღონისძიებების ფარგლებში შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის" და მასთან აფილირებული კომპანიების დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისათვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით თანხის გადახდის ნაწილში შესრულებული ვალდებულების დადასტურება, ხოლო, **დაუმთავრებელი მშენებლობების კომისიის მიერ, საკითხის განხილვის დროს გამოიკვეთა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:**

✓ დაუმთავრებელ მშენებლობებთან დაკავშირებული საკითხების განმხილველმა კომისიამ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას წარუდგინა დადებითი რეკომენდაცია მისამართზე - ქ. თბილისი, პეტრე ქავთარაძის ქ. N22 არსებულ მიწის ნაკვეთთან მიმართებით ხელშემწყობ ღონისძიებებთან დაკავშირებით, შპს ,,ცენტრ პოინტ ჯგუფის" და შპს „ველლ ჰაუზ დეველოპმენტი"-ს მიერ წარმოდგენილი განაცხადის და დოკუმენტაციის ფარგლებში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის ეს გადაწყვეტილება შეთანხმდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან;

✓ აღნიშნული განკარგულების შესაბამისად შპს „ველლ ჰაუზ დეველოპმენტს" შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის" და მასთან აფილირებული კომპანიების დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისათვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით თანხის 1 135 462 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარში გადახდა უნდა განეხორციელებინა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ დამტკიცებული ხელშემწყობი ღონისძიებების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებიდან არაუგვიანეს 6 თვისა;

✓ შპს „ველლ ჰაუზ დეველოპმენტი"-ის მიერ თანხის ნაწილის 378,487.34 აშშ დოლარის (ექვივალენტი ლარში) გადახდა განახორციელდა 8 დღიანი დაგვიანებით, აღნიშნულის გათვალისწინებით, დაუმთავრებელ მშენებლობებთან დაკავშირებული საკითხების განმხილველმა კომისიამ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას

წარუდგინა დადებითი რეკომენდაცია მისამართზე - ქ. თბილისი, პეტრე ქავთარაძის ქ. N22 (არსებულ მიწის ნაკვეთთან მიმართებით გაცემული ხელშემწყობი ღონისძიებების ფარგლებში შპს „ველლ ჰაუზ დეველოპმენტი"-ს მიერ შესასრულებელი ვალდებულებების ჩათვლის და ხელშემწყობი ღონისძიებების ძალაში დატოვების თაობაზე. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის ეს გადაწყვეტილება შეთანხმდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან, მითითებული განკარგულების მიხედვით, ხელშემწყობი ღონისძიებების ძალაში დატოვების პირობას წარმოადგენდა შპს „ველლ ჰაუზ დეველოპმენტი"-ს მიერ ფინანსური მხარდაჭერის მიზნით გადასახდელი თანხის გადახდისათვის დადგენილი ვადის გადაცილების (8 კალენდარული დღით) გამო, 1710 ლარის გადახდა, ამასთან, შპს „ველლ ჰაუზ დეველოპმენტი"-ს თანხის გადახდა უნდა განეხორციელებინა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების გამოცემიდან არაუგვიანეს 1 თვისა;

✓ შპს „ველლ ჰაუზ დეველოპმენტი"-ს მიერ აღნიშნული თანხის 1710 ლარის გადახდა განხორციელდა 2023 წლის 28 სექტემბერს, დაახლოებით 14 თვიანი დაგვიანებით, ამასთან, თანხის დაგვიანებით გადახდის გამო შპს „ველლ ჰაუზ დეველოპმენტი"-ს მიერ 2023 წლის 27 დეკემბერს დამატებით გადახდილი იქნა ვადაგადაცილებისათვის დასაკისრებელი თანხა, 1 758 ლარის ოდენობით.

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, შპს „ველლ ჰაუზ დეველოპმენტი" ითხოვს, შესრულებულად ჩაითვალოს შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის" და მასთან აფილირებული კომპანიების დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისათვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით თანხის 1 135 462 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარში გადახდის ვალდებულება და მისამართზე - ქ. თბილისი, პეტრე ქავთარაძის ქ. N22 არსებულ მიწის ნაკვეთთან მიმართებით გაცემული ხელშემწყობი ღონისძიებები დარჩეს ძალაში.

მომხსენებელმა აგრეთვე დასძინა, რომ ვინაიდან, შპს „ველლ ჰაუზ დეველოპმენტს" (ამ ეტაპზე) ვალდებულება შესრულებული აქვს სრულად, ასევე, იმის გათვალისწინებით რომ შპს „ველლ ჰაუზ დეველოპმენტი"-ს მიერ ვადაგადაცილების გამო გადახდილი თანხა 1710 ლარი და ამ თანხის გადახდის ვადაგადაცილებისათვის დაკისრებული გადასახადი შესაბამისობაშია შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის" და მასთან აფილირებული კომპანიების დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისათვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით თანხის გადახდის ნაწილში დადგენილ ვალდებულებაზე ვადაგადაცილებული დღეების მიხედვით დაკისრებული გადასახადის განსაზღვრის შესაბამის პრინციპთან და საანგარიშო ფორმულასთან, **დაუმთავრებელ მშენებლობების კომისიამ ამ მიზანშეწონილად მიიჩნია:**

- ✓ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულებით (განკარგულება N549, N342; 19.11.2021; 16.07.2022) განსაზღვრული შპს „ველლ ჰაუზ დეველოპმენტი"-ს მიერ შესასრულებელი ვალდებულება - ფინანსური მხარდაჭერის მიზნით თანხის გადახდის ნაწილში - ჩაითვალოს შესრულებულად.**

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შემდეგი საკითხის შესათანხმებლად წარმოდგენა - ქ. თბილისი, პეტრე ქავთარაძის ქ. N22 არსებულ

მიწის ნაკვეთთან მიმართებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ დამტკიცებული და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ შეთანხმებული განკარგულებები ხელშემწყობი ღონისძიებების ფარგლებში, შპს „ველლ ჰაუზ დეველოპმენტი"-ს მიერ შესასრულებელი ვალდებულების ფინანსური მხარდაჭერის მიზნით, თანხის გადახდის ნაწილში შესრულებულად ჩათვლისა და ამავე განკარგულებებით გათვალისწინებული ხელშემწყობი ღონისძიებების ძალაში დატოვება.

აზრი გამოთქვეს:

კომისიის თავმჯდომარემ ისაუბრა პროექტის მე-2 პუნქტის ტექნიკურად გამართვის მიზანშეწონილობის საკითხზე რაც გაზიარებულ იქნა საკითხის წარმომდგენის მიერ.

გადაწყვიტეს:
განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, პოზიცია - „წინააღმდეგია" დააფიქსირა ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" წევრმა ლილე ლიპარტელიანმა.

განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავეს:

- უფრაქციო დეპუტატმა გიორგი ონიანმა;
- უფრაქციო დეპუტატმა თორნიკე ბიკაშვილმა;

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:
46. ირაკლი გვილავამ, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით - 46-ე საკითხად განსაზღვრული დადგენილების პროექტი, რაც ითვალისწინებს ცვლილების შეტანას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 9 თებერვლის N74-4 დადგენილების პირველი მუხლის „ბ" ქვეპუნქტით დამტკიცებულ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ქვეპროგრამის „სტუდენტთა დაფინანსების პროგრამა" (კოდი 07 05 03) ფარგლებში გამოყოფილი ასიგნებებიდან სოციალურად დაუცველი, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და მრავალშვილიანი ოჯახის წევრი სტუდენტების დაფინანსების წესში", რითაც, განხორციელდება შემდეგი სახის ღონისძიებები:

✓ - „70-ზე მეტი- 90 ქულის ჩათვლით" სემესტრული თანხის არაუმეტეს 100%-ით და „ტოლია ან ნაკლებია 70 ქულაზე" სემესტრული თანხის არაუმეტეს 70%-ით დაფინანსების ნაწილში დაემატება „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვის" კატეგორია, ვინაიდან, 18 წლის ასაკის მიღწევამდე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირს უდგინდება კატეგორია „შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბავშვი", აღნიშნული სტატუსის დამატება შესაძლებელს გახდის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე 18 წლამდე სტუდენტების დაფინანსებას;

✓ მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის „გ" ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ცნობას უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან, დაემატება სტუდენტის სემესტრული გადასახადის და სასწავლო გრანტის ოდენობის თაობაზე ინფორმაციის მითითების ვალდებულება;

✓ მე-4 მუხლში მე-6 პუნქტის დამატებით, დგინდება, რომ: „ამ მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული მრავალშვილიანი ოჯახის წევრის სტატუსის დამადასტურებელი ცნობა გაცემული უნდა იყოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში განცხადების წარდგენის კალენდარულ წელს“.

მომხსენებელმა დასძინა, რომ დადგენილების პროექტი, დამტკიცების შემთხვევაში ამოქმედდება გამოქვეყნებისთანავე და მისი მიღება არ გამოიწვევს დამატებითი თანხების გამოყოფას ბიუჯეტიდან, არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე, აგრეთვე, არ მოაახდენს ზეგავლენას გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე.

გადაწყვიტეს:

განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავეს:

- ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წევრმა ლილე ლიპარტელიანმა.
- უფრაქციო დეპუტატმა გიორგი ონიანმა;
- უფრაქციო დეპუტატმა თორნიკე ბიკაშვილმა;

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:
47. ირაკლი გვილავამ, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით - 47-ე საკითხად განსაზღვრული დადგენილების პროექტი, რაც ითვალისწინებს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 18 თებერვლის №53-33 დადგენილებაში ცვლილების შეტანას, შემდეგი სახით:

1. დადგენილების მოქმედი რედაქციით დამტკიცებულ წესში, მე-5 მუხლის შემდეგ ემატება 5^1 და 5^2 მუხლები, რომლებიც ითვალისწინებს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ საზღვრებში არსებული არქიტექტურულ-მხატვრული კომპოზიციის აღდგენა/რესტავრაცია/რეკონსტრუქციის განხორციელების წესის დადგენას, კერძოდ:

მომხსენებლის განამრტებით, თბილისის მერის გადაწყვეტილებით საგამონაკლისო წესით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში შეიძლება განხორციელდეს იმ არსებული არქიტექტურულ-მხატვრული კომპოზიციის აღდგენა/რესტავრაცია/რეკონსტრუქცია, რომლის ავტორი გარდაცვლილია, ვერ დგინდება ავტორი (მისი მემკვიდრე) ან/და აღნიშნული ობიექტი საფრთხეს უქმნის ადამიანთა სიცოცხლესა და ჯანმრთელობას, ამასთან, არ არსებობს ამ საფრთხის თავიდან აცილების სხვა შესაძლებლობა, ამასთან, ზემოაღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, საკითხის ინიცირების უფლება აქვს თბილისის მერს ან თბილისის მთავრობის წევრს ან ნებისმიერ დაინტერესებულ პირს. საკითხის ინიციირების შემდგომ, საკითხს განიხილავს, ამ მიზნისათვის, თბილისის მერის მიერ შექმნილი კომისია, რომლის შემადგენლობას და

დებულებას, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ამტკიცებს ქალაქ თბილისის მერი, ხოლო, კომისიის საქმიანობის ორგანიზაციულ უზრუნველყოფას ახორციელებს ქალაქ თბილისის მერიის ადმინისტრაცია, პროექტი ასევე ითვალისწინებს, საჭიროების შემთხვევაში, კომისიის წევრებად შესაბამისი დარგის სპეციალისტების (მოქანდაკეები, ხელოვნებათმცოდნეები, არქიტექტორები და სხვა) მოწვევას, ამასთან, პროექტის შესაბამისად, **თბილისის მერი განიხილავს კომისიის რეკომენდაციას და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად იღებს გადაწყვეტილებას** არქიტექტურულ-მხატვრული კომპოზიციის აღდგენა/რესტავრაცია/რეკონსტრუქციის შესახებ და გამოსცემს შესაბამის ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს;

მომხსენებელმა თხრობა განაგრძო და აღნიშნა, რომ **დადგენილების პროექტი ასევე ითვალისწინებს, დადგენილების მოქმედი რედაქციით დამტკიცებული წესის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის ახალი რედაქციით დამტკიცებას, რაც თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში არქიტექტურულ-მხატვრული კომპოზიციის ან/და მემორიალური დაფის განთავსების საკითხისა, ასევე დაარეგულირებს** ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში არქიტექტურულ-მხატვრული კომპოზიციის ან/და მემორიალური დაფის აღდგენა/რესტავრაცია/რეკონსტრუქციის საკითხთან დაკავშირებით შესაბამისი საქონლის, მომსახურებისა ან სამშენებლო სამუშაოს შესყიდვის ღონისძიებებს, შემდეგი სახით:

„1. თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში არქიტექტურულ-მხატვრული კომპოზიციის ან/და მემორიალური დაფის განთავსების/აღდგენა/რესტავრაცია/რეკონსტრუქციის საკითხის მიზანშეწონილად ცნობისა და თბილისის მერის შესაბამისი ბრძანების საფუძველზე, თბილისის მერი, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, იღებს გადაწყვეტილებას შესაბამისი არქიტექტურულ-მხატვრული კომპოზიციის ან/და მემორიალური დაფის განთავსებისთვის საჭირო საქონლის, მომსახურებისა ან სამშენებლო სამუშაოს ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ'' საქართველოს კანონით გათვალისწინებული წესით შესყიდვის შესახებ".

მოხსენების მიწურულს, ირაკლი გვილავამ აღნიშნა, რომ დადგენილება დამტკიცების შემთხვევაში ამოქმედდება გამოქვეყნებისთანავე, პროექტის მიღება არ გამოიწვევს ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას, ამასთან, პროექტის ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე, აგრეთვე, არ მოახდენს ზეგავლენას გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე.

აზრი გამოთქვეს:
კომისიის თავმჯდომარემ ისაუბრა პროექტის მიმართ არსებული რიგი რეკომენდაციების თაობაზე, რომლებიც, მათ, შორის უკავშირდება დადგენილების მოქმედი რედაქციის შესაბამის ნაწილებში ცვლილებების განხორციელებას, აღნიშნული რეკომენდაციები გაზიარებულ იქნა საკითხის წარმომდგენის მიერ.

გადაწყვიტეს:

განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავეს:

- ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" წევრმა ლილე ლიპარტელიანმა.
- უფრაქციო დეპუტატმა გიორგი ონიანმა;
- უფრაქციო დეპუტატმა თორნიკე ბიკაშვილმა;

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული **რეკომენდაციების** გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ, სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე		ლევან ჟორჟოლიანი
სხდომის მდივანი		თამთა კაკოიშვილი